


შარჰუ სუნნა
სუნნას საფუძვლების
განმარტება



შარკ უსულ ას-სუნა
სუნეთის საფუძვლების განმარტება

შარკ(ს)ის ავტორი: აბდურაჰმან მუჰიუდდინი.

2023 წ. 15 დეკემბერი

წიგნის ავტორის წინასიტყვაობა

ყველა ქება და დიდება ეკუთვნის ალლაჰს — ღმერთს ყველაფრისა, რაც კი არსებობს. სალამი და ლოცვა იყოს შუამავალთაგან საუკეთესოზე, მუჰამმადზე. ეს არის იმამ აჰმადის, გამოჩენილი იმამის, მოკლე ნაშრომი სუნნეთის საფუძვლების შესახებ. დაე, ალლაჰმა შეიწყალოს იგი და გახადოს სამოთხის ბინადართა შორის. და ჩვენც ღმერთმა შეგვკრიბოს შუამავლებთან, მართლებთან და მოწამეებთან ერთად — და რა კარგი საზოგადოებაა ისინი. ამ ნაშრომში იმამი განმარტავს ისლამური სარწმუნოების იმ საფუძვლებს, რომელთა რწმენაც სავალდებულოა ყოველი მუსლიმისთვის. ზოგმა ჩემმა სტუდენტმა მთხოვა, დამეწერა ამ წიგნის განმარტება, და მე ალლაჰს ვთხოვე დახმარება ამ საქმეში, რადგან წარმატების მიმნიჭებელი მხოლოდ ალლაჰია. ამ წიგნში განხილული თემები შეეხება სარწმუნოების სწორ საფუძვლებს. ეს არის წიგნი, რომელიც რელიგიაში დამწყებებს ეხმარება რწმენის საფუძვლების სწორად გაგებაში, რადგან ნათელს ჰფენს სწავლებას რწმენის საკითხებში. აგრეთვე, ეს ნაშრომი წარმოადგენს შეხსენებას იმათთვისაც, ვინც უკვე გამოცდილია რელიგიაში. იმამ აჰმადმა ამ წიგნში მოიხსენია რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი. თუმცა მოყვანილი შეხედულებები არ წარმოადგენს თავად აჰმად ბინ ჰანბალის პირად მრწამსს; მან ისინი მოიყვანა იმისათვის, რომ წარმოეჩინა სიახლის მიმყოლი ხალხის პოზიციები და გაემიჯნა ისინი აჰლი სუნნას სწორი გზის მიმდევართაგან. მან ოსტატურად მოათავსა თემები წიგნში სუნნეთის საფუძველზე, რათა განესხვაგებინა ერთმანეთისგან სწორი მრწამსი და ცრუ შეხედულებები. მათ შორის მან ახსენა ისეთი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია გზაზე მძარცველებთან და ხარიჯიტებთან ბრძოლასთან — როდესაც ისინი თავს ესხმიან ადამიანებს, რათა გაძარცვონ, ხოლო მორწმუნე თავს და საკუთარ ქონებას. ამით იმამმა აჩვენა, რომ მუსლიმებთან ბრძოლა დაუშვებელია; მათი სისხლი და ქონება აკრძალულია, გარდა სამი შემთხვევისა — როგორც თქვა ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მასზე): *მუსლიმის სისხლი ჰალალი არ არის, გარდა სამი შემთხვევისა: თუ ჩაიდენს მკვლელობას, მას სიკვდილით სჯიან. თუ ჩაიდენს მრუშობას მაშინ, როცა დაქორწინებულია. და თუ სარწმუნოებას მიატოვებს, ჯამათს განუდგება.*¹

ავტორმა ამ წიგნში ახსენა გზებზე მძარცველებთან და ხარიჯიტებთან ბრძოლის საკითხი. მუსლიმს სწამს, რომ მუსლიმის სისხლი აკრძალულია და არ არის ნებადართული მათთან ბრძოლა, გარდა იმ შემთხვევისა როცა ისინი თავად აწყობენ თავდასხმას. თუ ვინმე მუსლიმის სიცოცხლეს ან ქონებას საფრთხეს შეუქმნის, მუსლიმს უფლება აქვს დაიცვას თავი და თავისი ქონება. ეს არ ითვლება აგრესიად, არამედ ითვლება სამართლიან თავდაცვად. ეს წიგნი წარმოადგენს ნაშრომს, რომლის შესწავლაც აუცილებელია ყოველი მუსლიმისთვის, რათა უკეთ ჩასწვდეს თავის რელიგიას, მის სწავლებებსა და საფუძვლებს, და ამ ცოდნით თავი დაიხსნას ალლაჰის რისხვისგან. დაე, ალლაჰი იყოს ჩვენი მეგზური სწორი გზისკენ, რადგან მხოლოდ ალლაჰია ვინც ადამიანს სწორი გზაზე აყენებს.

¹ მუსლიმი 1676

ჩვენთვის, სუნნას ფუნდამენტალური პრინციპი არის მიჯაჭვულობა იმ გზაზე, რაზეც იყვანენ ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) საკაბეები (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) საკაბეები, და მათგან მაგალითის აღება.

წიგნის ახსნა

ავტორმა დაიწყო იმის ახსნით, თუ რაზე იდგნენ ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) საკაბეები – და ეს არის ისლამი. საკაბეები იყვნენ ყველაზე საუკეთესო ხალხი შუამავლებისა და მაცნეების შემდეგ. მათზე ასეთი წარმოდგენა განპირობებულია ალლაჰის მიერ მათი შექმნით და მისი კმაყოფილების გამოხატვით, ისინი იყვნენ ხალხი, ვისაც ყველაზე უკეთ ესმოდათ ისლამი. ყურანი ზემოველინა მათ შორის, მას ითავსებდნენ და მოქმედებდნენ მის შესაბამისად. ისლამი არის სუნნა, და სუნნა არის ისლამი, როგორც ამბობდა იმამი შაფი'ი (ალლაჰმა შეიწყალოს იგი). აქედან გამომდინარე, სუნნაზე მიჯაჭვულობა ნიშნავს ისლამზე მიჯაჭვულობას. იმამ აჰმადმა კი თქვა: 'სუნნას საფუძველი არის ისლამის საფუძველი' და თქვა, რომ საკაბეები მასზე იყვნენ მიჯაჭვულნი. სუნნას გზა არის პირველი წერტილი, რისი მეშვეობითაც შეძლებ ისლამის უკეთ გაგებას, და ისლამში შესვლა შეუძლებელია გარდა ამ კარისა. საკაბეები არიან ისლამის პირველი თაობის ხალხი, ხოლო მათი საქმე იყო სწორი საქმე. ამის გამო ავტორმა თქვა: '... აირჩიეთ ისინი სამაგალითოდ' ეს კი ნიშნავს: ადამიანმა უნდა აირჩიოს მაგალითად საკაბეები მათ საქმეში და ცხოვრებაში, იმიტომ, რომ ისინი მოესწრნენ გამოცხადების ყურანის ზემოველენას და ალლაჰის შუამავალთან (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) ერთად ცხოვრობდნენ. საკაბეები (თანამოღვაწეები) შუამავალთან ერთად იყვნენ და ხედავდნენ მის საქმეს და აკეთებდნენ ისე, როგორც ის აკეთებდა. ალლაჰმა შეაქო ისინი თავისი გამოცხადებით:

رَضِيَ اللَّهُ عَنْهُمْ وَرَضُوا عَنْهُ

კმაყოფილია მათით ალლაჰი და კმაყოფილნი იქნებიან მისით (მაიდე 5:119)

ასევე ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა:

اللَّهُ فِي أَصْحَابِي

გეშინოდეთ ალლაჰის ჩემს საკაბეებთან დაკავშირებით. ²

აქედან გამომდინარე, ვინც ლანძღავს საკაბეებს, ის ლანძღავს ისლამს, და ვინც მათ წყევლის, ის წყევლის ისლამს, ხოლო ვინც წყევლის ისლამს, ის არის სიახლის მიმყოფი ურწმუნო.

² იბნ ჰიბბან 7256

ახსნა

სიახლე რელიგიაში არის ყველაფერი ის, რაც მოიგონეს დამკანონებლის — უზენაესი ალლაჰის — წინააღმდეგ. დამკანონებელი მხოლოდ ალლაჰია, და მის სრულყოფილ რელიგიას არ სჭირდება არც დამატება, არც შეცვლა და არც მოკლება. ის, რაც ადამიანებს სჭირდებათ როგორც ამქვეყნიურ, ისე საიქიო ცხოვრებაში, ყველაფერი ალლაჰმა აუხსნა სრული სიცხადით, და ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მასზე) ეს განუმარტა თავის თემს ისე ნათლად, რომ მათ დატოვა გზაზე, რომელიც დღემდე ისეთივე ნათელია, როგორც დღის შუქი. ალლაჰმა შუამავალი არ წაიყვანა ამ ქვეყნიდან მანამ, სანამ რელიგია არ დასრულდა სრულყოფილად. ამიტომ ეს რელიგია სრულყოფილია და მას არ სჭირდება არაფრის დამატება. ვინც დაამატებს რამეს ალლაჰის რელიგიას, ის ამით შემოიტანს სიახლეს (ბიდ'ა), რომელიც ცდომილებაა და სხვებსაც აცდენს. მისი ასეთი სიახლე და რელიგიაში დანამატი იქნება უარყოფილი. 'აიშამ (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცა, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა:

مَنْ أَحْدَثَ فِي أَمْرِنَا هَذَا مَا لَيْسَ فِيهِ فَهُوَ رَدٌّ

ვინც გამოიგნებს ამ ჩვენს საქმეში ისეთ რამეს, რაზეც არ იყო ჩვენი ბრძანება – უარყოფილი იქნება.³

სუნნა და ბიდ'ა მორწმუნის გულში ერთდროულად ვერ იქნება. ალ-ჰაქიმმა თავის წიგნში, ალ-მადხალში თქვა: 'დედამიწაზე ისეთი სიახლე არ არსებობს, რომელიც არ სძულდეს ჰადისის ხალხს, და როდესაც, ადამიანი, სიახლეს ასრულებს, მისი გულიდან ჰადისისა და სუნნეთის სიტკბო გამოდის.'

კამათის მიტოვება და მათი ვნება-სურვილების მიმყოფ ხალხთან არ დაჯდომა. და უარის თქმა რელიგიის შესახებ კამათზე.

ახსნა

სიტყვა ალ-ხუსუმათი الخُصُومَاتِ არის ხუსუმას الخصومة მრავლობითი ფორმა. ალ-ხუსუმა მოდის სიტყვიდან ალ-ხასმ. ეს სიტყვა ნიშნავს განხეთქილებას, კამათს და კამათში სხვისი დაძლევის სურვილს. ეს იმიტომ, რომ ორ მოწინააღმდეგეს სურს ერთმანეთის

³ ბუხარი 2697

ძლევა და ეკამათება სიმართლეშიც და სიცრუეშიც. რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეულს სურს მეორესთან კამათი და მისი დამარცხება.

ჭეშმარიტი რელიგია ერთია. 'ჭეშმარიტი თავკიდი ერთია'. რელიგიაში (ე.ი. ჭეშმარიტ თავკიდში) არ არის განსხვავება და მუსლიმანები უნდა იყვნენ ერთიანი უმმა (ხალხი). ალლაჰი ამბობს:

إِنَّ هَذِهِ أُمَّتُكُمْ أُمَّةً وَاحِدَةً وَأَنَا رَبُّكُمْ فَاعْبُدُونِ

ჭეშმარიტად, თქვენი ეს რელიგია ერთიდაიგივე რელიგიაა, მე კი თქვენი ღმერთი ვარ, და მე მეთაყვანეთ.

(ენზია 21:92)

მან ასევე თქვა:

وَإِنَّ هَذِهِ أُمَّتُكُمْ أُمَّةً وَاحِدَةً وَأَنَا رَبُّكُمْ فَاتَّقُونِ

ჭეშმარიტად, თქვენი ეს რელიგია, ერთი და იგივე რელიგიაა(ისლამი) და მე თქვენი ღმერთი ვარ, ჩემი გემინოდეთ.

(მუმინუნ 23:52)

وَلَا تَنَزَعُوا فَنَفْسَالُوا وَتَذَهَبَ رِيحُكُمْ

და ნურც ერთმანეთთან იკამათებთ, თორემ დასუსტდებით და ძალა გამოგეცლებათ (ენფალ 8:46)

وَأَعْتَصِمُوا بِحَبْلِ اللَّهِ جَمِيعًا وَلَا تَفَرَّقُوا

მტკიცედ ჩაეჭიდეთ ყველანი ალლაჰის (რწმენის) თოკს, და არ დაიყოთ

(ალი იმრან 3:103)

აქედან გამომდინარე, ნამდვილი რელიგია არის ერთიანი. ერთიანობა არის წყალობა, ხოლო დაყოფა სასჯელი. რელიგიაში კამათი, რომელი კამათიც არის განხეთქილება და ერთმანეთის დაძლევის მცდელობა – მხოლოდ ვნება-სურვილების გამოა. უზენაესის სიტყვები:

وَفَوْقَ كُلِّ ذِي عِلْمٍ عَلِيمٌ

ყოველი მცოდნის ზემოთ კი ყოვლისმცოდნეა.

(იუსუფ 12:76)

მან ასევე თქვა:

يَا أَيُّهَا الَّذِينَ ءَامَنُوا أَطِيعُوا اللَّهَ وَأَطِيعُوا الرَّسُولَ وَأُولَى الْأَمْرِ مِنْكُمْ ۗ فَإِن تَنَزَعْتُمْ فِي شَيْءٍ فَرُدُّوهُ إِلَى اللَّهِ وَالرَّسُولِ إِن كُنتُمْ تُؤْمِنُونَ بِاللَّهِ وَالْيَوْمِ الْآخِرِ ۚ ذَٰلِكَ خَيْرٌ وَأَحْسَنُ تَأْوِيلًا

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! დაემორჩილეთ ალლაჰს და დაემორჩილეთ შუამავალს და ხელმძღვანელს (არაბ: ამრუ (ამირი) თქვენს შორის. ამის შემდეგ თუ რამე სადაო გაქვთ, მიმართეთ ალლაჰსა და შუამავალს, თუკი გწამთ ალლაჰი და დღე უკანასკნელი, ეს უკეთესია და უმჯობესი გამოსავალი! (ნისა 4:59)

სიტყვები „მიმართეთ ალლაჰს“ ნიშნავს — მიმართეთ მის წიგნს, ხოლო სიტყვები „და შუამავალს“ ნიშნავს — მიმართეთ მის სუნნას. ამ ორში — ალლაჰის წიგნსა და შუამავლის სუნნაში — მდგომარეობს ადამიანთა ნამდვილი ბედნიერება, მათი გულების ერთიანობა და მათი ძალა. თუმცა, ზოგიერთ საკითხზე კეთილშობილური განხილვა და გამოკვლევა, რათა მივიღეთ ჭეშმარიტებამდე და გავარკვიოთ ის, რაც ორაზროვანია ხალხისთვის რელიგიურ საკითხებში, ზოგ შემთხვევაში სავალდებულოც კი არის. რამეთუ ალლაჰი ამბობს:

فَسَأَلُوا أَهْلَ الذِّكْرِ إِن كُنتُمْ لَا تَعْلَمُونَ

თუკი არ იცით ჰკითხეთ მცოდნეებს. (ნაჰლ 16:76)

თუმცა კამათი, რომელიც მიზნად ისახავს ერთმანეთის დაძლევას, უპირატესობის მოპოვებას ან საკუთარი აზრის გამტანობას სიმართლის ძიების გარეშე - არის საზიზღარი და გასაკიცხი საქმე. ასეთი კამათი წარმოიშობა ვნებებიდან, ამპარტავნებიდან და იმ სურვილიდან, რომ ადამიანმა დაამარცხოს სხვა, და არა იმისგან, რომ გაიგოს ჭეშმარიტება. ჩვენ კი ვთხოვთ ალლაჰს, დაგვიფაროს ბოროტი და უარყოფითი სურვილებისგან, გაგვაერთიანოს სუნნაზე, სწორ გზაზე და მართალ შუქზე, და გააერთიანოს მუსლიმთა გულები სიყვარულითა და ერთობით. ამინ!

და სუნნა არის ის, რაც გადმოცემულია ალლაჰის შუამავლისგან (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას); ხოლო სუნნა არის ყურანის განმარტება და მისი პრაქტიკული განხორციელება.

მე ვამბობ: სუნნა მოიცავს მუჰამადის (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) სიტყვებს, ქმედებებს, თანხმობას და დუმილს, ანუ იმას, რასაც მან დაამტკიცა და არ უარყო, რაც ასევე სამართლებრივ მნიშვნელობას ატარებს. ყურანი კი არის უზენაესი ალლაჰის სიტყვა, რომელიც ზემოუვლინა თავის შუამავალს, მუჰამადს (ალლაჰის ლოცვა და სალამი მასზე). ალლაჰმა მოუვლინა ყურანი თავის შუამავალს, რათა განუმარტოს ადამიანებს ღმერთის გზავნილი და აუხსნას მათ ის, რაც აეჭვებთ. ალლაჰი ამბობს:

وَأَنْزَلْنَا إِلَيْكَ الذِّكْرَ لِتُبَيِّنَ لِلنَّاسِ مَا نُزِّلَ إِلَيْهِمْ وَلَعَلَّهُمْ يَتَفَكَّرُونَ

...და გარდმოვივლინეთ შენ შეხსენება, რათა ნათლად განგემარტა ხალხისათვის ის, რაც მათზე ზეგარდმოვევლინა, რათა ეგების დაფიქრდნენ.

(ნაჰლ 16:44)

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მასზე) განმარტა რელიგია უდიდესი სიცხადით და ყველაზე ნათელი მტკიცებულებებით. აქედან გამომდინარე, ვინც ალლაჰისა და მისი შუამავლის სუნნას თავის უპირველეს საზრუნავად აქცევს და გულწრფელად ეძებს ალლაჰის კმაყოფილებას, ალლაჰი მას გაუხსნის გზას, გაუნათებს გულს და მიანიჭებს სწორ ხელმძღვანელობას. ხოლო ვინც უარყოფს ამ გზას, ზურგს აქცევს ჭეშმარიტებას და აირჩევს კამათსა და დაპირისპირებას რელიგიურ საკითხებში, გზა გამოეცლება, დაკარგავს ჭეშმარიტებას და გადაიჩეხება ცდომილებაში.

და სუნნა არის არგუმენტები (მრ. დალაილი) ყურანისთვის.

ახსნა:

რაც ნიშნავს: სუნნა ამტკიცებს ყურანს და ტერმინი (ად-დალაილი) არის (ად-დალალას) მრავლობითი ფორმა, დალალა ისევე როგორც დალილი ნიშნავს არგუმენტს და სისწორეს. მამასადამე, სუნნა არის გზამკვლევი და მეგზური ყურანისკენ. ყველა ქება-დიდება ალლაჰს ეკუთვნის, ყურანსა და სუნნას შორის არანაირი წინააღმდეგობა არ არის. სუნნა არაფერია თუ არა ხელმძღვანელობა, ნათელი და სწორი გზა. ალლაჰი ამბობს:

وَإِنَّكَ لَتَهْدِي إِلَى صِرَاطٍ مُسْتَقِيمٍ

...და ჭეშმარიტად, შენ უწინამძღვრებ სწორი გზით.

(შურა 42:52)

ასევე ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა:

تَرَكْتُ فِيكُمْ أَمْرَيْنِ لَنْ تَضِلُّوا مَا تَمَسَّكْتُمُ بِهِمَا: كِتَابَ اللَّهِ وَسُنَّةَ رَسُولِهِ

მე თქვენ ორ რამეს გიტოვებთ, ვიდრე მათ ჩაეჭიდებით, სწორ გზას არ ასცდებით: ალლაჰის წიგნი და მისი შუამავლის სუნნა. ⁴

ასევე ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა, რომელსაც გადმოსცემს ირზად ბინ სარია:

⁴ მიხედათ ალ-მასაბიჰ 186

فَعَلَيْهِ بِسُنَّتِي وَسُنَّةِ الْخُلَفَاءِ الرَّاشِدِينَ الْمَهْدِيِّينَ عَضُوا عَلَيْهَا بِالنَّوَاجِدِ

... გაპყევით ჩემს სუნნას და მართალი ხალიფების სუნნას და ჩაეჭიდეთ მას კბილებით. ⁵

სუნნასთან შესადარი არაფერი არ არის

ახსნა

ეს იმიტომ, რომ სუნნა არის ზემთაგონება ალლაჰისგან მის შუამავალზე, უზენაესმა ალლაჰმა თქვა:

وَمَا يَنْطِقُ عَنِ الْهَوَىٰ

და არ მეტყველებს იგი თავისი ნებით.

إِنَّ هُوَ إِلَّا وَحْيٌ يُوحَىٰ

რამეთუ ეს მხოლოდ შთაგონებაა, რაც ზემთაეგონა.

(ნეჯმ 53:3-4)

მე ვამბობ: სუნნა არის ყურანის თანამგზავრი და ყურანის მსგავსია. ვალდებულნი ვართ მივიღოთ ის და დაუშვებელია მისი უარყოფა. ვინც სუნნას უარყოფს, ის უარყოფს ყურანს, რადგან სუნნა არის ზემთაგონება, რომელიც განმარტავს ყურანს. ხალხის ყოველი გადაწყვეტილება და განცხადება მისაღებია თუ არ ეწინააღმდეგება მას, და უარყოფილია თუკი ეწინააღმდეგება, და მნიშვნელობა არ აქვს თუ ვინ თქვა ეს. სუნნას დიდმა სწავლებებმა თქვეს: 'სუნნაში ყიასი არ არის' ანუ მასთან შესადარებელი არაფერი არ არის. ხალხის განცხადებებიდან მას არაფერი უნდა შევადაროთ, თუნდაც ისინი იყვნენ მეფეები, მმართველები და სხვა გამოჩენილი ადამიანები, არ აქვს მნიშვნელობა თუ ვინ არიან ისინი. გადმოცემულია ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) ჰადისი:

أَلَا إِنِّي أُوتِيتُ الْكِتَابَ وَمِثْلَهُ مَعَهُ

მე მებოძა ყურანი, და მისი მსგავსი მასთან ერთად. ⁶

არავინ თქვას, რომ რახან ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) ადამიანი იყო, ის უშვებდა შეცდომებს თავის განცხადებებში და შესაძლოა სუნნა შეიცავს შეცდომებსო. ასეთი ფიქრი და განცხადება სიცრუეა რადგან ალლაჰმა თქვა:

وَلَوْ تَقَوَّلَ عَلَيْنَا بَعْضَ الْأَقَاوِيلِ

და თუ იგი ჩვენ მოგვაწერდა ზოგიერთ ნათქვამს,

⁵ თირმიზი 2676

⁶ აბუ დავუდ 4604

لَا خَذْنَا مِنْهُ بِالْيَمِينِ

ჩვენ მას შევიპყრობდით მარჯვენათი.

ثُمَّ لَقَطَعْنَا مِنْهُ الْوَتِينَ

მერე გადავუჭრიდით გულის დედოძარღვს.

فَمَا مِنْكُمْ مِّنْ أَحَدٍ عَنْهُ حَاجِزِينَ

და თქვენგან არავის შეუძლია მისი შეკავება.

(ჰაყყათ 69:44-47)

და ასევე მან თქვა:

وَمَا يَنْطِقُ عَنِ الْهَوَىٰ

და არ მეტყველებს იგი თავისი ნებით.

إِنْ هُوَ إِلَّا وَحْيٌ يُوحَىٰ

რამეთუ ეს მხოლოდ შთაგონებაა, რაც ზემთაეგონა. (ნაჯმ 53:3-4)

უქველად, ალლაჰის შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) ადამიანია – მას ემართება ის, რაც ემართება სხვა არსებებს – ხდება ავად და დარდობს, შივდება, იღლება, ემინია და ა.შ. რაც შეეხება რელიგიის დადგენილებებში - ის უშეცდომოა, რადგან მას ალლაჰმა მოუღიანა ზემთაგონება. ალლაჰი სიტყვა:

وَاللَّهُ يَعْصِمُكَ مِنَ النَّاسِ

ალლაჰი დაგიცავს შენ ხალხისგან, (მაიდე 5:67)

ე.ი. ალლაჰი დაგიცავს მათგან — მტრებისგან, და ასევე დაგიცავს ცოდნითაც, რომელიც ჭეშმარიტების ამოსაცნობად და ცდომილებისგან თავის ასარიდებლად უდიდესი ფარია. დედამიწაზე მყოფთა შორის თუ ყველა გონიერი ადამიანი შეიკრიბებოდა — ფილოსოფოსები, აღმოსავლეთმცოდნეები, დასავლელი მოაზროვნეები და მეცნიერები — ისინი ვერასდროს იპოვიდნენ ყურანსა და სუნნას შორის წინააღმდეგობას, თუნდაც ამისთვის მთელი თავიანთი ძალა და ცოდნა გამოეყენებინათ. თუ ისინი შეიკრიბებოდნენ იმისთვის, რომ ეპოვათ რამე, რაც შეესაბამება მათ სურვილებს და ამით შეეცდებოდნენ შეწინააღმდეგონ ალლაჰის გზას, ვერაფერს აღმოაჩენდნენ, რადგან ყურანისა და სუნნას ცოდნა აღემატება ყოველგვარ ადამიანურ ცოდნას, და საბოლოოდ მათი მცდელობა დაიკარგებოდა. ალლაჰის სიტყვა:

ثُمَّ أَرْجِعِ الْبَصَرَ كَرَّتَيْنِ يَنْقَلِبْ إِلَيْكَ الْبَصَرُ خَاسِئًا وَهُوَ حَسِيرٌ

შემდეგ აღაპყარი მზერა მეორედაც. დაგიბრუნდება შენი მზერა დამცირებულად და იქნება იგი დაქანცული. (მულქ 67:4)

გამოცხადება შენახული და დაცულია და ასე იქნება სამყაროს აღსასრულამდე. ეს კი არაფერს ამტკიცებს იმის გარდა, რომ ყურანი და სუნნა არის საბოლოო გადაწყვეტილება უზენაესი და ბრძენი ალლაჰისგან. ალლაჰის სიტყვა:

الرَّ كِتَابٌ أُحْكِمَتْ آيَاتُهُ ثُمَّ فُصِّلَتْ مِنْ لَدُنْ حَكِيمٍ خَبِيرٍ

ალიფ. ლამ. რა. აი წიგნი, რომლის აიათები გაცხადდა, მერე განიმარტა ბრძენისა და ყოვლისმცოდნის მიერ. (ჰუდ 11:1)

მამასადაძამე, სიბრძნე არის ყურანთან და სუნნასთან, ხოლო დალუპვა და ცდომილება სხვა რამეებში. სუნნა არის ჰიქმა (სიბრძნე) როგორც აღნიშნულია უზენაესი ალლაჰის სიტყვაში:

رَبَّنَا وَأَبْعَثْ فِيهِمْ رَسُولًا مِنْهُمْ يَتْلُوا عَلَيْهِمْ آيَاتِكَ وَيُعَلِّمُهُمُ الْكِتَابَ وَالْحِكْمَةَ وَيُزَكِّيهِمْ إِنَّكَ أَنْتَ الْعَزِيزُ الْحَكِيمُ

ღმერთო ჩვენო! და მოავლინე მათში შუამავალი მათგანვე, რომელიც წაუკითხავს მათ შენს აიათებს, ასწავლის მათ წიგნსა და სიბრძნეს, განწმენდს მათ. ჭემმარიტად, შენა ხარ ძლევამოსილი, ბრძენი! (ზაყარა 2:129)

ასევე ალლაჰის სიტყვა:

كَمَا أَرْسَلْنَا فِيكُمْ رَسُولًا مِنْكُمْ يَتْلُوا عَلَيْكُمْ آيَاتِنَا وَيُزَكِّيكُمْ وَيُعَلِّمُكُمُ الْكِتَابَ وَالْحِكْمَةَ وَيُعَلِّمُكُم مَّا لَمْ تَكُونُوا تَعْلَمُونَ

ნამდვილად, ჩვენ მოგივლინეთ თქვენ შუამავალი თქვენივე წიაღიდან; ის თქვენ გიკითხავთ ჩვენს აიათებს, განწმენდთ და გასწავლით წიგნსა და სიბრძნეს, და გასწავლით იმას, რაც ადრე არ იცოდით. (ზაყარა 2:151)

სუნნა ფარდას ხდის სიცრუეს, სუნნა არის კანონმდებლობა და სიბრძნე. ეს იმიტომ, რომ ის არის გამოცხადება ალლაჰისგან და არის ყურანის ანალოგი. იმამ აჰმადმა ეს ახსენა იმიტომ, რომ, მან თავის დროზე დიდი ზიანი მიაყენა სუნნას მტრებს. ისინი ამბობდნენ: 'სუნნა გადმოცემულია გადმომცემების მიერ, და ისინი შეცდომებს უშვებენ და ამიტომ აუცილებელია დავემორჩილოთ ჩვენს ინტელექტს და არა სუნნასო, რაც მისაღებია მივიღებთ, და რაც ეწინააღმდეგება ჩვენს ცოდნას, იმას უარყოფთო'. სწორედ ამის გამო დიდად ასცდნენ სწორ გზას.

ამის გამო ჩვენ ვეუბნებით მათ: 'რომელი თქვენგანის ცოდნა და ინტელექტი შეიძლება იყოს სუნნას მსაჯული როცა ინტელექტუალები იცვლებიან ისევე როგორც სხვა ადამიანები?' რა სულელურია მათი მსჯავრი. შემდეგ მათ უთხრეს (სუნნას ხალხმა): ყურანის შესახებაც არის გადმომცემები, და ის გადმომცემებმა გადმოგცვეს და რას იტყვით

ყურანზე? იტყვი, რომ ის ინტელექტს ექვემდებარება და რაც მისაღებია მიიღებთ და რაც არა უარყოფთ?’ დაე ალლაჰმა დალუპოს ისინი. მათი სიტყვები და ქმედება აშკარად გზააბნევა.

სუნნა არ აღიქმება მონებიტა და საკუთარი ვნება-სურვილებით

სიტყვა (العقول) ალ-’უყულ არის (العقل) ალ-’აყლის მრავლობითი. ‘აყლი ნიშნავს გონებას/ აზრს. საზრიანობა არის, რაც ადამიანს აკისრებს პასუხისმგებლობას და იცავს გზააბნევისაგან. არაბულ ენაში ‘აყლის (აზრის) მნიშვნელობა არის თავშეკავება და აღკვეთა. ეს იმიტომ, რომ სუნნა არის გამოცხადება ალლაჰისგან და სწორედ ის არის საზრიანობის წინამძღოლი. სუნნა არის მოაზროვნების და ინტელექტუალების გზამკვლევი. ჩვენ გვინახავს ინტელექტუალები, რომლებმაც ჩამოაყალიბეს განსხვავდება და დაშორდნენ სუნნას, და საბოლოოდ ისინი აღმოჩნდნენ ცდომილებაში. ანალოგიურად, ჩვენ გვინახავს საზრიანი ხალხი, რომლებიც მიჰყვებიან სუნნას და ისინი არიან ხალხში საუკეთესონი – მათ აქვთ ყველაზე საღი გონება, გულწრფელი განწყობა და საუკეთესო გაგება. მათ მიეცათ სიბრძნე სიტყვებსა და საქმეებში. სალაფთან ერთ-ერთი ამბობდა: ‘ვინც სუნნას მისი გულის და ენის მეთაურად აქცევს, ბრძნულად ილაპარაკებს, და ვინც მის ვნება-სურვილებს აქცევს მისი გულის და ენის მეთაურად, სიახლეებით (ბიდ’ათით) ილაპარაკებს’... სუნნა არის გზა რომელიც უწინამძღვრებს მოაზროვნე ხალხს ჭეშმარიტებისკენ. ეს არის ალლაჰის წყალობა მისი მსახურების მიმართ, რადგან მან გამოგზავნა შუამავლები და წიგნები მათთან ერთად. ალლაჰი ამბობს:

وَمَا كُنَّا مُعَذِّبِينَ حَتَّىٰ نَبْعَثَ رَسُولًا

და ჩვენ არ დაგვისჯია ვინმე, ვიდრე არ წარვუგზავნიდით შუამავალს! (ისრა 17:15)

იმამ აჰმადმა (ალლაჰმა შეიწყალოს) თქვა: ‘ეს (აიათი) არ აღიქმება გონების მეშვეობით’ პირველ რიგში გონება სუსტია და ერთმანეთისგან (ე.ი ყველას სხვადასხვა გაგების დონე აქვს) განსხვავდებიან აღქმით და გააზრებით. შესაბამისად, მათ არ შეუძლიათ სუნნაზე წინ დადგნენ, რადგან სუნნა არის გამოცხადება ალლაჰისგან, ხოლო გონება ნაკლოვანია, სუნნა კი უნაკლო. ალლაჰის მსახურთაგან ყველაზე გონიერი და გამჭრიახი ადამიანის გონებაც დასუსტდება, თუმცა სუნნა არ დასუსტდება და იარსებებს განკითხვის დღემდე. ალლაჰი სიტყვა:

وَمَنْ نُعَمِّرْهُ نُنَكِّسْهُ فِي الْخَلْقِ أَفَلَا يَعْقِلُونَ

ვისაც ხანგრძლივ სიცოცხლეს ვაძლევთ, მას საწინააღმდეგო იერს ვაძლევთ, განა გონს არ მოუხმობენ? (იასინ 36:68)

იმისათვის, რომ ალლაჰის მსახურებს კარგი ცხოვრება ჰქონდეთ – მათ სხვა გზა არ აქვთ ყურანისა და სუნნას გარდა. პირიქით, სუნნა უნდა იყოს მოაზროვნე ადამიანების

მეგზური, რათა გაუძღვეს მათ სწორ გზაზე. ის, ვინც სუნნას აქცევს მის გზამკვლევადა, მისი საზრუნავი იქნება სუნნა და იქნება მასზე მიჯაჭვული, და თუ მთავარი აქცენტი ექნება მასზე გაკეთებული, იქნება სწორ გზაზე. ალლაჰის სიტყვა:

إِنَّ هَذَا الْقُرْآنَ يَهْدِي لِلَّتِي هِيَ أَقْوَمُ وَيُبَشِّرُ الْمُؤْمِنِينَ الَّذِينَ يَعْمَلُونَ الصَّالِحَاتِ أَنَّ لَهُمْ أَجْرًا كَبِيرًا

ჭეშმარიტად, ეს ყურანი უწინამძღვრებს ყველაზე სწორი გზისკენ და ახარებს მორწმუნეებს, რომელნიც აკეთებენ კეთილ საქმეებს, რომ სწორედ მათია უდიდესი ჯილდო. (ისრა 17:9)
გადმოცემულია ვედრება:

اللهم اجعلنا ممن تبع القرآن فقادته إلى رضوانك والجنة ولا تجعلنا تبعه القرآن فرج في قفاه إلى النار

(ალლაჰუმმა ჯ'დალნა მიმძან ათთაბა'ალ ყურ'ან, ფაყადაჰუ ილლა რიდვანიქა ვა ჯანნათი, ვა ლა თაჯ'ალნა თაბი'უჰულ ყურ'ან, ფარაჯფი ყაფაჰინ ილლა ნნარ)

ო ალლაჰ, დაგვადგინე ყურანის ისეთ მიმყოლად, რომ გავვიძღვეს შენი კმაყოფილებისათვის და სამოთხისკენ. და ნუ დაგვადგენ მათ შორის, ვინც ყურანს მიჰყვება და ქეჩოთი ცეცხლში ჩააგდებენ.

სწორედ ამიტომ თქვა ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას):

الْقُرْآنُ حُجَّةٌ لَكَ أَوْ عَلَيْكَ كُلُّ النَّاسِ يَغْدُو فَبَائِعٌ نَفْسَهُ فَمُعْتِقُهَا أَوْ مُؤْبِقُهَا

ყურანი არის მტკიცებულება შენს სასარგებლოდ ან შენს საწინაღმდეგოდ. ყოველი კაცი დილით გადის სახლიდან და ყიდის საკუთარ თავს, რითაც ნადგურდება ან თავისუფლდება.⁷

საჭიროა სუნნაზე მიყოლა და ვნება- სურვილების მიტოვება

ახსნა:

უნდა დაემორჩილო ალლაჰს, დიდებულსა და ყველაზე აღმატებულს, როგორც გარეგნული ქმედებებით ისე შინაგანი მდგომარეობით, მიჰყვე ყურანს და სუნნას როგორც გარეგნულად ისე შინაგანი მდგომარეობით, და უნდა მიატოვო ვნება-სურვილები. უზენაესი ბრძანებს:

⁷ მუსლიმი 223

فَلَا وَرَبِّكَ لَا يُؤْمِنُونَ حَتَّىٰ يُحَكِّمُوكَ فِيمَا شَجَرَ بَيْنَهُمْ ثُمَّ لَا يَجِدُوا فِيْ أَنفُسِهِمْ حَرَجًا
مِّمَّا قَضَيْتَ وَيُسَلِّمُوا تَسْلِيمًا

მაგრამ არა! შენს ღმერთს ვფიცავ! ვერ ირწმუნებენ ისინი, ვიდრე მსაჯულად არ დაგადგენენ იმისა, რის გამოც დაობდნენ ერთმანეთში. მერე კი წინ ვეღარ აღუდგებიან თავიანთ სულელებში შენს გადაწყვეტილებას. და დაემორჩილებიან სრული მორჩილებით. (ნისა 4:65)

ასევე ბრძანებს უზენაესი:

وَمَا كَانَ لِمُؤْمِنٍ وَلَا لِمُؤْمِنَةٍ إِذَا قَضَىٰ اللَّهُ وَرَسُولُهُ أَمْرًا أَنْ يَكُونَ لَهُمُ الْخِيَرَةُ مِنْ أَمْرِهِمْ
وَمَنْ يَعْصِ اللَّهَ وَرَسُولَهُ فَقَدْ ضَلَّ ضَلَالًا مُّبِينًا

არ არსებობს მორწმუნე კაცისა და მორწმუნე ქალისათვის არჩევანი თავიანთ საქმეზე, როცა ალლაჰი და მისი შუამავალი გადაუწყვეტენ საქმეს, და ვინც ეურჩება ალლაჰსა და მის შუამავალს, ცხად გზააბნევაშია ჩავარდნილი. (აჰზაბ 33:36)

يٰۤأَيُّهَا الَّذِينَ آمَنُوا إِنَّا جَعَلْنَاكَ خَلِيفَةً فِي الْأَرْضِ فَاحْكُم بَيْنَ النَّاسِ بِالْحَقِّ وَلَا تَتَّبِعِ الْهَوَىٰ
فَيُضِلَّكَ عَن سَبِيلِ اللَّهِ ۚ إِنَّ الَّذِينَ يَضِلُّونَ عَن سَبِيلِ اللَّهِ لَهُمْ عَذَابٌ شَدِيدٌ بِمَا نَسُوا
يَوْمَ الْحِسَابِ

ჰე, დავუდ! ჩვენ დაგადგინეთ ხალიფად დედამიწაზე. განსაჯე ხალხთა შორის სამართლიანად და ნუ აჰყვები ვნებას, თორემ ჩამოგაშორებს ალლაჰის გზას. ჭეშმარიტად, რომელნიც გადაცდნენ ალლაჰის გზას, მათთვისაა სასტიკი სასჯელი იმის გამო, რომ დავიწყებიათ ანგარიშსწორების დღე. (სად 38:26)

ალ-ჰავა არის გულის მიდრეკილება იმისკენ, რაც გულს სურს და უყვარს. ვნება-სურვილებისა და ღრმა რწმენის დაპირისპირება შესანიშნავი საშუალებაა სულის დასამორჩილებლად, მის მოსათვნიერებლად და ალლაჰის მორჩილების კუთხით მის გასანვითარებლად. ვნებების დამორჩილებაში არის ადამიანისთვის ბედნიერება როგორც ამქვეყნად ისე იმქვეყნად. ალლაჰის სიტყვა:

وَأَمَّا مَنْ خَافَ مَقَامَ رَبِّهِ وَنَهَى النَّفْسَ عَنِ الْهَوَىٰ

მათ, ვისაც ეშინიდა მათი ღმერთის წინაშე წარსდგომის და აკავებდა თავის სულს ვნებისაგან.

فَإِنَّ الْجَنَّةَ هِيَ الْمَأْوَىٰ

სამოთხე იქნება მისი თავშესაფარი. (ნაზილათ 79:40-41)

ანას იბნ მალიქი გადმოსცემს: ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა:

حُفَّتِ الْجَنَّةُ بِالْمَكَارِهِ وَحُفَّتِ النَّارُ بِالشَّهَوَاتِ

სამოთხეს გარს აკრავს სირთულები, ხოლო ჯოჯოხეთი გარშემორტყმულია ვნებებით.⁸

სუნნას დაცვას შინაგანად და გარეგნულად მოაქვს ბედნიერება ამქვეყნად და იმქვეყნად. როგორ შეიძლება ასე არ იყოს, როდესაც ადამიანი შუამავლის გზაზეა? უზენაესმა ალლაჰმა თქვა:

قَالَ أَهْبِطَا مِنْهَا جَمِيعًا ۖ بَعْضُكُمْ لِبَعْضٍ عَدُوٌّ ۖ فَأَمَّا يَا تَيْنَكُم مِّنِّي هُدًى فَمَنِ اتَّبَعَ هَدَايَ
فَلَا يَضِلُّ وَلَا يَشْقَىٰ

უთხრა: დაეცით მისგან (სამოთხიდან) ერთიანად, ერთმანეთს მტრად მოეკიდეთ და მოგივიათ თქვენ ჩემგან ჭეშმარიტი გზა, და ვინც გაყვება ჩემს ჭეშმარიტ გზას, გზა არ აერევა და არც გაუბედურდება. (ტაკვა 20:123)

იბნ აბბასმა (ალლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი თქვა: 'გზას არ ასცდება ამქვეყნად და არ იქნება უბედური იმქვეყნად'. ვინც მიჰყვება შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) გზას, ის იქნება მასთან ერთად, ალლაჰის სიკეთითა და წყალობით ნეტარების ბაღებში. და რა დიდებული მიღწევაა.

სუნნაზე ჩაჭიდება არის გზააზნევისაგან დაცვა ამქვეყნად და უბედურებისაგან დაცვა იმქვეყნად. ო ალლაჰ, ჩაგვწერე ბედნიერ ხალხთა რიგებში.

ვინც მიიღებს სუნნათიდან მხოლოდ ნაწილს, ესეიგი მას არ სწამს სუნნა და სუნნას ხალხთაგანი არ არის

ახსნა:

ავტორი აქ ახსენებს ჯანსაღი და სწორი რწმენის საფუძვლების ზოგიერთ დეტალს, რომელიც მორწმუნისთვის სავალდებულოა, რათა ჰქონდეს მტკიცე რწმენა და სრულად დაემორჩილოს ალლაჰს. მან თქვა: „საჭიროა სუნნადან“ — რაც ნიშნავს იმას, რაც აუცილებელია მუსლიმანისთვის, რომ დაიცვას, მიეჯაჰვოს მას და არასოდეს მიატოვოს. სიტყვა „الْحَصْلَىٰ“ (ალ-ხასლა) ნიშნავს ნაწილს, ანუ ერთ ნაწილს ან მახასიათებელს, რომელიც შედის რწმენის მთლიან სტრუქტურაში. ვინც სუნნადან რაიმე ნაწილს უარყოფს, ის სუნნას მთლიანად უარყოფს. სიტყვა „ხასლა“ (الْحَصْلَىٰ) მრავლობითად გამოითქმის როგორც „ხილას“ (الْحَصَالِ). სწორედ ეს ხილასები, ანუ რწმენის ნაწილები წარმოადგენს სარწმუნოების ძირითად საყრდენებსა და სავალდებულო ელემენტებს.

⁸ მუსლიმი 2822

ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: რწმენა ნიშნავს, რომ ირწმუნო ალლაჰი, მისი ანგელოზები, მისი წიგნები, მისი შუამავლები, უკანასკნელი დღე და ბედისწერა თავისი კარგითა და ავით. ⁹

და შემდეგ ავტორმა თქვა: 'ვინც არ მიიღო იგი, ესეიგი არ სწამს და არის მისი ხალხიდან' ეს არის ცხადი სიმართლე, რომელიც არ შეიცავს ორაზროვნობას. მართლაც, ვინც რამეს უარყოფს სუნნადან და არ იღებს მას, იგი არ არის იმ ხალხიდან რაც უარყო (ე.ი არ არის აჰლი სუნნა). და მორწმუნე ხალხი ის არის, ვინც იღებს ყველაფერს – მის საყრდენებს და მის სავალდებულო ელემენტებს – და სწამთ გულწრფელად ასრულებენ. ალლაჰი ამბობს:

يَا أَيُّهَا الَّذِينَ ءَامَنُوا ادْخُلُوا فِي السِّلْمِ كَآفَّةً وَلَا تَتَّبِعُوا خُطُوَاتِ الشَّيْطَانِ إِنَّهُ لَكُمْ عَدُوٌّ مُّبِينٌ

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! შედით სრულ მორჩილებაში (ისლამი) და არ გაჰყვეთ ეშმაკის კვალთ, რამეთუ იგი თქვენი აშკარა მტერია! (ბაყარა 2:208)

ეს აიათი ნიშნავს: მიიღეთ ისლამი სრულიად.

ბედისწერის რწმენა, კარგის და ცუდის.

ახსნა.

მე ვამბობ: ბედისწერა არის ალლაჰის მიერ დაფარული საქმე მის ქმნილებებთან დაკავშირებით. ეს არის ის, რაც ალლაჰმა, ყოვლისშემძლემ დაადგინა სამყაროში. არაფერი გამოეპარება მას, მის ცოდნას და მის ღვთაებრივ ნებას. მისი ცოდნა, უნარი და ღვთაებრივი ნება მოიცავს ყველაფერს და მისი დადგენილება ყველაფერზე სრულდება ისე, როგორც მას სურს. არ არსებობს ისეთი რამე რომ ალლაჰმა არ იცოდეს, ეს ყველაფერი წიგნშია შენახული, რომელიც მის გარდა არავინ იცის. უზენაესმა და ყველაზე აღმატებულმა ალლაჰმა თქვა:

عَلِمُ الْغَيْبِ فَلَا يُظْهِرُ عَلَىٰ غَيْبِهِ أَحَدًا

იგია მცოდნე დაფარულისა. და არ აცნობებს დაფარულს არავის.

(ჯინ 72:26)

ჩვენი გამჩენს, ჩვენი ღმერთს, ყოვლისშემძლეს, ყოვლისმცოდნეს არაფერი გაუჩენია ამაოდ. უზენაესმა ალლაჰმა თქვა:

أَفَحَسِبْتُمْ أَنَّمَا خَلَقْنَاكُمْ عَبَثًا وَأَنَّكُمْ إِلَيْنَا لَا تُرْجَعُونَ

განა გგონიათ, რომ ჩვენ ტყუილუბრალოდ შეგქმენით და ჩემს წინაშე დაბრუნებულნი არ იქნებით? (მუმიუნუნ 23:115)

⁹ მუსლიმი 8

ღვთაებრივი განგების რწმენა ყოველ საქმეში და იმის აღიარება, რომ ალლაჰმა იცოდა ყველაფერი — სანამ ეს მოხდებოდა — იქნება ეს სიკეთე თუ ბოროტება, წარმოადგენს რწმენის ერთ-ერთ საყრდენს. ბედისწერის რწმენა, მისი სიკეთისა და სიავისა, არის მორწმუნის რწმენის საფუძველი. მორწმუნეს მტკიცედ სწამს, რომ ყოველი რამ ალლაჰის დადგენილებით ხდება; იგი აცნობიერებს, რომ ყველაფერი ხდება მხოლოდ ალლაჰის ცოდნით, ნებითა და ბრძანებით. სწორედ ამიტომ, არაფერი სცილდება ალლაჰის განჩინებას, ცოდნასა და ნებას — როგორც თქმულია: „სიმინდის მარცვლიდან ციურ სხეულებამდე“ — ყველაფერი არსებობს მხოლოდ ალლაჰის ცოდნითა და განგებით.

და დაამოწმომ გადმოცემები და გქონდეს მათი რწმენა

ახსნა:

გადმოცემულია მრავალი სარწმუნო წყარო, რომლებიც ადასტურებს იმას, რომ ალლაჰმა წინასწარ განგებით განსაზღვრა ყველაფერი — როგორც ზოგადად, ისე დეტალურად — მის ქმნილებათა შექმნამდე. მან განსაზღვრა ყოველი ადამიანის მდგომარეობა, მათ შორის ისიც, თუ ვინ იქნება ბედნიერი და ვინ უბედური. ეს ყველაფერი ალლაჰის ზეციურ წიგნში ჩაიწერა, რომელიც მის გარდა არავინ იცის. მან დაადგინა დებულებები და ყოველი ქმნილების სიცოცხლის ხანგრძლივობა. ყველაფერი მისი ქმნილებაა. მაშასადამე, სანამ ქმნილებებს შექმნიდა, მან უკვე იცოდა ისინი — მათი მდგომარეობა, საქმეები და დასასრული — და შემდეგ შექმნა ისინი ისე, როგორც მას სურდა რომ ყოფილიყვნენ.

ანას ბინ მალიქი ალლაჰის შუამავლისგან (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) გადმოგვცემს: „ჭეშმარიტად, უზენაესი ალლაჰი დედის საშვილოსნოში ანგელოზს მიაგლენს. ის ამბობს: ღმერთო ემბრიონი ჩაისახა, ღმერთო ემბრიონისგან ხორცისებური წარმონაქმნი შეიქმნა. ხოლო როდესაც ღმერთი მის გაჩენას ინებებს, მაშინ ანგელოზი იტყვის: ღმერთო გოგო უნდა იყოს თუ ბიჭი? ღმერთო ბედნიერი უნდა იყოს თუ უბედური? რა უნდა იყოს მისი სარჩო და როგორი უნდა იყოს მისი აღსასრული? ბავშვის დედის მუცელში ყოფნისას ანგელოზი ღმერთის ბრძანების თანახმად დაწერს ამ ყველაფერს.“¹⁰

ასევე ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) სიტყვას გადმოსცემს იბნ ‘აბბასი (ალლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი): კალამი აწეულია და ფურცლები გამშრალია.¹¹

სურაყას მიერ გადმოცემულ ჰადისში ნათქვამია, რომ ჰკითხეს ალლაჰის შუამავალს (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას): რა სარგებელი მოაქვს საქმეების შესრულებას? ალლაჰის შუამავალმა უთხრა: გააკეთეთ საქმეები, რადგან ყველამ ხელი უნდა შეუწყოს იმას, რისთვის შეიქმნა.¹²

¹⁰ ბუხარი 3333

¹¹ ბუხარი 3208

¹² ბუხარი 4949

ასე რომ, ამ სამყაროში, რომელიც შექმნილია მაღალი, დაბალი, ეს ყველაფერი შექმნილია ალლაჰის განგებულებით, ცოდნით და ღვთაებრივი ნებით. არც ერთი ფოთოლი არ ვარდება ხიდან მისი ცოდნის გარეშე და არც ერთი წვეთი არ ჩამოდის ციდან მისი ნების გარეშე.

შემდეგ ავტორი ამბობს: „გქონდეს მათი რწმენა“ — ანუ იგულისხმება ის გადმოცემები, რომლებიც ამ საკითხს განმარტავს.

მორწმუნეს ევალება რომ გულითა და გონებით, გარეგნულად და შინაგანად, დაიჯეროს ისინი და დაემორჩილოს მათ ისე, როგორც ეს გააკეთეს საჰაბეებმა (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი), რომლებმაც ეს ყველაფერი გაიგონეს პირდაპირ შუამავლისგან ﷺ, გაიაზრეს და იმოქმედეს შესაბამისად. ასევე ჩვენთვისაც სავალდებულოა მათი მიღება სრული მორჩილებითა და დაკმაყოფილებით, ისე რომ არ დავიწყოთ მათზე კამათი ან უარყოფა. ასე იყო საჰაბეების რწმენა და მორჩილება — სუფთა, მტკიცე და გულწრფელი, ყოველგვარი ეჭვის გარეშე.

ეს განპირობებულია მათი ჭეშმარიტი რწმენითა და სიმტკიცის სრულყოფილებით, მათი გულების სიწმინდით და ღრმა ცოდნით იმის შესახებ, რომ მათი ღმერთი აკეთებს იმას, რაც მას სურს. რაც ალლაჰს სურს — ის აუცილებლად ხდება, ხოლო რაც არ სურს — ვერასოდეს მოხდება. ვერავინ და ვერაფერი შეაფერხებს მის ბრძანებასა და ნებას.

და არავინ უნდა თქვას 'რატომ?' ან 'როგორ?'

ახსნა

لَا يُسْأَلُ عَمَّا يَفْعَلُ وَهُمْ يُسْأَلُونَ

იგი არ არის პასუხისმგებელი იმის გამო, რასაც იქმნ. მათ კი მოჰკითხავენ იმას, რასაც აკეთებდნენ. (ენზია 21:23)

أَلَا لَهُ الْخَلْقُ وَالْأَمْرُ ۗ تَبَارَكَ اللَّهُ رَبُّ الْعَالَمِينَ

განა, მას არ ეკუთვნის გაჩენა და მბრძანებლობა? რაოდენ დიადია ალლაჰი, სამყაროთა ღმერთი! (ა'რაფ 7:54)

ასე რომ, ყველა ქმნილება მისია და ყველა მისი მსახურია. იგია მათი ბატონი და მბრძანებელი. ქმნილებებისთვის სავალდებულოა იმის გააზრება, რომ ყველა საქმე მას ეკუთვნის. მან შექმნა ისინი როგორც მოისურვა. მისი ქმნილება როგორც არის, მისი ღვთაებრივი ნებით იყო განსაზღვრული. ალლაჰი ამბობს:

فَتَبَارَكَ اللَّهُ أَحْسَنُ الْخَالِقِينَ

რაოდენ დიდებულია ალლაჰი, საუკეთესო გამჩენი.
(მუმინუნ 23:14)

დიდებული და ყველაზე აღმატებული ალლაჰი ისეთი გამჩენია ყველაფრის და მისი ნება ყველგან სრულდება. ყველა სიკეთე მის ხელშია და ბოროტება მას არ მიეწერება. ვისაც მან უწყალობა სიკეთე და რწმენა, ეს არის მისი წყალობა თავისი მსახურის მიმართ. ვისაც ურწმუნოება და ცუდი გზა განესაზღვრა ეს არის მისი სამართლიანობა, და იგი არ არის მისი მსახურების მჩაგვრელი. ალლაჰი ამბობს:

لَا يُسْأَلُ عَمَّا يَفْعَلُ وَهُمْ يُسْأَلُونَ

იგი არ არის პასუხისმგებელი იმის გამო, რასაც იქმს. მათ კი მოჰკითხავენ იმას, რასაც აკეთებდნენ. (ენზია 21:23)

მანვე თქვა:

هُوَ الَّذِي خَلَقَكُمْ فَمِنْكُمْ كَافِرٌ وَمِنْكُمْ مُؤْمِنٌ ۗ وَاللَّهُ بِمَا تَعْمَلُونَ بَصِيرٌ

იგია ის, ვინც გაგაჩინათ, და ზოგი თქვენგანი ურწმუნოა და ზოგიც მორწმუნეა. და ალლაჰი ხედავს, რასაც აკეთებთ. (თელაბუნ 64:2)

لَيْسَ لَكَ مِنَ الْأَمْرِ شَيْءٌ

შენ ამ საქმესთან ხელი არ მიგიწვდება, (ალი იმრან 3:128)

ის, ვინც კითხულობს რატომ ან როგორ, ის შეეხო იმ საკითხს, რაც მას არ ეხება. ალლაჰის მიერ შესრულებული საქმეების სიბრძნეს ვერავინ ჩასწვდება და ქმნილებებისთვის უმჯობესია ისინი მიიღონ მორჩილებით.

ალლაჰი ამბობს:

وَمَا أَوْتَيْتُمْ مِّنَ الْعِلْمِ إِلَّا قَلِيلًا

თქვენ კი არ გბოძებიათ ცოდნა, მცირედის გარდა.
(ისრა 17:85)

ყველა ქმნილებამ. მათ შორის ადამიანთა მოდგმამ, ისევე როგორც ჯინებმა, პირველიდან უკანასკნელამდე რაც იციან და რა ცოდნაც დააგროვეს, ის მხოლოდ წვეთს ჰგავს უდიდეს ოკეანეში. რაც იციან ქმნილებებმა, ესეც ალლაჰის მიერ ნაბოძები ცოდნაა.

ალლაჰი ამბობს:

وَلَا يُحِيطُونَ بِشَيْءٍ مِّنْ عِلْمِهِ إِلَّا بِمَا شَاءَ

ისინი კი მის ცოდნისგან მხოლოდ იმას გასწვდებიან, რასაც ინებებს
(ბაყარა 2:255)

შემდეგ ავტორმა თქვა: არავინ თქვას ‘როგორ?’ ან ‘რატომ?’ ვინაიდან ყველაფერი განპირობებულია ალლაჰის ცოდნისა და სიბრძნის სისრულით,

დადასტურება არის მისი რწმენა

თასდიყი (დადასტურება) არის ჭეშმარიტი რწმენა, რომელშიც არ არის არც ერთი ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რაც სანდოდ არის გადმოცემული და დამტკიცებული შუამავლისგან ﷺ. ეს ნიშნავს, რომ მორწმუნე არ ლაპარაკობს საკუთარი სურვილით ან ზედმეტი განსჯით, არამედ გულით აღიარებს ყოველივე, რაც ღმერთის ნებით და წინასწარი განგებით დადგენილია. ყადართან (ბედისწერასთან) დაკავშირებით გადმოცემულია ალლაჰის შუამავლის ﷺ სიტყვები: ‘კალამი აწეულია და გვერდები გამშრალი’¹³

და ასევე შუამავლის ﷺ ჰადისი:

‘ანგელოზები წერენ მის სარჩოს, სიცოცხლის ხანგრძლივობას, მის საქმეებს და იქნება ბედნიერი თუ უბედური’

ეს ნიშნავს, რომ ყოველივე დადგენილია ადამიანის შექმნამდე და ამ ცხოვრებაში მის არსებობამდე — ყველაფერი უკვე დაწერილი და წინასწარ განსაზღვრულია ალლაჰის წიგნში. ადამიანზე არაფერია დაკისრებული იმაზე მეტი, ვიდრე ის, რომ შესრულოს ის, რაც უბრძანა მისმა ღმერთმა, დაიმდაბლოს თავი მის წინაშე და გულწრფელად მიმართოს მას, ეძიოს მისთან თავშესაფარი და დაცვა ყოველი ბოროტებისგან. და ვინც მტკიცედ ირწმუნებს და გულით მიიღებს ალლაჰის განგებას, ალლაჰი ჩაწერს მას ბედნიერთა და კმაყოფილთა რიგებში, და არ ჩაწერს მას უბედურთა და ჯოჯოხეთის ხალხთან ერთად. მაგრამ ვინც დაიწყებს კითხვა-კითხვას — „რატომ?“ ან „როგორ?“ — ის უკვე მიიჩნევა სიახლეთა გამომგონებლად და შესაძლოა ურწმუნოებაშიც ჩავარდეს. ამიტომ არ უნდა ითქვას: „რატომ შექმნა ალლაჰმა ესა და ეს მორწმუნედ?“, ან „რატომ გახადა ალლაჰმა ეს ურწმუნოდ?“ ან „რატომ მიანიჭა ამდენი სიკეთე ერთს და მეორე გააღატაკა?“ მორწმუნემ უნდა მიიღოს ყველაფერი ისე, როგორც ალლაჰმა დაადგინა, და იმოქმედოს მხოლოდ იმ საფუძველზე, რაც მას უბრძანა. ალლაჰია ღვთისმოსავთა მფარველი და დამცველი, მფარველია მათი, ვინც სინანულით მიმართავს მას, ვინც მოთმინებით იტანს განსაცდელებს, ვინც თავმდაბლობით ემორჩილება და მართალი რჩება თავის რწმენაში.

¹³ თირმიზი 2516

ვინც ვერ სწვდება გადმოცემის მნიშვნელობას და ვისი გონებაც ვერ აღიქვამს მის სიღრმეს, მისთვის საკმარისია ის, რომ გულწრფელად მიიღოს, ირწმუნოს და დაემორჩილოს მას

ახსნა:

ეს იმიტომ, რომ ეს არის ჭეშმარიტება, რომელშიც არ არსებობს სიცრუე. რადგან გადმოცემები — იქნება ეს აიათი თუ ჰადისი — არის ალლაჰის და მისი შუამავლის ﷺ სიტყვები. გონიერი და ჭკვიანი ადამიანის ნიშანია, რომ ის მიჰყვება ყურანისა და სუნნას მითითებებს, დაფიქრდება მათ მნიშვნელობაზე და ცდილობს მათი სიღრმის გააზრებას, რათა შეძლოს მოქმედება მათი მიხედვით. ასეთია ალლაჰის მსახურებიდან ყველაზე გონიერი ადამიანი. თუმცა შეიძლება არსებობდეს ისეთი, ვისი გონება ან გაგება სუსტია, ამიტომ ვერ სწვდება გადმოცემის არსს ან მისთვის ორაზროვანია. ამ შემთხვევაში, თუ მისი გონება ვერ წვდება გადმოცემის მნიშვნელობას, მას არ აქვს უფლება უარყოს იგი. პირიქით — მას ევალება, დაემორჩილოს, მიიღოს და ირწმუნოს იგი, რადგან არსებობს ისეთი, ვისაც მასზე მეტი გონება, ცოდნა და გამჭრიახობა აქვს.

უზენაესი ალლაჰი ამბობს:

وَفَوْقَ كُلِّ ذِي عِلْمٍ عَلِيمٌ

ყოველი მცოდნის ზემოთ კი ყოველისმცოდნეა.

(იუსუფ 12:76)

მუსლიმისთვის ალლაჰისა და მისი შუამავლის ﷺ სიტყვები უმაღლესი პრიორიტეტია — ისინი არ შეიცავს წინააღმდეგობებსა და უთანხმოებებს, არამედ ერთმანეთს ავსებენ და განმარტავენ.

იმამი ბევრჯერ შეხვედრია ისეთ ადამიანებს, ვინც დაემორჩილა საკუთარ ვნებებს, ფილოსოფიურ აზროვნებას, ეჭვებსა და უსაფუძვლო კამათს; ასევე ისეთებსაც, ვინც არ გამოირჩეოდა ღვთისმოსაობითა და გულწრფელობით. ისინი ცდილობდნენ თავიანთი გონებით ამაღლებას, იყვნენ ამპარტავნები და მოტყუებულნი იმ მცირედი ცოდნით, რაც ჰქონდათ. მათ შესახებ შეიხ ალ-ისლამ იბნ თაიმიამ (რაჰიმაჰულლაჰი) თქვა: „მათ მიეცათ ინტელექტი, მაგრამ არ მიეცათ გულის სიწმინდე.“

როცა იმამი იბნ თაიმიამ (რაჰიმაჰულლაჰი) შეხვდა იმ ხალხს, ვინც კამათობდა რელიგიის საკითხებზე და ჰადისების სისწორეზე, მან დაინახა მათი დავა და უარყოფა იმაში, რაც აშკარად გადმოცემულია შუამავლის ﷺ სიტყვებში, სწორედ მაშინ თქვა მან ეს სიტყვები. ის მიმართავდა ხალხს და ასწავლიდა, რომ მორწმუნემ უნდა ირწმუნოს და დაემორჩილოს იმასაც, რაც მისი გონების საზღვრებს სცდება, რადგან ყველა სანდო

გადმოცემა — იქნება ეს აიათი თუ ჰადისი — მოსულია ალლაჰისგან და მისი შუამავლის ﷺ მხრიდან, და მათი მიღება, რწმენა და მორჩილება მორწმუნისთვის სავალდებულოა.

გადმოცემები ბედისწერის შესახებ.

إِنَّ خَلْقَ أَحَدِكُمْ يُجْمَعُ فِي بَطْنِ أُمِّهِ أَرْبَعِينَ لَيْلَةً

‘თქვენი გაჩენა დედის საშვილოსნოში ორმოცი ღამის განმავლობაში ყალიბდება’¹⁴

ეს ჰადისი ამტკიცებს, რომ არავინ იბადება და არავინ ტოვებს მიწიერ ცხოვრებას ისე, რომ არ იყოს ალლაჰის ნება, ცოდნა და სურვილი. ალლაჰმა წინასწარ განსაზღვრა თავისი განგება და მისი განგება ყოველსმომცველია. მან დაწერა ის რაც სურდა და რაც უნდა მომხდარიყო. ხდება ცხოვრებაში ის, რაც მას სურდა რომ აღსრულებულიყო. ალლაჰი ადგენს ამას საუკეთესოდ როგორც მან თქვა თავის წიგნში:

لَا يُسْئَلُ عَمَّا يَفْعَلُ وَهُمْ يُسْئَلُونَ

იგი არ არის პასუხისმგებელი იმის გამო, რასაც იქმს. მათ კი მოჰკითხავენ იმას, რასაც აკეთებდნენ. (ენზია 21:23)

მორწმუნე მსახურს არაფერი ეკისრება, გარდა იმისა, რომ ირწმუნოს ალლაჰის განგება ყველაფერზე, და მან იცის, რომ ვერსად დაემალება ალლაჰის წინასწარ განგებას და ცოდნას, რამეთუ იგი ბრძანებს:

إِنَّا كُلَّ شَيْءٍ خَلَقْنَاهُ بِقَدَرٍ

ჭეშმარიტად, შევქმენით ყოველი თავისი ბედისწერით. (ყამარ 54:49)

وَعِنْدَهُ مَفَاتِحُ الْغَيْبِ لَا يَعْلَمُهَا إِلَّا هُوَ ۚ وَيَعْلَمُ مَا فِي الْبَرِّ وَالْبَحْرِ ۚ وَمَا تَسْقُطُ مِنْ وَرَقَةٍ إِلَّا يَعْلَمُهَا وَلَا حَبَّةٌ فِي ظُلْمَةٍ إِلَّا يَعْلَمُهَا وَلَا رَطْبٌ وَلَا يَابِسٌ إِلَّا فِي كِتَابٍ مُبِينٍ

მასთანაა დაფარულის გასაღებნი და არავინ იცის მის გარდა. იცის, რაც ხმელეთზეა და რაც ზღვაშია და ერთი ფოთოლიც კი არ ჩამოვარდება, მან რომ არ იცოდეს. ერთი მარცვალის კი არაა დედამიწის წყვილიადში, და ერთი ნესტი და მშრალიც კი არ არის ისე, რომ ცხად წიგნში არ იყოს. (ან'ამ 6:59)

وَخَلَقَ كُلَّ شَيْءٍ فَقَدَرَهُ تَقْدِيرًا

... შექმნა ყოველი საგანი და რიგიანად გადაანაწილა.

(ფურყან 25:2)

¹⁴ მუსლიმი 2643

وَكُلُّ شَيْءٍ فَعَلُوهُ فِي الزُّبُرِ

ყველაფერი, რაც მათ გააკეთეს, დაცულ წიგნშია. (ყამარ 54:52)

ყველაფერი ამ სამყაროში არის წინასწარ განგების საფუძველზე და მის მიერ განწესებული დაცულ წიგნში. არაფერი ხდება ამ სამყაროში იმის გარდა რაც იყო დაწერილი. იბნ აბბასის ჰადისში გადმოცემულია:

رُفِعَتِ الْأَقْلَامُ وَجَفَّتِ الصُّحُفُ

‘კალამი აწეულია და გვერდები გამშრალი’¹⁵

ბედისწერის შესახებ გადმოცემები ეწინააღმდეგება საზიზღარ სექტას; ყადარიას, რადგან მათ უარყვეს ალლაჰის მიერ დადგენილი ბედისწერა. დაე ალლაჰმა დალუპოს მათი სიცრუე. მუსლიმან ადამიანს ევალეება ჰქონდეს ბედისწერის რწმენა, დაამტკიცოს და არ უნდა უარყოს. მან არ უნდა უარყოს არაფერი, რაც გადმოცემულია ბედისწერასთან დაკავშირებით. და სჯეროდეს, რომ ყველაფერი ხდება ალლაჰის განგებით, ნებით და ცოდნით, როგორც უზენაესმა ალლაჰმა თქვა:

إِنَّا كُلَّ شَيْءٍ خَلَقْنَاهُ بِقَدَرٍ

ჭეშმარიტად, შევქმენით ყოველი თავისი ბედისწერით.

(ყამარ 54:49)

ალ-იმანუ ფი ყადარ - ბედისწერის რწმენა, არის რწმენის ექვსი პირობიდან ერთ-ერთი, და თუ მისი არ გწამს, ესეიგი არ გაქვს რწმენა, და ითვლება ურწმუნოდ. ჩვენ ვთხოვთ ალლაჰს, რომ გაგვიძლიეროს რწმენა და არ დაუშვას, რომ ჩვენი გულები გადაიხაროს მას შემდეგ, რაც სწორი გზა გავიგნეთ. ჩვენ კი ვთხოვთ ყოვლისშემძლეს შემდეგნაირად ‘ო, გულების შემცვლელი, განამტკიცე ჩვენი გულები შენს რელიგიაში, ო, გულების მაკონტროლებელი, მიაქციე ჩვენი გულები შენი მორჩილებისკენ’

ჰადისი ‘თქვენ დაინახავთ თქვენს ღმერთს განკითხვის დღეს’

ახსნა

მუ‘თაზილები შეცდნენ იმ საკითხში, რაც შეეხება სამოთხის ბინადართა მიერ ალლაჰის ხილვას, ისევე როგორც ყადარიტები შეცდნენ ბედისწერის საკითხში. ამრიგად, მორწმუნის მოვალეობაა, რომ მტკიცედ ირწმუნოს ყველა სანდო გადმოცემა, რომელშიც ნათქვამია, რომ მორწმუნეები იხილავენ თავიანთ ღმერთს საიქიოში. როდესაც ისინი დასახლდებიან სამოთხეში — სადაც მარადიულად იცხოვრებენ — მხოლოდ მათ მიეცემათ უზენაესი ალლაჰის ხილვის ნება.

¹⁵ თირმიზი 2516

وَجُوهٌ يَوْمَئِذٍ نَّاضِرَةٌ

იმ დღეს გაბრწყინებული სახეები იქნება.

إِلَىٰ رَبِّهَا نَاظِرَةٌ

თავიანთი ღმერთისკენ მაცქერაღნი. (ყიამეთ 75:22-23)

და სხვა აიათი

لِّلَّذِينَ أَحْسَنُوا الْحُسْنَىٰ وَزِيَادَةٌ

მათთვის, ვინც სიკეთე აკეთა - უფრო უკეთესი და მეტიც. (იუნუს 10:26)

შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) განმარტა სიტყვა **مَنْ** (უფრო მეტიც) და ნიშნავს, რომ მორწმუნეები დაინახავენ თავიანთ ღმერთს. მან ასევე თქვა:

إِنَّكُمْ سَتَرُونَ رَبَّكُمْ يَوْمَ الْقِيَامَةِ

თქვენ დაინახავთ თქვენს ღმერთს განკითხვის დღეს, ¹⁶

ადი ბინ ჰათიმი გადმოსცემს: ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა:

مَا مِنْكُمْ مِنْ أَحَدٍ إِلَّا سَيُكَلِّمُهُ رَبُّهُ، لَيْسَ بَيْنَهُ وَبَيْنَهُ تُرْجُمَانٌ وَلَا حِجَابٌ يَحْجُبُهُ

თქვენს შორის არავინ იქნება ისეთი, ვისაც თავისი ღმერთი არ დაელაპარაკება, და მათ შორის არ იქნება თარჯიმანი და არც საფარველი. ¹⁷

გარდა ამისა არის გადმოცემები და აიათები, რომელიც მოვიდა ჩვენამდე სარწმუნო გზით.

მორწმუნეს ევალება დაემორჩილოს სანდოდ გადმოცემულ ტექსტებს და არ უარყოს ისინი. არ უნდა იკამათოს მის შესახებ და არ უნდა მოიქცეს ისე, როგორც სიახლის მიმყოლი და შეცდომაში მყოფი ხალხი აკეთებს, როგორც იქცევიათ მუ'თაზილიტები, რომელთა გონებაც დაბინდულია. იმამ აჰმადმა თქვა: 'შენთვის სავალდებულოა, ალლაჰის მსახურო, რომ გჯეროდეს მათი, მაშინაც კი თუ არ გესმის გადმოცემების მნიშვნელობა.'

¹⁶ ბუხარი 7436

¹⁷ ბუხარი 7443

ახსნა

ავტორის სიტყვა აქ სრულიად ნათელია — ის კვლავ ადასტურებს, რომ მუსლიმისთვის სავალდებულოა მორჩილება და ურყევი რწმენა ყველა იმ გადმოცემის მიმართ, რომელიც სანდოდ არის დადასტურებული. მორწმუნემ არ უნდა უარყოს ეს გადმოცემები, თუნდაც ვერ ახსნიდეს ან ვერ იგებდეს მათ მნიშვნელობას. რელიგიის ტექსტის უარყოფა მიუღებელია, რადგან ვინც უარყო მისი ერთი ასობგერაც კი — მან უარყო მთელი რელიგია.

ახსნა

აი, ეს არის სალაფების გზა - (ალლაჰი იყოს მათით კმაყოფილი) რელიგიაში, განსხვავებების, კამათის და დაპირისპირებების მიტოვება, რადგან კამათი და დაპირისპირებები არის უბედურების საფუძველი. დარწმუნებით და მტკიცედ უნდა მიიღო და გჯეროდეს რაც მოვიდა სანდოდ. ალლაჰის სიტყვები:

فَلَا وَرَبِّكَ لَا يُؤْمِنُونَ حَتَّىٰ يُحَكِّمُوكَ فِيمَا شَجَرَ بَيْنَهُمْ ثُمَّ لَا يَجِدُوا فِي أَنفُسِهِمْ حَرَجًا
مِّمَّا قَضَيْتَ وَيُسَلِّمُوا تَسْلِيمًا

მაგრამ არა! შენს ღმერთს ვფიცავ! ვერ ირწმუნებენ ისინი, ვიდრე მსაჯულად არ დაგადგენენ იმისა, რის გამოც დაობდნენ ერთმანეთში. მერე კი წინ ვედარ აღუდგებიან თავიანთ სულელებში შენს გადაწყვეტილებას. და დაემორჩილებიან სრული მორჩილებით. (ნისა 4:65)

ასევე, უნდა მიატოვოთ დებატები და კამათი სხვებთან, რადგან ეს იწვევს მტრობას, სიმუღვილს და გულებით ზიზღს. მთავარი პრინციპი არის რელიგიის შესწავლა, სწავლება და გააზრება, ალლაჰისკენ მოწოდება მკაფიო არგუმენტებით ¹⁹ და ცოდნის საფუძველზე საუბარი იმ საკითხებზე, რაც სარგებლის მომტანია.

¹⁸შეიხ უბაიდ ალ-ჯაბირიმ თქვა: ეს არის პრინციპი, რომელიც შეიცავს ბევრ საკითხს: როდის მივიღებთ ჰადისს? თუ ეს გადმოცემა შუამავლისგან (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) სანდოა და გადმოცემა, თავისი გადმოცემლებით უნდა აკმაყოფილებდეს ხუთ პირობას, ესენია:

1. გადმოცემთა სანდოობა
2. მათი სიზუსტე.
3. უწყვეტობა გადმოცემთა ჯაჭვში.
4. უზნეობისგან თავისუფალი
5. შეცდომებისგან თავისუფალი

(ალ-თაყირი ალ-აჰმად ბი შარჰ უსულ ას-სუნნა ლილ იმამ აჰმად გვ 47)

أَدْعُ إِلَى سَبِيلِ رَبِّكَ بِالْحُكْمَةِ وَالْمَوْعِظَةِ الْحَسَنَةِ

მოუწოდე შენი ღმერთის გზისკენ სიბრძნითა და კარგი შეგონებით, (ნაჰ 16:125)

და მან აგრეთვე თქვა:

فَتَعَلَى اللَّهِ الْمَلِكُ الْحَقُّ وَلَا تَعْجَلْ بِالْقُرْآنِ مِنْ قَبْلِ أَنْ يُقْضَىٰ إِلَيْكَ وَحْيُهُ وَقُل رَّبِّ
زِدْنِي عِلْمًا

ჭეშმარიტი მეუფე, უზენაესი ალლაჰია! ნუ იჩქარებ ყურანით, ვიდრე არ დასრულდება შენთვის მისი ზემთაგონება და თქვი: „ღმერთო ჩემო! შემმატე ცოდნა! (ტაჰა 20:114)

ადამიანი ყოველთვის იქნება მცოდნე, სანამ ცოდნის ძიებაშია, და თუ ის ფიქრობს, რომ უკვე მცოდნეა, მაშინ ის უმეცარია. მცოდნეს, ცოდნასთან ერთად დაკისრებული აქვს თაყვა (ღვთისმოსაობა). უზენაესმა ალლაჰმა თქვა:

وَتَزَوَّدُوا فَإِنَّ خَيْرَ الزَّادِ التَّقْوَىٰ وَاتَّقُونِ يَا أُولِيَ الْأَلْبَابِ

მოიმარაგეთ საგზალი, მაგრამ საუკეთესო საგზალი, ღვთისმოშიშობაა. ჰეი გონიერნო, გეშინოდეთ ჩემი! (ბაყარა 2:197)

და მისი სიტყვა:

وَاتَّقُوا اللَّهَ وَيُعَلِّمُكُمُ اللَّهُ

გეშინოდეთ ალლაჰისა! ალლაჰი გასწავლით... (ბაყარა 2:282)

¹⁹გადმოცემულია იმამ მალიქ ბინ ანასიგან, რომ ერთი კაცი მოვიდა მასთან, სახელად აბულ ჯუვაირია, რომელიც ბრალდებული იყო მურჯიზმში, და უთხრა იმამ მალიქს: აბუ აბდულლაჰ, მომისმინე, მე მინდა შენთან ვილაპარაკო და ვიკამათო ჩემს შეხედულებასთან დაკავშირებით. იმამ მალიქმა ჰკითხა: 'და რა მოხდება თუ მოიგებ კამათში? მან უთხრა: თუ მე მოვიგებ კამათში მაშინ შენ მე გამომყვები. იმამ მალიქმა ისევ ჰკითხა: და რომ მოვიდეს სხვა კაცი და გვძლიოს კამათში, მაშინ რა ვქნათ? აბულ ჯუვაირმა უთხრა: მაშინ ჩვენ გავყვებით მას. იმამ მალიქმა უთხრა: 'ჰეი, ალლაჰის მსახურო, ალლაჰმა მუჰამმადი წარმოგზავნა ერთი, ჭეშმარიტი რელიგიით და მე ვხედავ, რომ შენ გინდა ერთი რელიგიიდან მეორეზე გადასვლა. (ალ-აჯური ამ-შარია 1:437; ალ-იბანა 2:507)

ახსნა

მე ვამბობ: ბედისწერასთან დაკავშირებული საკითხი თავის არსში ნათელი და გასაგებია. ავტორი მკითხველს აფრთხილებს, რომ არ უნდა დაიწყოს კამათი ან უარყოფა ამ თემაზე. ვინც ასე მოიქცევა, ეს მიუთითებს მის უცოდინრობაზე, თავკიდიდან გადახრაზე, უარყოფასა და ამპარტავნებაზე. ჰადისებში დაგმობილნი არიან ისინი, ვინც ამტკიცებენ, თითქოს არ არსებობს ღვთაებრივი წინასწარ განგება.

იბნ უმარი გადმოსცემს: შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა:

الْقَدَرِيَّةُ مَجُوسٌ هَذِهِ الْأُمَّةُ إِنْ مَرَضُوا فَلَا تَعُوذُوهُمْ وَإِنْ مَاتُوا فَلَا تَشْهَدُوهُمْ

ყადარია ამ უმმეთის ჯადოქრები არიან. თუ ავად გახდებიან, არ მოინახულოთ ისინი, და თუ მოკვდებიან არ ილოცოთ მათი ჯანაზა.²⁰

ჰუზეიფა ყვებოდა, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა:

لِكُلِّ أُمَّةٍ مَجُوسٌ وَمَجُوسٌ هَذِهِ الْأُمَّةُ الَّذِينَ يَقُولُونَ لَا قَدَرَ

"ყველა საზოგადოებაში არის ჯადოქრები და ამ საზოგადოების ჯადოქრები ისინი არიან, რომლებიც ბედისწერას უარყოფენ."²¹

მე ვამბობ: ასევე მრავალი სხვა გადმოცემაც არსებობს, რომლებიც უარყოფენ ბედისწერის უარყოფელთა შეხედულებებს. ამასთანავე, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია საიქიოში ალლაჰის ხილვის საკითხი. ისინი, ვინც ამტკიცებენ, რომ ალლაჰი არ გამოჩნდება განკითხვის დღეს, ცდებიან. იმამ ატ-ტაჰავიმ თქვა: „ალლაჰის ხილვა სამოთხის ბინადრებისთვის ჭეშმარიტებაა.“ ასეთია ისლამური თეოლოგიის სწორი შეხედულება ამ საკითხებში, რაც დასტურდება ყურანის აიათებით. იმამ აჰმადი ძლიერი წინააღმდეგობის წინაშე აღმოჩნდა ვნებების მიმდევარი ხალხისგან, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ყურანი ქმნილებაა (მუ'თაზილიტები). ამ მიზეზით ის დასაჯეს, სცემეს, დააპატიმრეს და ბრალად დასდეს, თითქოს ხალხში ცდუნება (ფიტნა) შეიტანა — თუმცა იმამ აჰმადი სრულიად შორს იყო ფიტნისგან. ამ საკითხის გამო ბევრი სწავლული გაასამართლეს — ზოგნი მოკლეს, ზოგნი ციხეში ჩასვეს და აწამებდნენ. ეს ფიტნა იყო იუდეველთა გეგმა, რომელიც მუ'თაზილიტების ენით გავრცელდა. დაე ალლაჰმა მისცეს მათ ის, რასაც იმსახურებენ.

²⁰ აბუ დავუდი 4691

²¹ აბუ დავუდი 4691

წიგნის ავტორმა თქვა: გზააბნეულების მიდგომა ასეთია - 'ქელამის თანახმად ბედისწერა, საიქიოში ალლაჰის ხილვა და ყურანის უქმნელობა დაუშვებელია'

მე ვამბობ: მათი ასეთი მიდგომა იწვევს განხეთქილებასა და საცდურებს რელიგიაში. ღრმა ჩაძიება და სიღრმისეული კამათი ამ თემებზე მიეკუთვნება იმ საკითხებს, რომლებიც ადამიანს აეჭვებს და აცდუნებს რწმენაში. ასეთმა მიდგომამ შესაძლოა დააზიანოს მორწმუნე — და ეს ზუსტად ის არის, რაც შაიტანსა და მის თანამოაზრეებს სურთ. იმამს სურდა, აეხსნა ჩვენთვის, რომ შაიტანის მიზანია ადამიანთა გზიდან აცდენა და ეჭვებში ჩაგდება. ამიტომ იმამი მოუწოდებს, რომ მორწმუნეებმა დაიცვან სალაფების გზა, რადგან ისინი ასეთ საკითხებში არ ჩაღრმავებულან — მათი რწმენის სიწმინდისა და სწორი გაგების გამო. სალაფების მიდგომა არის უსაფრთხო და სწორ გზაზის კვალი, განსხვავებით ფილოსოფოსებისა და გზააბნეულთა გზისგან. როგორც იმამ ატ-ტაჰავი ამბობს თავის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ნაშრომში: „ყურანის გარდა არაფერშია უსაფრთხოება, და ჩვენ ვამოწმებთ, რომ ეს არის ალლაჰის სიტყვა. ჩვენ არ ვამბობთ, რომ იგი ქმნილებაა და არ ვეწინააღმდეგებით მუსლიმთა ერთობას (ჯამა'ათს).“

იბნ აბილ 'იზმა, აყიდა ატ-ტაჰავის ამხსნელმა თქვა: 'აჰლუ სუნნა, ოთხი მაზჰაბი, ადრინდელი და გვიანდელი სწავლულები თანხმდებიან იმაზე, რომ ყურანი არის ალლაჰის სიტყვა, და ის ქმნილება არ არის'

თუნდაც ამტკიცებდეს რომ სუნნაზაა, ის მაინც არ არის სუნნაზე სანამ არ დატოვებს კამათს და არ დაიჯერებს გადმოცემებს.

ახსნა

მე ვამბობ: ეს არის შესანიშნავი კომენტარი კეთილშობილი იმამისგან. იმამ აჰმადი მკაფიოდ გამოიხატავს ქელამის მიმდევრებს — მათ, ვინც ფილოსოფიურ კამათში ებმება და რელიგიურ ჭეშმარიტებას გონების გზით განმარტავს და არა ისე, როგორც განმარტეს სალაფებმა — და ასევე მათ, ვინც მათგან სწავლობს. აჰლუ სუნნა უარყოფს ასეთ მიდგომას და არ იღებს მათ რიგებში. ვინც ამ საკითხებს ზედმეტად უღრმავდება და საკუთარ ინტელექტს აყენებს გადმოცემებზე მაღლა, ის უკვე მიეკუთვნება ამ გზააბნეულთა რიგებს. იმამ აშ-შაფი'იმ თქვა: „ჩემი შეხედულება ასეთი ხალხის მიმართ არის ის, რომ ისინი უნდა დაისაჯონ ჯოხითა და ფეხსაცმლით, უნდა ჩამოატარონ ქალაქებსა და დაბებში და ითქვას: 'ესენი არიან, რომლებმაც მიატოვეს ალლაჰის წიგნი და სუნნა და მიჰყვნენ ქელამისტებს.'“ ეს გამონათქვამი ასახავს იმამთა ერთხმოვან პოზიციას — რომ რელიგიის უსაფრთხო გზა არის მიბადვა ყურანსა და სუნნაზე, ხოლო ქელამი (ფილოსოფიური დისკუსიები ღვთაებრივ თემებზე) მხოლოდ უბედურებასა და გზიდან გადახვევას იწვევს.

მამასადამე, იმამ აჰმადის განცხადება — რომ ასეთი შეხედულების მქონე ადამიანი არ მიეკუთვნება აჰლუ სუნნას, არამედ მიეკუთვნება სიახლის მიმდევართ — ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ მხოლოდ ის, ვინც მიატოვებს კამათსა და ფილოსოფიურ დავას,

მიიღებს ჭეშმარიტებას და დაიჯერებს გადმოცემებს ისე, როგორც ისინი გადმოცემულია, არის ნამდვილი აკლუ სუნნა. ეს საკითხი სრულიად ნათელია და არ შეიცავს უთანხმოებას. აღნიშნული განმარტებით ცხადი ხდება, რომ ვინც ფილოსოფიურ და ინტელექტუალურ კამათებშია ჩართული რელიგიის საკითხებზე, ვალდებულია მიატოვოს ეს გზა, გულწრფელად ირწმუნოს გადმოცემები, დაემორჩილოს ჭეშმარიტებას შინაგანად და გარეგნულად, ე.ი. — გულითაც და ქმედებითაც. ამ შემთხვევაში, იგი კვლავ დაბრუნდება აკლუ სუნნას რიგებში, და ალლაჰი შეუნდობს იმას, რაც მან ადრე ჩაიდინა, რადგან ალლაჰი მიიღებს გულწრფელ სინანულს.

ყურანი არის ალლაჰის სიტყვა, და არა ქმნილება. არ უნდა შეგეშინდეთ იმის თქმა, რომ ის არ არის ქმნილება, რადგან ალლაჰის არცერთი სიტყვა ქმნილება არ არის. მოერიდეთ კამათს მათთან, ვინც სიახლეებს მიჰყვება ამასთან დაკავშირებით. და მიატოვეთ კამათი მათთანაც ვინც ამბობს: ‘არ ვიცი ქმნილებაა თუ არა’. მაშასადამე, ვინც ამას აკეთებს ან ამბობს, ის არის სიახლის (რომელიც ქუფრია) მიმყოფი ისევე, ვინც ამბობს რომ ყურანი ქმნილებაა.²²

ავტორმა თქვა: „ყურანი არის ალლაჰის სიტყვა.“ მე ვამბობ: ყურანი — ეს არის ალლაჰის სიტყვა, რომელიც ცნობილია ხალხში როგორც წმინდა წერილი, დაწერილი ფურცლებზე, დამახსოვრებული მორწმუნეთა გულებში და წაკითხული მათ ლოცვებში. ეს არის სიტყვა, რომელიც ალლაჰმა გამოაცხადა თავის შუამავალზე სანდო ანგელოზის - ჯიბრილის მეშვეობით, როგორც ღვთაებრივი გამოცხადება, მოვლენილი ყოვლისშემძლე და ამალელებული ალლაჰისგან. ჯიბრილმა მოისმინა ეს სიტყვა უშუალოდ ალლაჰისგან და ჩამოიტანა მუჰამადთან ﷺ — კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენელთან — რათა ადამიანებისთვის გზა ეჩვენებინა ჭეშმარიტებისკენ. შუამავალმა ﷺ ეს სიტყვა გვაუწყა ზუსტად ისე, როგორც გაიგონა, და ის შენარჩუნდა სრულად, უცვლელად და სანდოდ დღემდე — როგორც ალლაჰის სიტყვა, არა ქმნილება, არამედ სრულყოფილი წიგნი და სინათლე განკითხვის დღემდე.

იმამ ატ-ტაჰავიმ თქვა: „ყურანი არის ალლაჰის სიტყვა; იგი ალლაჰისგან დაიწყო, და არ შეიძლება დაისვას კითხვა იმის შესახებ, როგორ დაიწყო იგი. ალლაჰმა იგი მოუვლინა თავის შუამავალს გამოცხადების გზით. მორწმუნეებმა დაადასტურეს მისი ჭეშმარიტება და მტკიცედ იციან, რომ ყურანი არის უზენაესი ალლაჰის სიტყვა.“

მე ვამბობ: იმამ აჰმადმა მტკიცედ დაიცვა ეს რწმენა, და ამის გამო მას ბრალი დასდეს, აწამეს, სცემეს და დააპატიმრეს. მიუხედავად ყველაფრისა, იგი მოთმინებით იტანდა ტანჯვას და ჯილდოს მხოლოდ ალლაჰისგან ელოდა. ეს იყო დიდი გამოცდა, რომლის მეშვეობითაც ალლაჰმა აამალა იგი იმდენად, რომ ისტორიკოსები ამბობდნენ: „რომ არა აბუ ბაქრის ომი განდგომილების (მურთადების) დროს და იმამ აჰმადის გამძლეობა ფიტნის დროს, ისლამი დაიკარგებოდა.“ ის გახდა აკლი სუნნას იმამი, რომელმაც გამორჩეული ადგილი დაიკავა ჭეშმარიტებაზე მტკიცედ დგომით და გულწრფელობით.

22

იგი დაუპირისპირდა გზააზნეულ სიახლეთა გამომგონებელ იმამებს, უმეცარ ფილოსოფოს მუთაზილებს და ჯაჰმიტებს, რომლებიც ცდილობდნენ უარეყოთ ალლაჰის სიტყვა და მისი ატრიბუტები.

მან იქადაგა ჯანსაღი ისლამური სარწმუნოება და განმარტა იგი, როგორც შეესაბამება წმინდა ყურანს; - რომ ყურანი არის ალლაჰის სიტყვა. და იქადაგა დიდებული ალლაჰის თვისებები. ალლაჰი არის შემოქმედი და მის გარდა ყველაფერი ქმნილებაა. მისი თვისებები არ არის მისგან განცალკევებული და განსხვავებული როგორც ავტორმა თქვა: 'ალლაჰის სიტყვა არ არის მისგან განცალკევებული' რაც იმას ნიშნავს, რომ ის არ არის მისგან გამოყოფილი. ასე რომ, მეტყველების თვისება მისი მუდვი ნაწილია და არ არის მისგან განცალკევებული. ის საუბრობს მეტყველების ატრიბუტის მიხედვით, და ყურანი არის მისი სიტყვა. ალლაჰი არის შემოქმედი და არა ქმნიება, ასე რომ, მისი ატრიბუტებიც არ არის ქმნილება.

იმამმა თქვა: „უფრთხილდით სიახლეებს (ბიდ'ათს)“ — და ამის გამო იგი გაასამართლეს.

ის აფრთხილებდა ხალხს ქელამის მიმყოლი მცდარი მიმართულების მქონე ადამიანებისგან, რომლებიც ფილოსოფიასა და გამონაგონებზე ამყარებდნენ რწმენას. თუმცა ისინი თვლიდნენ, რომ მართალ გზაზე იდგნენ, მაშინ როცა სინამდვილეში ღრმა გზააზნევაში იყვნენ. ალლაჰი ამბობს:

قُلْ هَلْ نُنَبِّئُكُمْ بِالْأَخْسَرِينَ أَعْمَالًا

უთხარი: ხომ არ გვეცნობებინა თქვენთვის საქმეებში ყველაზე უფრო ხელმოცარულთა შესახებ?!

الَّذِينَ ضَلَّ سَعْيُهُمْ فِي الْحَيَاةِ الدُّنْيَا وَهُمْ يَحْسَبُونَ أَنَّهُمْ يُحْسِنُونَ صُنْعًا

რომელთა მცდელობაც ამაო იქნა ამქვეყნიურ ცხოვრებაში, თუმცა კი თვითონ მიიჩნევენ, რომ კარგ საქმეს აკეთებენ.
(ქაჰფ 18:103-104)

ავტორი აფრთხილებს არ იკამათონ იმათთან, ვინც ამ კუთხით შეცდომაშია შეყვანილი, რომლებიც ფილოსოფების გზაზე არიან რადგან ქელამის გზა ალლაჰის შესახებ ძალიან თამამი ნაბიჯი და უცოდინრობით ლაპარაკია. ალლაჰის სიტყვები:

مَا لَهُمْ بِهِ مِنْ عِلْمٍ وَلَا لِآبَائِهِمْ ۚ كَبُرَتْ كَلِمَةً تَخْرُجُ مِنْ أَفْوَاهِهِمْ ۚ إِنَّ يَقُولُونَ إِلَّا كَذِبًا

მის შესახებ არც მათ და არც მათ მამებს არანაირი ცოდნა არ გააჩნიათ. დიდი სიტყვაა, რომელიც მათი პირიდან ამოდის! ისინი მხოლოდ სიცრუეს ამბობენ. (ქაჰფ 18:5)

შემდეგ ავტორმა ახსენა გზააზნეულები, რომლებიც ლაფზს ლაპარაკობენ, რაც გულისხმობს იმას, რომ ვინც ამბობს, რომ ყურანის არტიკულაცია (გამოთქმა, ბგერები) ქმნილებაა, ის მიეკუთვნება სიახლის მიმდევართა რიგებში. საკუთარ სიტყვებში ისინი

აცხადებენ: „ყურანის კითხვისას ჩემი გამოთქმული ბგერები ქმნილებაა.“ ზუსტად აქ იწყება პრობლემა: პიროვნების ხმა მართლაც ქმნილებაა, მაგრამ რასაც იგი გამოთქვამს ყურანის კითხვისას, ეს ქმნილება არ არის. ეს გაურკვეველობა იწვევს ინტერპრეტაციების მრავალფეროვნებას, რაც ხელს უშლის ადამიანებს ყურად მოისმინონ ჭეშმარიტება სწორად. როდესაც ვერ ახერხებენ ყურანის ქმნილობის დამტკიცებას, ისინი მიმართავენ ასეთ ფილოსოფიურ ხერხს: „თუ ადამიანი იტყვის ღმერთის სახელს, თვითონ ღმერთის სახელი არ არის ქმნილება, მაგრამ ადამიანის ხმა არის ქმნილება.“ ეს მეთოდები დაბნევას იწვევს და ხალხს თავგზას ურევს, რადგან ფილოსოფები აცხადებენ, თითქოს ხალხისთვის სიკეთეს სურთ, სინამდვილეში კი თავგზა ერევათ და ჭეშმარიტებიდან აცდენენ.

იმამ ატ-ტაჰავიმ თქვა: „ჭეშმარიტად, ყურანი არის ალლაჰის სიტყვა, რომელიც მისგან მოვიდა. ჩვენ არ ვსვამთ კითხვებს ‘როგორ?’ მან მოავლინა ყურანი თავის შუამავალზე გამოცხადების გზით, და მორწმუნეებმაც დაადასტურეს. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს არის ალლაჰის სიტყვა, და ის არ არის მსგავსება ქმნილებების სიტყვისა.“ შემდეგ იმამ აჰმადმა უარყო სიახლისა და მცდარი ხალხის განცხადებები, თქვა: „ეს არის ალლაჰის სიტყვა და ქმნილება არ არის, რადგან ეს მიეკუთვნება ალლაჰის უმშვენიერეს თვისებებს.“ ყურანის ალლაჰზე მინიჭება მის ერთ-ერთ უმაღლეს ატრიბუტად ითვლება, და მისი უარყოფა ნიშნავს ალლაჰის ატრიბუტის უარყოფას. ალლაჰისა და მისი ქმნილების სიტყვა არ არის ერთნაირი. თუ ასე ვიფიქრებთ, ეს ნიშნავს, რომ წარმოვიდგინოთ ალლაჰს ნაკლულს, რაც შეუძლებელია — ალლაჰი უნაკლოა და სრულყოფილი თავისი არსითა და საქმით.

ალლაჰის სიტყვები:

არაფერია მისი მსგავსი. და იგია ყოვლისგამგონი, ყოვლისმხედველი.
(შურა 42:11)

მაშასადამე, ალლაჰი, მისი არსით, მისი თვისებებით, სახელებით და მისი მოქმედებებით აბსულუტურად სრულყოფილია. იგია სრულყოფილი და მისი თვისებების უარყოფა დაუშვებელია.

იმამ ატ-ტაჰავიმ თქვა: ‘ვინც არ გაურბის ალლაჰის თვისებების უარყოფას და მის შედარებას ქმნილებასთან, გზააბნეულია’. და ალლაჰმა უკეთ იცის

და რწმენის ქონა ალლაჰის ხილვასთან დაკავშირებით განკითხვის დღეს, როგორც გადმოცემულია შუამავლისგან (ალლაჰის ლოცვა და სალაჰი მას) სანდო ნყარობით.

ახსნა

მე ვამბობ: ეს საკითხი რელიგიის საფუძველს შეეხება და ის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია, როგორც ამას აღნიშნავს იბნ აბილ-‘იზ ალ-ჰანაფი „ალ-აყიდა ატ-ტაჰავიას“ ახსნაში. საუბარია მორწმუნეთა მიერ ალლაჰის ხილვის საკითხზე განკითხვის

დღეს, როგორც ეს გადმოცემულია ალლაჰის შუამავლისგან (ალლაჰის ლოცვა და სალამი მასზე) ავთენტურ ჰადისებში. ამ გადმოცემებში შუამავალი აღნიშნავს, რომ მორწმუნეები სამოთხეში ღმერთს საკუთარი თვალებით დაინახავენ, და ეს არ იქნება სიზმარი, არამედ რეალური ხილვა, როგორც ალლაჰმა ისურვა.

ალლაჰის სიტყვები:

وَجُودٌ يَوْمَئِذٍ نَّاضِرَةٌ

იმ დღეს გაბრწყინებული სახეები იქნება.

إِلَىٰ رَبِّهَا نَاظِرَةٌ

თავიანთი ღმერთისკენ მაცქერალნი.

(ყიამა 75:22-23)

და ასევე მისი სიტყვა:

لِّلَّذِينَ أَحْسَنُوا الْحُسْنَىٰ وَزِيَادَةٌ

მათთვის, ვინც სიკეთე აკეთა - უფრო უკეთესი და მეტიც (იუნუს 10:26)

სიტყვა აზ-ზიადა (უფრო მეტი) არის უზენაესი ალლაჰის ხილვა, ხოლო სიტყვა ჰუსნა ნიშნავს სამოთხეს. სუნნაში გადმოცემულია უამრავი ჰადისი, რომელიც მიგვითითებს, რომ სამოთხის ბინადრები დაინახავენ თავიანთ ღმერთს.

სუჰაიბი გადმოსცემს: შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) ალლაჰის სიტყვასთან - **მათთვის, ვინც სიკეთე აკეთა - უფრო უკეთესი და მეტიც (იუნუს 10:26)** თქვა: როდესაც სამოთხის ხალხი შევა სამოთხეში, დამძახებელი დაიძახებს: 'ჰემმარიტად, ალლაჰის დაპირება დარჩა თქვენთვის და მას სურს დაგაჯლოვოთ ამით' ისინი იტყვიან: 'ნუთუ არ გაბრწყინდა ჩვენი სახეები და არ შეგვიშვეს სამოთხეში?' მან (შუამავალმა) თქვა: 'და მოიხსნება საფარველი' და თქვა: 'ვფიცავარ ალლაჰს, მათთვის მიცემული არაფერი იქნება იმასთან შედარებით, ვიდრე მასზე შეხედვა.'²³

ბევრი გადმოცემა არსებობს ალლაჰის ხილვის შესახებ, როგორცაა აბუ ჰურაირას, აბუ სა'იდის, ჯარირ ბინ აბდულლაჰ ალ-ბაჯალის და აბუ მუსას ჰადისი. ყველა ჰადისი სანდოა და ყველა ჰადისი ცხადად მიუთითებს, რომ მორწმუნეები დაინახავენ ღმერთს განკითხვის დღეს, და ამ საკითხზე კამათი ცდება საღ აზრს.

იმამ იბნ აბილ 'იზ ალ-ჰანაფიმ, ატ-ტაჰავის აყიდის ამხსნელმა თქვა: დაახლოებით ოცდაათმა საჰაბამ გადმოსცა ჰადისები ალლაჰის ხილვასთან დაკავშირებით და ვინც მათ შესახებ იცის, დარწმუნებულია, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა ეს ნამდვილად. ქელამის მომხრეთა ჯგუფმა ჯაჰშიამ, მუ'თაზილამ და სხვებმა მათ გარდა,

²³ თირმიზი 3105

ვინც უარყოფს ალლაჰის თვისებებს, უარყოფენ და ამბობენ, რომ მორწმუნეები ალლაჰს ვერ დაინახავენო.

იმამ იბნ აბილ 'იზო ალ-ჰანაფიმ, ატ-ტაჰავის აყიდის ამხსნელმა 207-ე გვერდზე თქვა: 'ისინი, ვინც ეწინააღმდეგებიან მორწმუნეთა მიერ ალლაჰის ხილვას, არიან ჯაჰმიტები, მუ'თაზილები და ისინი, ვინც მათ მიჰყვებიან ხარიჯიტებისა და შიიტების რიგებიდან. მათი ეს მტკიცება მცდარია და უარყოფილია როგორც ყურანის, ასევე სუნნას საფუძველზე. საჰაბეებმა, ტაბი'ინებმა, რელიგიის ცნობილი იმამებმა და ჰადისის მეცნიერთა საზოგადოებამ ერთხმად დაადასტურეს, რომ მორწმუნეები სამოთხეში ალლაჰს დაინახავენ. შემდეგ ავტორი აგრძელებს: „ეს საკითხი ერთ-ერთი ყველაზე ფასეულია იმ საკითხებს შორის, რომლებიც დაკავშირებულია რელიგიის საფუძველებთან. დაე ალლაჰმა გვამყოფოს მათ შორის, ვინც მას დაინახავს.“

და შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) იხილა თავისი ღმერთი, რადგან ეს არის მოხსენიებული შუამავლისგან ავთენტიურ გადმოცემაში, რომელიც გადმოსცეს ყათადამ და იქრიმამ იბნ აბბასზე დაყრდნობით.

ახსნა

მე ვამბობ: იმამ აჰმადმა თქვა: "შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) იხილა თავისი ღმერთი' სწავლულები განმარტავენ, რომ 'ხილვა' აქ ნიშნავს სიზმარში; ან სიფხიზლეში ხილვას თავისი თვალით.

შეიხულ ისლამ იბნი თაიმიამ თქვა: 'რაც შეეხება არ-რუიას (ალლაჰის ხილვას) რომელიც დადასტურებულია სანდო ჰადისში იბნ აბბასის მიერ, ნიშნავს: 'მუჰამმადმა ორჯერ იხილა თავისი ღმერთი გულით' აიშამ უარყო და თქვა რომ მას არ უნახავს თავისი ღმერთი. ხალხს შორის არიან ისეთები, ვინც ათანხმებს ორ მოსაზრებას და ამბობენ, რომ აიშა უარყოფდა თვალთ ხილვას, ხოლო იბნ აბბასი ამტკიცებდა, რომ მან გულით იხილა.

ასევე იმამ აჰმადი ზოგჯერ ახსენებს ხილვას, როგორც გულით ხილვას. არავის გაუგონია მტკიცება იმამ აჰმადისგან, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) იხილა თავისი თვალეზით. თუმცა ზოგიერთი ამტკიცებს, რომ მან თავისი თვალეზით იხილაო. თუმცა უკანასკნელ მოსაზრებას უარყოფს ავთენტური ჰადისები. გადმოცემულია აბუ ზარისგან: მე ვკითხე შუამავალს (ალლაჰი ლოცვა და სალამი მას): დაინახე შენი ღმერთი? მან მითხრა:

ის არის სინათლე; როგორ შევძლებდი მის ხილვას? ²⁴

და ალლაჰის სიტყვები:

²⁴ საჰიჰ მუსლიმი 178

سُبْحَانَ الَّذِي أَسْرَىٰ بِعَبْدِهِ لَيْلًا مِّنَ الْمَسْجِدِ الْحَرَامِ إِلَى الْمَسْجِدِ الْأَقْصَا الَّذِي بَرَكْنَا
حَوْلَهُ لِنُرِيَهُ مِنْ آيَاتِنَا إِنَّهُ هُوَ السَّمِيعُ الْبَصِيرُ

დიდებას მას, ვინც ღამით გადაიყვანა თავისი მსახური მესჯიდან ალ-ჰარამიდან მესჯიდ ალ-აყსაში,²⁵ რომლის გარშემოც ვაკურთხეთ, რათა გვეჩვენებინა მისთვის ზოგი ჩვენი სასწაული. ჭეშმარიტად, იგი ყოვლისგამგონე, ყოვლისმხედველია. (ისრა 17:1)

თვალთ რომ ეხილა, ეს იქნებოდა ნახსენები. აგრეთვე ალლაჰის სიტყვები:

لَقَدْ رَأَىٰ مِنْ آيَاتِ رَبِّهِ الْكُبْرَىٰ

ვფიცავ, მან იხილა თავისი ღმერთის სასწაულთაგან უდიდესი. (ნაჯმ 53:18)

მისი თვალებით რომ ეხილა, ამის აღნიშვნა უფრო მართებული იქნებოდა. ასევე ყოვლისშემძლის სიტყვები:

وَمَا جَعَلْنَا الرُّؤْيَا الَّتِي أَرَيْنَاكَ إِلَّا فِتْنَةً لِلنَّاسِ وَالشَّجَرَةَ الْمَلْعُونَةَ

და სიზმარიც, რომელიც გიჩვენეთ, მხოლოდ ხალხის გამოსაცდელად დავადგინეთ, და ხეც. (ისრა 17:60)

ეს ეხება თვალთ ხილვას. ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) რაც იხილა ალ-ისრას ღამეს, ეს აცნობა ხალხს რაც დაინახა ამალლების ღამეს. ეს იყო გამოცდა მათთვის ვინც ირწმუნა და მათთვისაც ვინც უარყო. მათთვის არ უთქვამს რომ იხილა მისი ღმერთი. არაფერია ავთენტურ ჰადისებში გადმოცემული რაც ამაზე მიუთითებს. ასეთი რამე რომ მომხდარიყო იგი ამას ახსენებდა როგორც ახსენა სხვა საკითხები.²⁶

იმამ იბნ ალ-ყაიმა აღნიშნა, თუ რას გადმოსცემდა მისი შეიხისგან, შეიხულ ისლამ იბნი თაიმიასგან: შეიხულ ისლამ იბნი თაიმიამ თქვა: იბნ აბბასის გადმოცემა - რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) იხილა ალლაჰი, არ ეწინააღმდეგება მის განცხადებას რომელშიც თქვა: მან დაინახა ის გულით. რადგან მისგან არის გადმოცემული, მან (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) ასევე თქვა:

رَأَيْتَ رَبِّي تَبَارَكَ وَتَعَالَىٰ

დავინახე ჩემი ღმერთი, კურთხეული და დიდებული²⁷

თუმცა, ეს არ იყო ალ-ისრას ღამეს. პირიქით, ეს იყო მედინაში, როდესაც იგი წაიყვანეს ფაჯრის ლოცვის დროს და შემდეგ მან აცნობა მათ, რომ იმ ღამეს იხილა სიზმარში

²⁵ მექქადან იერუსალიმში

²⁶ მაჯმუ'ულ ფატავა 6/509-510

²⁷ იბნ ხუზაიმა ათ-თავჰიდში (2/538) ჰადისი სანდოა - სილსილა ას-საჰიჰა (3169)

თავისი ღმერთი. სწორედ ამაზე დააფუძნა იმამ აჰმადმა თავისი შეხედულება, და თქვა: 'დაიხ, მან ნამდვილად დაინახა იგი, რადგან, შუამავალთა სიზმრები არის ჭეშმარიტება' თუმცა იმამ აჰმადს არ უთქვამს: 'მან დაინახა იგი ორი თვალთა გაღვიძებულ მდგომარეობაში' და ვინც ამტკიცებს ამას, ის ცდება. არამედ მან დაინახა იგი მისი გულით.

უზენაესის სიტყვები:

مَا كَذَبَ الْفُؤَادُ مَا رَأَىٰ

და არ უარყვია გულს იგი, რაც იხილა.

(ნაჯმ 53:11)

და მისი სიტყვა:

وَلَقَدْ رَءَاهُ نَزْلَةً أُخْرَىٰ

და ვფიცავ, იხილა მან იგი სხვა ჩამოსვლისასაც.

(ნაჯმ 53:13)

მე ვამბობ: აშკარაა, რომ შუამავალმა (აღლაჰის ლოცვა და სალამი მას) ვინც იხილა, იყო ჯიბრილი, და იხილა იგი ორჯერ იმ ფორმით, რომელშიც ჯიბრილი შექმნილია. იბნ აბბასის განცხადება, რომელზეც იმამ აჰმადმა დააფუძნა თავისი შეხედულება, არის: „მან დაინახა იგი გულით“, და აღლაჰმა უკეთ იცის. აშკარაა — და აღლაჰმა უკეთ იცის — რომ ადამიანს არ შეუძლია დაინახოს თავისი ღმერთი, დიდებული და აღმატებული, ამქვეყნიურ ცხოვრებაში საკუთარი თვალეებით. იმამ იბნ აბილ 'იზი ალ-ჰანაფი, „ალ-აყიდა ატ-ტაჰავიას“ განმარტებაში ამბობს: „უმეოთე ერთიანია იმაში, რომ ამქვეყნიურ ცხოვრებაში ვერაფერს დაინახავს აღლაჰს თავისი ორი თვალთა, და ამ საკითხზე არ არსებობს უთანხმოება.“ შემდეგ კი ახსნის, რომ ის განცხადება, თითქოს შუამავალმა დაინახა თავისი ღმერთი თავისი ორი თვალთა, არ ემყარება სანდო და დამაჯერებელ საფუძველს.

მე ვამბობ: ჩვენი სწავლული, შეიხ მუჰამმად ამინ აშ-შანყიტი, თავის წიგნში „ადვა' ალ-ბაიან“ აღნიშნავს: „სინამდვილეში, რაც ტექსტებიდან ირკვევა, არის ის, რომ შუამავალს (აღლაჰის ლოცვა და სალამი მას) არ უნახავს აღლაჰი თავისი ორი თვალთა.“ სალაფებიდან (პირველი თაობებიდან) არც ერთი არ ამბობს, რომ მან დაინახა იგი თავისი ორი თვალთა. „რუიას“ (ხილვის) მიზანი აქ გულის ხილვაა, როგორც ეს ნათქვამია საჰიჰ მუსლიმში. და აღლაჰმა უკეთ იცის.

ალ-ჰაფიზ იბნ ჰაჯარმა ალ-ფათჰში გადმოსცა ყადი იადის სიტყვები: „სანდო გადმოცემები ადასტურებენ, რომ მორწმუნეები საიქიოში დაინახავენ თავიანთ ღმერთს. ხოლო რაც შეეხება ამქვეყნიურ ცხოვრებას — იმამ მალიქმა თქვა: „ღმერთი არასოდეს უნახავთ ამქვეყნიად, რადგან იგი მარადიულია, ხოლო რაც დროებითია, ვერ ხედავს მარადიულს.“ მაგრამ როცა სამოთხეში შევლენ, მათ თვალეებს მიენიჭება მარადიულად ყოფნა, რათა მარადიულმა დაინახოს ის, ვინც მარადიულია.“ ეს განმარტება ნათლად

აჩვენებს, რომ ალლაჰის ხილვა მხოლოდ საიქიოში მოხდება, როდესაც მორწმუნეებს მიენიჭებათ ისეთი შესაძლებლობა, რომელიც მათ საშუალებას მისცემს იხილონ თავიანთი ღმერთი, როგორც უმაღლესი ნეტარება სამოთხეში.²⁸

საჰიკ მუსლიმში, გადმოცემულია აბუ ზარისგან: მე ვკითხე შუამავალს (ალლაჰი ლოცვა და სალამი მას): დაინახე შენი ღმერთი? მან მითხრა:

نُورٌ أَنَّى أَرَاهُ

ის არის სინათლე; როგორ შევძლებდი მის ხილვას?²⁹

სხვა გადმოცემაში ნათქვამია:

მე დავინახე მხოლოდ შუქი³⁰

ასევე აბუ მუსასგან გადმოცემულია, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა:

حِجَابُهُ النُّورُ - وَفِي رِوَايَةٍ أَبِي بَكْرٍ النَّارُ - لَوْ كَشَفَهُ لَأَحْرَقَتْ سُبْحَاتُ وَجْهِهِ مَا أَنْتَهَى
إِلَيْهِ بَصَرُهُ مِنْ خَلْقِهِ

მისი საფარველი არის შუქი. (აბუ ბაქრის გადმოცემაში შუქის (ნურის) მაგივრად წერია ნარ (ცეცხლი). მან რომ მოიხსნას მისი საფარველი, მისი სახის ბრწყინვალება შთანთქავს მის ქმნილებებს სადამდეც მისი მხედველობა მიაღწევს.³¹

იმამ იბნ აბილ 'იზუ ალ-ჰანაფიმ, აყიდა ატ-ტაჰავიას ამხსნელმა თქვა: 'აბუ ზარის გადმოცემულის 'მე დავინახე სინათლე' მნიშვნელობა არის რომ მან დაინახა საფარველი.'

და მისი განცხადების 'იყო სინათლე და ვერ შევძელი მისი დანახვა' მნიშვნელობა არის ის, რომ სინათლე არის საფარველი, რომელიც, ხელს უშლიდა დაენახა იგი. მაშასადამე, მისი განცხადება 'როგორ შევძლებდი მის ხილვას?' ნიშნავს: როგორ შევძლევ მის ხილვას, როცა არის საფარველი ჩემსა და მას შორის? და ალლაჰმა უკეთ იცის.

²⁸ ფათჰულ ბარი (8/484)

²⁹ საჰიკ მუსლიმი (178)

³⁰ იბნ ჰიბბან (58) საჰიკ ალბანი ზილალ ალ-ჯანნა (441)

³¹ საჰიკ მუსლიმი (179)

დაჯერება სასწორის, რომელიც გაიშლება აღდგომის დღეს, როგორც ეს გადმოცემაშია: 'აღდგომის დღეს, მოიხვანებენ დიდ კაცს, თუმცა, ალლაჰის თვალში კოლოს ფრთხის წონაც არ ექნება'³² ხალხის ქმედებები აწონ-დაწონილი იქნება, როგორც გადმოცემებშია. ადაამიანს უნდა ჰქონდეს ამათი რწმენა და დაადასტუროს იგი და თავი დაანებოს მათ, ვინც ამას უარყოფს და მიატოვოს მათთან კამათი.

ახსნა

მე ვამბობ: სასწორის საკითხი კარგად ცნობილია. ეს არის რაც აწონის საგნებს რათა მათი ზომა-წონა ცნობილი გახდეს და ამით ერთმა მეორეს კომპენსირება მოახდინოს. ალლაჰმა, დიდებულმა და აღმატებულმა გვაცნობა სასწორის შესახებ, აგრეთვე მისმა შუამავალმაც (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას). უეჭველად, ალლაჰი, დიდებული და აღმატებული თავისი მსახურების მიმართ სამართლიანობის აღსრულების გამო, დააყენებს სასწორს განკითხვის დღეს, რათა მიეზღოს ყველას მათი დამსახურების შესაბამისად. როგორია სასწორის აღწერილობა? მისი აღწერილობა უცნობია. ჩვენ გვწამს სასწორის არსებობის შესახებ აიათების და ჰადისების, რომელიც არც თუ ისე ცოტაა. უზენაესი ალლაჰი თავის წიგნში ამბობს:

და განვაწესებთ ჩვენ სიმართლის სასწორებს აღდგომის დღეს; და არცერთი სული არაფრით არ დაიჩაგრება. ერთი მისხალიც რომ იყოს, მას მოვიტანთ. და საკმარისნი ვართ ჩვენ აღმნუსხველად. (ენბია 21:47)

ალ-ჰაფიზ იბნ ქასირმა განმარტა სიტყვა სასწორი. მან გადმოსცა მუსნადიდან, რომელშიც აღწერილია სასწორი: მართლმორწმუნეთა დედა აიშა (ალლაჰი იყოს მისგან კმაყოფილი) გადმოსცემს: ერთი კაცი შუამავალთან მივიდა, წინ დაუჯდა და უთხრა: 'ალლაჰის შუამავალო! მე მონები მყავს. მუდმივად მატყუებენ, მღალატობენ და მიჯანყდებიან. მეც მათ შეურაცხყოფას ვაყენებ და ფიზიკურად ვუსწორდები. მათ გამო, ჩემი მდგომარეობა როგორი იქნება? ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) უპასუხა: 'მათი შენს წინაშე ჩადენილი ღალატი, აჯანყება, ტყუილი და შენ მიერ მათი დასჯა შეფასდება. თუკი შენ მიერ აღსრულებული სასჯელი მათ დანაშაულს გაუთანაბრდება, შენ არც სარგებელი გექნება და არც ზიანი; თუკი შენს მიერ მათთვის აღსრულებული სასჯელი მათ დანაშაულზე ნაკლებია, ეს შენს სასარგებლოდ იქნება. თუკი შენი სასჯელი მათ დანაშაულს აჭარბებს, იძულებული იქნები ის ზედმეტი გადაიხადო, და შენგან იმავე ფორმით იქნება აღებული. კაცი გვერდზე გადგა და ტირილი დაიწყო. ამაზედ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) შემდეგი აიათი წაიკითხა:

وَنَضَعُ الْمَوَازِينَ الْقِسْطَ لِيَوْمِ الْقِيَامَةِ فَلَا تُظْلَمُ نَفْسٌ شَيْئًا وَإِنْ كَانَ مِثْقَالَ حَبَّةٍ مِنْ
خَرْدَلٍ أَتَيْنَا بِهَا وَكَفَىٰ بِنَا حَٰسِبِينَ

'და განვაწესებთ ჩვენ სიმართლის სასწორებს აღდგომის დღეს; და არცერთი სული არაფრით არ დაიჩაგრება. ერთი მისხალიც რომ იყოს, მას მოვიტანთ. და საკმარისნი ვართ ჩვენ აღმნუსხველად. (ენბია 21:47)

³² ბუხარი (4729)

ამის მოსმენის შემდეგ კაცმა თქვა: `ვფიცავარ ალლაჰს, ალლაჰის შუამავალო, არც ჩემთვის და არც მათთვის ერთმანეთთან დაშორებაზე უკეთესი გამოსავალი არ არსებობს. მოწმე იყავით, ისინი ყველანი თავისუფალნი იქნებიან.³³

ანალოგიურად უნდა აიწონოს გრაგნილები, რომლებზეც დაწერილია მისი ქმედებები. საჰიჰ ალ-ბუხარში გადმოცემულია, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: 'განკითხვის დღეს, დიდი მსუქანი კაცი მოვა, და ის არ იქნება ალლაჰის წინაშე უფრო მძიმე, ვიდრე კოლოს ფრთა. და შემდეგ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) დაამატა:

فَلَا نُقِيمُ لَهُمْ يَوْمَ الْقِيَامَةِ وَزْنًا

და აღდგომის დღეს მათთვის სასწორს არ გავშლით. '(ქაჰფ 18:105)³⁴

ჰაფიზ ალ-ჰაჰიმმა თქვა: 'რაც ჩანს ტექსტებიდან, და ალლაჰმა ყველაზე უკეთ იცის, არის ის, რომ ადამიანის ცხოვრება, მისი ქმედებები და გრაგნილები, რაზეც მისი საქმეება დაწერილი, უნდა აიწონოს.³⁵

და იქონია რჩებინა იმისა და დაადასტურა რომ საიქიოში ალლაჰი დაელაპარაკება

თავის მსახურებს

ახსნა

ალლაჰი დაელაპარაკება თავის მსახურებს, და განკითხვის დღესაც დაელაპარაკება მათ — ეს დადასტურებულია ყურანით, სუნნეთით და მუსლიმთა ერთსულოვანი აზრით (იჯმა). მეტყველება არის ალლაჰის სრულყოფილი ატრიბუტი, და ამ ატრიბუტს მხოლოდ ისინი უარყოფენ, ვინც თავს იტყუებს. ღმერთო ჩვენო, ნუ დაუშვებ, რომ გზა აგვებნეს მას შემდეგ, რაც სწორ გზაზე დაგვადგინე. გადმოცემულია სანდო ჰადისი შუამავლისგან ﷺ, რომელშიც ნათქვამია: 'არავინ იქნება თქვენს შორის ვისაც თავისი ღმერთი არ დაელაპარაკება, და არავინ იქნება თარჯიმანი მასა და ალლაჰს შორის.'³⁶

აგრეთვე სხვა სანდო ჰადისში ნათქვამია:

ალლაჰი იტყვის, ო ადამ! ადამი უპასუხებს " ლაბბაიქ ვა სა'დაიქ" შემდეგ ხმამაღალ ხმას გაიგონებს; ალლაჰმა გიბრძანა გამოიყვანო ჯოჯოხეთის ცეცხლიდან შენი შთამომავლობიდან.³⁷

მტკიცებულებებიდან ყველაზე მყარი და უტყუარია წმინდა ყურანი, რომელიც გვასწავლის, რომ ალლაჰი მის მსახურებს დაელაპარაკება. (იხ მაიდე 5:116. როცა ალლაჰი მიმართავს 'ისას, მის მსახურს და მოციქულს), ყურანთან სიცრუე ვერ მიაღწევს — ვერც

³³ თირმიზი 3165

³⁴ ბუხარი 4729

³⁵ მა'არიჯ ალ-ყუბულ 3:1205

³⁶ ბუხარი (7512)

³⁷ ბუხარი (7483)

წინიდან და ვერც უკნიდან. ყურანი არის ალლაჰის სიტყვა, ალლაჰმა მოუვლინა თავის შუამავალს ﷺ — შუამავალთა ბეჭედს და რჩეულ მსახურს. ალლაჰმა ჯინები და ადამიანები გამოიწვია, რომ შექმნან ყურანის მსგავსი წიგნი, მაგრამ ვერავინ შეძლებს ამას (იხილეთ სურა 17:88). და ალლაჰმა უკეთ იცის.

და ირწმუნო ავზის (მდინარე ან ტბა სამოთხეში) რომელიც მიეცემა ალლაჰის შუამავალს და მისი უმთავრესი მიზანია მასთან. მისი სიგანეც და სიგრძეც ერთი თვის მგაა. მისი ჭურჭლების რაოდენობა ცაში ვარსკვლავების რაოდენობისაა. ეს სიტყვები ეფუძნება ავთენტურ გადმოცემებს.

ახსნა

მე ვამბობ: ავზის მნიშვნელობა ცნობილია — ეს არის ადგილი, სადაც წყალი გროვდება.

აქ იგულისხმება ალლაჰის შუამავლის ﷺ ავზი, რომლისკენაც მოვა მისი უმთავრესი და დაღვინი მისგან. ავზის შესახებ მრავალი ჰადისი არსებობს — დაახლოებით 30-დან 40-მდე გადმოცემა ალლაჰის შუამავლის ﷺ მხრიდან. ზოგიერთი მათგანი მოცემულია საჰიჰ ალ-ბუხარში და საჰიჰ მუსლიმში. იბნ ჰაჯარმა მათზე დაწერა განმარტება „ფათჰულ ბარში“, სადაც დეტალურად ახსენა ავზის სიგრძე, სიგანე, ჭურჭელი, გემო, სურნელი, ფერი და სიცივე. იგი აღნიშნავს, რომ:

ავზის წყალი არის ყინულზე ცივი,

თაფლზე ტკბილი,

რძეზე უფრო თეთრი,

მისი სურნელი მიქსზე (სუნამო) უკეთესია,

ხოლო მისი ჭურჭლები რაოდენობით ცის ვარსკვლავებს ჰგავს.

ავზთან დაკავშირებული გადმოცემები მუთავათირია, რაც ნიშნავს, რომ მათი სანდოობა კიდევ უფრო მაღალია, ვიდრე საჰიჰ ჰადისების, იმდენად ბევრია გადმომცემთა რაოდენობა, რომ სიცრუეზე შეთანხმება გამორიცხებულია.³⁸

იბნ ჰაჯარმა (ალლაჰმა შეიწყალოს) თქვა, რომ მათი რიცხვი ორმოცდაათამდეა, როგორც გადმოსცა ფათჰულ ბარში: ‘ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისთვის სავალდებულოა რომ იცოდეს ეს გადმოცემები და სწამდეს მათი’³⁹

მე ვამბობ: ამის მიუხედავად, ქელამის მიმდევართაგან (ე.ი. ისინი, ვინც ფილოსოფიით განიხილავენ რელიგიურ საკითხებს) ზოგიერთმა უარყო ავზის არსებობა. დაე ალლაჰმა დალუპოს ისინი ამის გამო. იბნ ჰასირმა თქვა: „დაე ალლაჰმა გვამყოფოს მათ შორის, ვინც დალუპეს შუამავლის ﷺ ავზიდან.“ ავზთან დაკავშირებული ჰადისები მრავალრიცხოვანია, მაგრამ მიუხედავად ამისა, სიახლის მიმდევართაგან ბევრმა

³⁸ ტაისირ მუსტალა ალ-ჰადის გვ 19

³⁹ ფათჰულ ბარი (11/477)

სიამაყით უარყო ისინი. ვინც უარყოფს ავზს, ამბობს: „ის საერთოდ არ არსებობს.“ ამიტომ, ისინი იმსახურებენ იმას, რომ ავზთან ახლოსაც არ მიუშვან, რადგან ვინც უარყოფს წყალობას — ვერ მიიღებს მას. ამ მიზეზით, აჰლუს-სუნნა ვალ-ჯამა'ას სწავლულებმა, განსაკუთრებით იმამ აჰმადმა, ახსენეს ავზის რწმენა აყიდის (მრწამსი) წიგნებში — სიახლის მიმდევართა და ქელამის მიმდევართა უარყოფის საწინააღმდეგოდ. და ალლაჰმა ყველაზე უკეთ იცის. გადმოცემულია, რომ მუჰამადის ﷺ უმმეთიდან ზოგიერთს მოაშორებენ ავზისგან. ისინი ამოცნობილ იქნებიან აბდესის ნიშნებით, როგორც ამის შესახებ შუამავალმა ﷺ გვამცნო.

رَبِّ أَصْحَابِي .

ღმერთო ჩემო! ჩემი საჰაბეები

فِيُقَالُ

იტყვიან:

إِنَّكَ لَا تَدْرِي مَا أَحْدَثُوا بَعْدَكَ

შენ არ იცი, თუ რა გააკეთეს მათ შენს შემდეგ.⁴⁰

და სხვა ჰადისში გადმოცემულია, რომ შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) იტყვის ამის შემდეგ:

فَأَقُولُ سُحْقًا سُحْقًا لِمَنْ غَيَّرَ بَعْدِي

და მე ვიტყვი: შორს, შორს იმისგან რაც გამოიგონეს ჩემს შემდეგ⁴¹

რატომ აძევებენ და აშორებენ მათ ავზიდან? ეს ხდება იმ დანაშაულის გამო, რაც მათ ჩაიდინეს, ხოლო მათი დანაშაული არის სიახლეთა (ბიდ'ათის) შემოტანა ალლაჰის რელიგიაში, ანუ იმის დამატება, რაც ალლაჰს არ დაუკანონებია. **ღმერთო ჩვენო! გაგვამყარე შენი შუამავლის ﷺ სუნნაზე, ვიდრე შევხვდებით მას ავზთან, და დაგვადგინე მათ შორის, ვინც დალევს დიდებული ავზიდან. ღმერთო ჩვენო, შენ ხარ ვედრების შემსმენი!** ჩვენ, სინამდვილეში, უფრო გულმოწყალები ვართ სიახლის მიმდევართა მიმართ, ვიდრე ისინი საკუთარი თავის მიმართ, ვინაიდან ჩვენ მათ ნათლად ვუხსნით სუნნას, ვცდილობთ ავამაღლოთ იგი მათ გულებში, რათა იყვნენ მასზე მიჯაჭვულნი და უარი თქვან სიახლეებზე. და ალლაჰმა ყველაზე უკეთ იცის.

⁴⁰ ბუხარი 6576

⁴¹ ბუხარი 6584

და მზამდეს, რომ საფლავში ტანჯვა არსებობს და ეს უმეტი გამოიხატება მათ საფლავში კითხვებით ისლამზე, რწმენაზე და თუ ვინ არის მისი ღმერთი და მისი შუამავალი. მუნქარი და ნაქირი⁴² მოვლენ მასთან ისა, რომორც ალლაჰს სურს. უნდა გჰონდეს ამის რწმენა და ამტკიცებდე მის ჭეშმარიტებას.

ახსნა

ადამიანის გარდაცვალების და მისი დაკრძალვის შემდეგ ან იქნება წყალობა და ნეტარება, ან იქნება სასჯელი და ცეცხლი. ეს დასტურდება ყურანის, სუნნასა და მუსლიმთა საერთო აზრით. არავინ უარყოფს ამას, გარდა ერეტიკული (სიახლე) ჯგუფის, ჯაჰმიას გარდა. უზენაესმა ალლაჰმა თქვა:

يُثَبِّتُ اللَّهُ الَّذِينَ آمَنُوا بِالْقَوْلِ الثَّابِتِ فِي الْحَيَاةِ الدُّنْيَا وَفِي الْآخِرَةِ

განამტკიცებს ალლაჰი იმათ, ვინც ირწმუნა, მტკიცე სიტყვით ამქვეყნადაც და იმქვეყნადაც ... (იბრაჰიმ 14:27)

ბრძანებს უზენაესი სხვა აიათებში:

და დაიცვა იგი ალლაჰმა სიავისგან, რაც მას უმზაკვრეს, და დაატყდა ფარაონის სახლეულს საშინელი სასჯელი. ცეცხლი, რომლის წინაშეც წარდგენილნი იქნებიან განთიადისას და შებინდებისას, იმ დღეს კი, როცა დადგება საათი, შეიყვანებენ ფარაონის სახლეულს უმკაცრეს სასჯელში. (ღაფურ 40:45-46)

სიტყვები 'განთიადისას და შებინდებისას,' ნიშნავს, რომ ისინი ახლა ისჯებიან ჯოჯოხეთის ცეცხლში ამ ქვეყნად, მათ საფლავებში. ეს იმიტომ, რომ დილა და შუადღე ამქვეყნად არსებობს, საიქიოში კი არ იქნება დილა და შუადღე, რამეთუ ალლაჰი ამბობს:

مُتَّكِنِينَ فِيهَا عَلَى الْأَرَائِكِ لَا يَرَوْنَ فِيهَا شَمْسًا وَلَا زَمْهَرِيرًا

მიწოლილნი მასში სავარძლებზე, არ ნახავენ იქ მზის სიცხეს და არც ყინვას. (ინსან 76:13)

მათ ცხოვრებას საფლავებში ეწოდება ბარზახში⁴³ ყოფნა. და მისი რეალობა არავინ იცის, გარდა ალლაჰისა. ალლაჰს რომ არ ეცნობებინა ჩვენთვის, ჩვენ არაფერიც არ გვეცოდინებოდა ამის შესახებ. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რაც ალლაჰმა ინება, რომ გვცოდნოდა. საფლავის სასჯელისა და ნეტარების რწმენა მიეკუთვნება რწმენის საფუძვლებს. რაც შეეხება მის ფორმასა და რეალობას — ეს ჩვენთვის დაფარულია და შედის ლაიბის (ფარული სამყაროს) კატეგორიაში. ამ საკითხს გონებით ვერ ჩაწვდები, რადგან შუამავალმა ﷺ გვამცნო მხოლოდ ის, რაც მოვიდა ყურანში და სუნნაში. ჩვენ ვთხოვთ ალლაჰს, რომ მოგვმადლოს სიმტკიცე ამ ცხოვრებაში და საფლავის ცხოვრებაში, როდესაც მოხდება დაკითხვა. ადამიანს დაუსვამენ სამ კითხვას:

ვინ არის შენი ღმერთი?

⁴² ორი ანგელოზი, რომლებიც დაკითხავენ არდაცვლილს საფლავში

⁴³ პერიოდი სოცოცხლესა და აღდგომას შორის

რა არის შენი რელიგია?

ვინ არის შენი შუამავალი?

ამ საკითხზე მრავალი სანდო ჰადისია გადმოცემული, სადაც ნათქვამია, რომ როდესაც ადამიანს საფლავში ჩაასვენებენ, ორი ანგელოზი მივა მასთან, დააჯენენ და დაუსვამენ ამ კითხვებს. საფლავის ტანჯვაზე გადმოიცა ჰადისი სადაც შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა:

إِنَّ هَذِهِ الْأُمَّةَ تُبْتَلَى فِي قُبُورِهَا فَلَوْلَا أَنْ لَا تَدَافِنُوا لَدَعَوْتُ اللَّهَ أَنْ يُسْمِعَكُمْ مِنْ عَذَابِ الْقَبْرِ الَّذِي أَسْمَعُ مِنْهُ

ეს ადამიანები იტანჯებიან თავიანთ საფლავებში. რომ არა შიში, რომ თქვენ შეწყვეტდით თქვენი მიცვალებულების დაკრძალვას — იმ ტანჯვის გაგონების შემდეგ, რომელსაც მე ვისმენ. უეჭველად გაგაგონებდით მას.⁴⁴

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) გაიგონებდა და ეცოდინებოდა, რადგან ალლაჰმა მოასმენინა და აცნობა მის შესახებ.

გადმოცემულია, რომ მორწმუნეს საფლავი გაუფართოვდება და მასში განიცდის ნეტარებას, ხოლო ურწმუნოს და თვალთმაქცის საფლავი ისე შევიწროვდება, რომ ნეკნები ერთმანეთში გაივლის. მამასადამე, საფლავი არის ბალი სამოთხის ბალთაგან და აგრეთვე ორმო ჯოჯოხეთის ორმოებიდან. ეს არის ჭეშმარიტება და არა ალეგორია.

ყოველი გარდაცვლილი უნდა დაკითხონ და გაასამართლონ, მნიშვნელობა არ აქვს, საფლავში ჩადებენ, მიწაზე დარჩება გარდაცვლილი თუ ზღვაში დაიხრჩობა, მტაცებელი ცხოველები შეჭამენ თუ ვეშაპი გადაყლაპავს, თუ დაიწვება და მის ფერფლს ქარი მიმოფანტავს. ჭეშმარიტად, ალლაჰი ყოველივეს შემძლეა და მას ყველაფერზე ძალა შესწევს. ჰადისით, ვიცით, რომ ერთი კაცი, ხშირად ვნებდა საკუთარ სულს ცოდვებით და ამის გამო ღმერთის შიშმა მოიცვა, რომელიც გადმოცემულია შემდეგ ჰადისში:

აბუ სა'იდი გადმოსცემს: შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: თქვენამდე იყო ერთი კაცი, რომელსაც ალლაჰმა მისცა ბევრი ქონება. ის როცა იყო სიკვდილის სარეცელზე, მან უხმო თავის შვილებს და უთხრა მათ: როგორი მამა ვიყავი? შვილებმა უთხრეს: შენ კარგი მამა იყავი. მამამ უთხრა: მე არასოდეს გამიკეთებია ერთი კეთილი საქმე, და როცა მოვკდები, დამწვით, გაანადგურეთ ჩემი სხეული და შემდეგ ნაცარი გააბნით ქარიშხლიან დღეს. მისმა შვილებმა შეასრულეს მამის თხოვნა, მაგრამ უზენაესმა ალლაჰმა აღადგინა მისი სხეული და ჰკითხა მას: რამ გაიძულა ამის გაკეთება? 'შენმა შიშმა' - უთხრა კაცმა. და ალლაჰმა მიანიჭა მას მისი წყალობა. (ე.ი აპატია მას) ⁴⁵ ეს იმაზე მიუთითებს, რომ ალლაჰს შეუძლია აღადგინოს ადამიანი ერთ წამში, როგორც მან ბრძანა ყურანში:

⁴⁴ მუსლიმი 2867

⁴⁵ ბუხარი 3478

كَمَا بَدَأْنَا أَوَّلَ خَلْقٍ نُعِيدُهُ

...როგორც შექმენით პირველი ქმნილება, ისევე გავიმეორებთ...
(ენზია 21:104)

ღმერთს ყველაფრის უნარი აქვს და ის ყველაფერზე მაღლა დგას. მან შექმნა ყველა ქმნილება არაფრისგან. ეს ადასტურებს ალლაჰის სიდიადეს და შესაძლებლობებს. ალლაჰი ამბობს:

إِنَّمَا قَوْلُنَا لِشَيْءٍ إِذَا أَرَدْنَاهُ أَنْ نَقُولَ لَهُ كُنْ فَيَكُونُ

და როცა რამეს ვინებებთ, საკმარისია ვუთხრათ - იყავ, და იქნება.
(ნაჰლ 16:40)

და მისი სიტყვა:

هَلْ أَتَى عَلَى الْإِنْسَانِ حِينٌ مِّنَ الدَّهْرِ لَمْ يَكُنْ شَيْئًا مَّذْكُورًا

განა დასდგომია ადამიანს ხანა დროისა, რომ არ ყოფილიყო ის გახსენებული?
(ინსან 76:1)

ადამიანის შექმნამდე არსებობდნენ ქმნილებები. შემდეგ ალლაჰმა შექმნა ადამიანი უნიმუშოდ, არაფრისგან. დაე ალლაჰმა დაამციროს ათეისტები, მატერიალისტები, სეკულარისტები, კომუნისტები, დემოკრატები, ურწმუნოები და უარმყოფელები, რადგან მათ არ დააფასეს ალლაჰი ჭეშმარიტი დაფასებით. და თუ იმსახურებენ ჭეშმარიტ გზას, დაე ალლაჰმა მისცეთ მათ სწორი გზა.

ჭეშმარიტი გზა არის ალლაჰის საჩუქარი სამართლიანობისათვის და სიკეთისთვის, როგორც იგი ბრძანებს:

إِنَّ اللَّهَ يُحِبُّ الْمُقْسِطِينَ

...ჭეშმარიტად, ალლაჰს უყვარს სამართლიანები.
(მაიდე 5:42)

إِنَّ اللَّهَ لَا يَهْدِي الْقَوْمَ الظَّالِمِينَ

... ჭეშმარიტად, ალლაჰი კი არ უწინამძღვრებს უსამართლო ხალხს.
(მაიდე 5:51)

وَلَوْ عَلِمَ اللَّهُ فِيهِمْ خَيْرًا لَّأَسْمَعَهُمْ

ალლაჰს რომ მათში მცირედი სიკეთისათვის მაინც მიეგნო, შეასმენდა მათ...
(ენფალ 8:23)

და ალლაჰმა უკეთ იცის

და ირწმუნო, რომ შუამავალს მიეცემა შუამდგომლობის უფლება, და რომ ხალხი ამოვა ცაცხლიდან დანვისა და ნახშირად გადაქცევის შემდეგ. შემდეგ ალლაჰი ბრძანებს, რომ ჩაიყვანონ მდინარეში სამოთხის კართან, როგორც გადმოცემებშია. ეს მოხდება ისე, როგორც ალლაჰს სურს. ჩვენ მხოლოდ ის ვალდებულება გვაკისრია, რომ ვირწმუნოთ და დაავადასტუროთ.

ახსნა

ტერმინი შაფა'ათი მომდინარეობს აშ-შაფ'ასგან (ლუწი) რომელიც ვითრის (კენტის) საწინააღმდეგოა. შუამდგომლობა მაშინ ხდება როდესაც შუამდგომელი ლაპარაკობს მისი სახელით, ან ვინც ცდილობს მეორეს შუამდგომლობას და ელაპარაკება მას ვისზეც შუამდგომლობს. აიათები და სანდო - ავთენტური ჰადისები, ისევე როგორც უმმეთის იჯმა ამტკიცებს, რომ ჩვენი შუამავალი მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) იქნება შუამდგომელი აღდგომის დღეს. ბევრ ჰადისში მტკიცდება, რომ შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) განკითხვის დღეს, ალლაჰის ნებით გამოიყვანს ცეცხლში შესულ ადამიანებს. ეს არის ყოვლადმოწყალის წყალობა შუამავალთა მთავარის, მუჰამმადის მიმართ. შუამდგომლობა ასევე იქნება მათთვის, ვისთვისაც ალლაჰი მოისურვებს და უფლებას მისცემს შუამდგომლებს რომ ხალხი ცეცხლიდან გამოიყვანონ. ბილწი და საზიზღარი ხავარიჯები ამას უარყოფენ და ამბობენ, რომ ვინც ცეცხლში შევა, ვერასოდეს გამოვა მისგანო. ისინი დაშორებულნი არიან ალლაჰის წყალობას და ცდილობენ სხვებიც მოაშორონ მას. 'ანას ბინ მალიქი გადმოსცემს: 'ვინც უარყოფს შუამდგომლობას, მას არ ექნება მისი წილი'

მე ვამბობ: შუამდგომლობა ორი სახისაა:

- 1) დაშვებული შუამდგომლობა;
- 2) აკრძალული შუამდგომლობა;

ასევე შეიძლება ითქვას 'სწორი შუამდგომლობა' და 'ცრუ შუამდგომლობა'. ცრუ შუამდგომლობა არის - რასაც წარმართები უკავშირებენ თავიანთ ცრუ სათაყვანოებს; ისინი თაყვანს სცემენ მათ და სწამთ, რომ იშუამდგომლებენ ღმერთთან, როგორც უზენაესის სიტყვაშია:

وَيَعْبُدُونَ مِن دُونِ اللَّهِ مَا لَا يَضُرُّهُمْ وَلَا يَنْفَعُهُمْ وَيَقُولُونَ هَؤُلَاءِ شُفَعَاؤُنَا عِنْدَ اللَّهِ

და ეთაყვანებიან ალლაჰის გარდა იმას, რომელიც არც აზარალებთ და არც არგებთ. და ამბობენ: ესენი ჩვენი შუამდგომელნი არიან ღმერთის წინაშეო... (იუნუს 10:18)

და მისი სიტყვა:

قُلْ لِلَّهِ الشَّفَاعَةُ جَمِيعًا

უთხარი: ალლაჰისაა შუამდგომლობა მთლიანად...

(ზუმერ 39:44)

مَنْ ذَا الَّذِي يَشْفَعُ عِنْدَهُ إِلَّا بِإِذْنِهِ

...და მის წინაშე არავის შეუძლია იშუამდგომლოს, თუ არა მისი ნება...

(ბაყარა 2:255)

და აგრეთვე მისი სიტყვა:

وَكَمْ مِنْ مَلَكٍ فِي السَّمَوَاتِ لَا تُغْنِي شَفَاعَتُهُمْ شَيْئًا إِلَّا مِنْ بَعْدِ أَنْ يَأْذَنَ اللَّهُ لِمَنْ يَشَاءُ وَيَرْضَى

და რამდენი ანგელოზია ცათა შინა, რომელთა შუამდგომლობაც ვერაფერში გამოდგა, ვიდრე არ იქნება ალლაჰის ნება, ვისთვისაც ინებებს და ვისგანაც კმაყოფილია.

(ნეჯმ 53:26)

მამასადამე, ვერავინ შეძლებს ალლაჰთან შუამდგომლობას, სანამ ალლაჰი არ მისცემს ამის ნებას. შუამდგომლობას მხოლოდ ალლაჰისგან ითხოვენ; ეს არის შუამდგომლობის სწორი მოთხოვნა და მორწმუნეებს ასე სწამთ. რაც შეეხება დაშვებულ და ჭეშმარიტ შუამდგომლობას, ეს არის ისეთივე შუამდგომლობა, როგორც სხვა შუამავლების, მართლების, შეჭიდების, მართალი მოციქულებისა, რომელიც დაწვრილებითაა ახსნილი და ისინი ხუთი ტიპისაა:

1. დიდი შუამდგომლობა - ეს არის განსაკუთრებული შუამდგომლობა, რომელიც მხოლოდ ჩვენს მოციქულ მუჰამმადს (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) ექნება. იგი შეეხება ადამიანებს, რომლებიც დადგებიან სამსჯავროს დღის დასაწყებად. როგორც ჰადისშია ნათქვამი: ხალხი მივა ადამთან და მოივლიან სხვადასხვა შუამავლებს, სანამ არ ეტყვიან: „წადით მუჰამმადთან.“ მაშინ მუჰამმადი (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) წავა ალლაჰის 'არშისკენ და ისე შეაქებს და განადიდებს ალლაჰს, რომ მანამდე ასე არავის შეუქია და განუდიდება. მას ეტყვიან: 'ო მუჰამმად; ითხოვე და მოგეცემა, იშუამდგომლე და შენი შუამდგომლობა მიღებული იქნება'⁴⁶. აი ეს არის დიდი შუამდგომლობა.

შუამდგომლობა სამოთხის მკვიდრებისთვის იქნება და მოციქული მუჰამმადია (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) პირველი ვინც შევა სამოთხეში, როგორც აბუ ჰურაირას ჰადისშია.

ისინი შენიღბულები არიან ალლაჰის წიგნის და შუამავლის სუნნეთის შესწავლით და ჭეშმარიტად, ჩვენ ალლაჰს ვეკუთვნივთ და მასთან დავბრუნდებით, იგია ჩვენი განმსჯელი და საუკეთესო განმგებელი. შაიტანმა გაალამაზა მათი ქმედებები და ხელი შეუშალა ალლაჰის გზაზე ყოფილიყვნენ, ამიტომ დღეს, ის მათი მეგობარია. ის მივიდა

⁹³ მონოთეიზმი

⁹⁴ მუსლიმ 2888

მათთან ბოროტი ზრახვებით, რომელიც მოუწოდებს მათ ცხოვრების გზის შეცვლისკენ და მათი შეცვლა გარდაუვალია რადგან ისინი შაიტანის ნაკვალევს მიჰყვებიან. აჯანყება არის უფრო უარესი და ცუდის მომტანი ვიდრე მოთმინება და ატანა, რადგან აჯანყებით მუსლიმები ერთმანეთის წინააღმდეგ იარაღს იღებენ, და შაიტანმა გაულამაზა მათ ეს საქმე. შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა:

ვინც აიღებს იარაღს ჩვენს წინააღმდეგ, არ არის ჩვენიანი.⁹⁵

ისინი უმადურები იყვნენ ალლაჰის წყალობის მიმართ და უეჭველად, ჭეშმარიტია ალლაჰის სიტყვა, რომელიც მან განაცხადა:

إِنَّ اللَّهَ لَا يُغَيِّرُ مَا بِقَوْمٍ حَتَّىٰ يُغَيِّرُوا مَا بِأَنْفُسِهِمْ

...ალლაჰი არ შეცვლის ხალხის მდგომარეობას მანამ, სანამ ხალხი არ შეიცვლება...

(რა'დ 13:11)

მუსლიმურ მიწებზე ქაოსი და არეულობა მხოლოდ მმართველების მიმართ აჯანყების, გაუგებრობის და სავარაუდო ზიანის აწონ-დაწონვის გაუაზრებლობის გამო ხდებოდა. მათ გააკეთეს ისეთი საქმეები, რომლითაც საღად მოაზროვნე არავინ იქნებოდა კმაყოფილი, მით უმეტეს მუსლიმი, და ჭეშმარიტად, ჩვენ ალლაჰს ვეკუთვნიით და მასთან დავბრუნდებით. შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) განგვიმარტა ეს საკითხი; მან განმარტა, რომ დაუშვებელია მმართველების წინააღმდეგ აჯანყება მაშინაც კი, თუ ისინი უსამართლოები არიან, სანამ ისინი ადავლენენ ლოცვას და არ ჩანს მათგან აშკარა ურწმუნოება. და ალლაჰმა უკეთ იცის.

და ყაჩაღებისა და აჯანყებულების წინააღმდეგ ბრძოლა დასასრულებია, თუ ისინი თავს ესხმიან ხალხს და მათ ქონებას. მათ წინააღმდეგ ბრძოლა დასასრულებია ნებისმიერი ხერხით, საკუთარი თავისა და ქონების დასაცავად. თუ ისინი გაიძევებიან მისგან, მაშინ არავის აქვს უფლება მათი დევნის, გარდა იმამისა ან მუსლიმთა მმართველისა (ე.ი. თუ ის გასცემს დევნის მითითებას). ადამიანს შეუძლია მხოლოდ იმ დროისთვის დაიცვას თავი და ამ ბრძოლაში არ უნდა ჰქონდეს განზრახული მკვლელობა. თუმცა, თუ ამ ბრძოლაში თავდაცვის დროს შემოაკვდება, მაშინ ალლაჰი მოკლულს მისი წყალობისგან დააპორობს. თუ მოკლავთ ადამიანს თავდაცვის დროს, იმადი მაქვს, ის შეჰიდიო, როგორც სანდო ჰადისების გადმოცემებშია. გადმოცემები გვაძენობს, რომ ევალება მათთან ბრძოლა, და არ ევალება მათი მოკვლა და დევნა. და არ უნდა მოკლას არც მაშინ, თუკი მიწაზე დაეცემა დაჭრილი, ან თუ დაატყვევებს, და სასჯელები არ უნდა დაუდესო მას. მან ამ საქმეში უნდა ჩართოს მმართველი, რომელსაც შეუძლია განსაჯოს ეს საქმე.

ახსნა

მე ვამბობ: ყაჩაღებში იგულისხმება ქურდები. მათ შორის არიან მმართველები და ისინი, ვინც გზას კეტავს მათი უცოდინრობით და სიცრუით, რომლებიც ძარცვავენ ალლაჰის მსახურების სიმდიდრეს, ლახავენ მათ პატივს და ღვრიან მათ სისხლს. ნებადართულია მუსლიმანმა, თუ ისინი თავს დაესხნენ მას, თავი და საკუთარი ქონება დაიცვას მინიმალური ძალით; პირველ რიგში განცხადების და შეხსენების გზით, მათგან გაქცევით, შეგონებით და მუქარით. თუ ისინი არ მიიღებენ შეგონებას, მაშინ შეიძლება ასწიოს ჯოხი და განდევნოს ისინი. თუ მათ იარაღის გარდა სხვა ვერაფრით განდევნით,

⁹⁵ თირმიზი 1459

მაშინ შეიძლება იარაღიც გაისროლოთ უმისამართოდ თუ გაქვთ ამის შესაძლებლობა. (ე.ი ნუ მოკლავ მას, არამედ შეაშინე). უმისამართოდ იმიტომ, რომ მუსლიმის წინააღმდეგ იარაღის აღმართვა დანაშაულია. შუამავალმა (აღლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა:

مَنْ حَمَلَ عَلَيْنَا السَّلَاحَ فَلَيْسَ مِنَّا

ვინც აწევს იარაღს ჩვენს წინააღმდეგ, არ არის ჩვენიანი.⁹⁶

თუ მას მოკლავენ საკუთარი თავის, ქონებისა და ღირსების დაცვის დროს, მაშინ ის შეჰიდა, როგორც იმამ აჰმადმა თქვა: 'იმედი მაქვს, რომ შეჰიდად ჩაითვლება'. ბევრი ჰადისი მოვიდა ჩვენამდე ამ საკითხთან დაკავშირებით.

აბუ ზარი გადმოსცემს, რომ აღლაჰის შუამავალმა (აღლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა:

مَنْ قُتِلَ دُونَ مَا لَهُ فَهُوَ شَهِيدٌ

ვინც მოკლეს მაშინ, როცა იცავდა მის ქონებას - შეჰიდა,

وَمَنْ قُتِلَ دُونَ أَهْلِهِ

და ვინც მოკლეს მაშინ, როცა იცავდა მის ოჯახს - შეჰიდა,

أَوْ دُونَ دَمِهِ أَوْ دُونَ دِينِهِ فَهُوَ شَهِيدٌ

ან მის სისხლს ან მის რელიგიას - შეჰიდა.⁹⁷

და ვინც მოკლავს ამ უსამართლოებს და მჩაგვრელებს თავდაცვის დროს, მაშინ ის ყაჩაღები მოიშობიან აღლაჰის წყალობისგან. თუ ქურდები შევლენ სახლში, მაშინ სახლის მეპატრონეს შეუძლია თავი დაიცვას მათგან და განდევნოს მისგან. და თუ ისინი გაიქცევიან მისგან და დატოვებენ იქაურობას, ის არ უნდა დაეძვინოს მათ. მმართველებს ევალება, მის დამხმარებთან ერთად დაეძვინოს მათ, დააკავოს ისინი და დასაჯოს. შეიძლება, დაკავების შემდეგ ისინი სცემონ, და მიიღონ აღლაჰისგან დაწესებული სასჯელი. დიდებულმა და აღმატებულმა, ღმერთმა თქვა:

إِنَّمَا جَزَاؤُ الَّذِينَ يُحَارِبُونَ اللَّهَ وَرَسُولَهُ وَيَسْعَوْنَ فِي الْأَرْضِ فَسَادًا أَنْ يُقَتَّلُوا أَوْ يُصَلَّبُوا
أَوْ تُقَطَّعَ أَيْدِيهِمْ وَأَرْجُلُهُمْ مِنْ خَلْفٍ أَوْ يُنْفَوْا مِنَ الْأَرْضِ ۚ ذَٰلِكَ لَهُمْ خِزْيٌ فِي الدُّنْيَا
وَلَهُمْ فِي الْآخِرَةِ عَذَابٌ عَظِيمٌ

იმათი საზღაური, ვინც ებრძვის აღლაჰს და მის შუამავალს და ქვეყანაზე უკეთურებას ამრავლებს, იქნება ის, რომ მოიკვლებიან, ძელზე გაიკვრებიან, ხელ-ფეხი ჯვარედინად

⁹⁶ თირმიზი 1459

⁹⁷ აბუ დავუდ 4772

დაეჭრებათ, ანდა ამ მიწა-წყლიდან გაძევებული იქნებიან. ასეთი დამცირება ელით მათ ამქვეყნად, საიქიოში კი მძიმე სასჯელი.

(მაიდე 5:33)

მმართველმა უნდა განახორციელოს ის, რაც, მისი აზრით, უფრო უსაფრთხოა ხალხისთვის მათი პიროვნების, ქონებისა და პატივის თვალსაზრისით... საკუთარი თავის, ქონების და ღირსების დაცვა ყაჩაღებისგან იმ განზრახვით უნდა მოხდეს, რომ არ მოკლას იგი. მან მხოლოდ თავი უნდა დაიცვას და მოიგერიოს. მაგრამ თუ თავდაცვის დროს თავდამსხმელი შემოაკვდება, მაშინ არაფერი ეკისრება მას ვინც თავს იცავდა. ის თავისუფლდება სისხლისგან, რომელიც დაღვარა. ანალოგიურად, თუ მან რაიმე დააზიანა ან გატეხა, მაშინ მას არაფერი ეკისრება.

განსჯა მმართველის პასუხისმგებლობაა და სწორედ ამიტომ მას შეუძლია აღასრულოს ალლაჰის კანონმდებლობა მისი დამრღვევის მიმართ. და ალლაჰმა უკეთ იცის.

და ჩვენ არ ვამოწმებთ, რომ აკლუ ყიბლადან ⁹⁸ ვინც მოკვდა არის სამოთხეში ან ჯოჯოხეთში მისი საქმეების გამო. ჩვენ იმადი გვაძვს და გვაშინია. გვაშინია ცოდვილის გამო, მაგრამ იმადი გვაძვს რომ ალლაჰის ნყალობა შეახება მას.

ახსნა

ეს პრინციპიც აკლი სუნნას პრინციპიდან არის: არ ვამოწმებთ, რომ რომელიმე ადამიანი სამოთხეში შევიდა ან ჯოჯოხეთში, იმათ გარდა, ვისზეც ამოწმებდა ალლაჰის შუამავალი, როგორცაა საბით ბინ ყაის ბინ შამმასი, ისევე როგორც 'უქაშა'.

ანალოგიურად, არავისზე ვამბობთ დადასტურებით, რომ ჯოჯოხეთში შევიდა. ეს ყველაფერი ეხება კონკრეტულ ინდივიდს. რაც შეეხება ზოგადად, მორწმუნეები არიან სამოთხის ხალხი და მისი ბინადრები. ხოლო ურწმუნეები არიან ჯოჯოხეთის ხალხი და მისი ბინადრები. და ალლაჰი აკეთებს იმას, რაც მას სურს, როგორც მან თქვა:

إِنَّ رَبَّكَ فَعَّالٌ لِّمَا يُرِيدُ

...შენი ღმერთი იქმს იმას, რასაც ინებებს.

(ჰუდ 11:107)

ყველა მისი ქმედება არის სამართლიანი და წყალობის შემცველი, და შენი ღმერთი არავის მოექცევა უსამართლოდ და მასთან არის დაბრუნება. ამ ცხოვრებაში, ჩვენ ვიმყოფებით მოქმედებების სამყოფელში, სადაც ჩვენთვის არაფერია სასიკეთო გარდა ალლაჰის მსახურებისა და მისთვის შესრულებული ქმედებებისა, და ის არის ყოველივეს განმგებელი. ამ ცხოვრებაში, რომელშიც ახლა ვცხოვრობთ, ჩვენთვის სავალდებულოა ვიცხოვროთ იმ ცხოვრებით, რაც უყვარს ჩვენს ღმერთს, დიდებულს, და ვიცხოვროთ

⁹⁸ ყიბლას ხალხი

⁹⁹ საკაბეების სახელები

მისი თაყვანისცემით და მხოლოდ და მხოლოდ მის მსახურებაში და არ დავუდგინოთ მას თანაზიარი. ალლაჰმა თქვა:

أَنْ أَقِيمُوا الدِّينَ وَلَا تَتَفَرَّقُوا فِيهِ ۚ كَبُرَ عَلَى الْمُشْرِكِينَ مَا تَدْعُوهُمْ إِلَيْهِ

დაიცავით სარწმუნოება და ნუ დაიყოფით მასში. მძიმეა წარმართებისთვის (მუშრიქებისთვის) იგი, რისკენაც შენ მოუწოდებ... (შურა 42:13)

რელიგიის დაცვა ხდება მისი სიტყვის ამალგებით, და ეს არის ალლაჰის თავიიდი ¹⁰⁰, მისადმი თაყვანისცემა და მისი კანონმდებლობის დამკვიდრება დედამიწაზე მის მსახურთა შორის. ყურანში ნათქვამია:

إِنَّ الْأَرْضَ لِلَّهِ

...დედამიწა ალლაჰისაა.. (ა'რაფ 7:128)

აგრეთვე რელიგიის დაცვა არის მისი კმაყოფილებისთვის ლოცვა, მარხვა, ზექათის გადახდა, ჰაჯის შესრულება, სიკეთის ბრძანება და ბოროტების აკრძალვა. აგრეთვე მისადმი შიში, მისკენ მიბრუნება მონანიებით, სამართლიანობა, ნდობის გამართლება და ყველაფერი რაც ღმერთმა ბრძანა. აგრეთვე იმ ყველაფრის მიტოვება, რაც ალლაჰმა აკრძალა. ასევე კეთილად მოპყრობა ობლების და ნათესავების მიმართ, ისევე როგორც გაჭირვებულებთან. ასევე თავი უნდა შევიკავოთ სხვისი ზიანისგან. ეს ყველაფერი ადამიანის ბუნებაში არის თავმოყრილი.

ალლაჰმა თქვა:

ჭემმარიტად, ალლაჰი მოგიწოდებთ სამართლიანობას, სიკეთესა და ქველმოქმედებას ახლობელთა მიმართ, და გიკრძალავთ მრუშობას, გასაკიცხ ქმედებასა და შურს, ის შეგაგონებთ, რათა ეგების დაფიქრდეთ. (ნაჰლ 16:90)

ჩვენ ასევე, ცხოვრება იმით უნდა განვსაჯოთ, რაც ალლაჰმა დააკანონა. ეს ყველაფერი ხალხისთვის სავალდებულოა და ალლაჰმა ყველაზე უკეთ იცის.

ალლაჰმა თქვა:

إِنَّ الَّذِينَ ءَامَنُوا وَالَّذِينَ هَادُوا وَالنَّصَارَى وَالصَّابِئِينَ مَنْ ءَامَنَ بِاللَّهِ وَالْيَوْمِ الْآخِرِ وَعَمِلَ صَالِحًا فَلَهُمْ أَجْرُهُمْ عِنْدَ رَبِّهِمْ وَلَا خَوْفٌ عَلَيْهِمْ وَلَا هُمْ يَحْزَنُونَ

რომელთაც ირწმუნეს, და რომელნიც იყვნენ იუდეველნი, ქრისტიანნი და საბიელნი, და ვინც ირწმუნა ალლაჰი და დღე უკანასკნელი და სიკეთე აკეთეს, იმათი საზღაური თავიანთ ღმერთთანაა, მათ არც შიში ჰქონდეთ და არც სადარდებელი. (ზაყარა 2:62)

¹⁰⁰ ეს არის ალლაჰის მიმართ თაყვანისცემა სიტყვით, გულით და საქმით თანაზიარის გარეშე.

ვისაც სწამს ალლაჰი, ანხორციელებს თავის რწმენას საქმით, სწამს განკითხვის დღე, და ემზადება ამ დღისთვის, გააკეთებს კარგ საქმეებს და თავიდან აირიდებს ცუდ საქმეებს, მაშინ ალლაჰი არ დაუკარგავს არავის თავის საქმეს; ეს არის მისი სამართლიანობის სისრულე მორწმუნე მსახურების მიმართ. ეს არის უდიდესი სასიხარულო ამბავი ყველა მორწმუნესთვის, რომელიც მყარად დგას თავის რწმენაზე.

ის, ვინც ალლაჰს შეხვდება ცოდვით, რომლის გამომც მასზე ცაცხელია დადგენილი, თუმცა ის, სიცოცხლეში მოინანიებს მას და აღარ გაიმეორებს, ჭეშმარიტად, ალლაჰი მიიღებს მის მონანიებას - აკატიებს ცოდვებს. ვინც შეხვდება ალლაჰს ისე, რომ ცოდვის საზღაური იგება ამჟამად (ე.ი დაისაჯა შარიათულად), ეს არ მისთვის გამოსყიდვა, როგორც ჩვენამდე მოვიდა ალლაჰის შუამავლის ჰადისებით. და ვინც შეხვდება ალლაჰს ისე, რომ დაჟინებით სჩადიოდა ცოდვებს, რის გამომც იმსახურებს სასჯელს, მაშინ მისი საქმე ალლაჰთან არის. თუ მოინდომებს, დასჯის და თუ მოინდომებს აკატიებს. ხოლო, ვინც ალლაჰს ურწმუნო შეხვდება, დასჯის მას და არ აკატიებს.

ახსნა

ყველა მორწმუნე ემორჩილება ალლაჰს, შემოქმედს, ვინც სიცოცხლეს იძლევა და უკან მიაქვს. მათ ეკრძალებათ მისი დაუმორჩილებლობა. ცოდვები და ურჩობა იმსახურებს ცეცხლს და ალლაჰისგან დაშორებას, ისევე როგორც მორჩილება და მისწრაფება იმსახურებს სამოთხეს და სიახლოვეს ღმერთთან, ყველაზე აღმატებულთან. მამ ასე, ვინც ცოდვებით და დამღუპველი საქმით არის დამძიმებული და ის ამ მდგომარეობაში შეხვდება ღმერთს, ყველაზე აღმატებულს, იმ დროს, როცა არის თავჭიდის ხალხიდან, მაშინ მას შეეხება ორი საქმიდან ერთი:

1. მან მოინანია ჩადენილი და ამრიგად მას ექნება ალლაჰის პატიების იმედი, რადგან ალლაჰი არის ალ-ლაფფარ, ვინც ღებულობს მისი მსახურების მონანიებას და იგია ათ-თავვები, რაც ნიშნავს ყველაზე მპატიებელს. ამიტომ, მომნანიებელს აქვს ალლაჰის წყალობის იმედი და იმედოვნებს რომ მას არ დასჯის. და ყველა ცოდვა, რომელიც შირქზე პატარაა, ექვემდებარება მიტევებას, მაშინაც კი, თუ პიროვნება მოკვდება ცოდვების მონანიების გარეშე, და ისინი ალლაჰის ნების ქვეშ არიან. რაც შეეხება შირქს, თუ ადამიანი შირქის მდგომარეობაში მოკვდება და შირქით შეხვდება ალლაჰს, მაშინ მას არ ეპატიება რადგან ალლაჰმა თქვა:

إِنَّ اللَّهَ لَا يَغْفِرُ أَنْ يُشْرَكَ بِهِ وَيَغْفِرُ مَا دُونَ ذَلِكَ لِمَنْ يَشَاءُ ۗ وَمَنْ يُشْرِكْ بِاللَّهِ فَقَدْ
أَفْتَرَىٰ إِثْمًا عَظِيمًا

უეჭველია, ალლაჰი არ მიუტევებს იმას, რომ მას თანაზიარი დაუდგინონ, და მიუტევებს ამის გარდა ყველაფერს, ვისაც ინებებს. და ვინც ალლაჰს თანაზიარს დაუდგენს, მაშინ უდიდეს ცოდვას სჩადის! (ნისა 4:48)

აგრეთვე ალლაჰმა თქვა:

إِنَّهُ مَنْ يُشْرِكْ بِاللَّهِ فَقَدْ حَرَّمَ اللَّهُ عَلَيْهِ الْجَنَّةَ وَمَأْوَاهُ النَّارُ وَمَا لِلظَّالِمِينَ مِنْ أَنْصَارٍ

უეჭველად, ვინც ალლაჰს თანაზიარს დაუდგენს, იმას აუკრძალა ალლაჰმა სამოთხე და მისი თავშესაფარი ცეცხლია. და არ ეყოლებათ უსამართლოებს შემწეები. (მაიდე 5:72)

სანდო ჰადისში გადმოცემულია, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა:

مَنْ لَقِيَ اللَّهَ لَا يُشْرِكُ بِهِ شَيْئًا دَخَلَ الْجَنَّةَ وَمَنْ لَقِيَهِ يُشْرِكُ بِهِ دَخَلَ النَّارَ

ვინც შეხვდება ღმერთს ისე, რომ არ უდგენდა მას თანაზიარს, შევა სამოთხეში. და ვინც შეხვდება ისე, რომ უდგენდა მას თანაზიარს, შევა ცეცხლში.¹⁰¹

შირქი განსხვავდება სხვა ყველა დიდი და პატარა ცოდვისაგან და სადად მოაზროვნე მორწმუნესთვის სავალდებულოა ეშინოდეს ღმერთის და ფრთხილად იყოს. ეს იმიტომ, რომ ყველა ცოდვის, როგორცაა მრუშობის, ნარკოტიკის მოხმარების, მკვლელობის და სხვა ცოდვის ჩამდენი, არის ალლაჰის ნების ქვეშ; თუ ისურვებს დასჯის, თუ ისურვებს აპატიებს. ხოლო ვინც შირქით მოკვდება მას ღმერთი არ აპატიებს.

ზოგიერთი ცოდვის საზღაური დაწესდა ამქვეყნად და ზოგიერთს არ აქვს სასჯელი. ვინც ცოდვას ჩაიდენს, მოინანიებს და მიიღებს დადგენილ სასჯელს, მაშინ დაწესებული სასჯელი მისთვის იქნება გამოსყიდვა, თუ ალლაჰი ინებებს. და თუ დაწესებულ სასჯელს მიიღებს, თუმცა არ ნანობს, მაშინ, ის თითქოს დაჟინებით განაგრძობს ამ ცოდვას. საიქიოში კი, მისი საქმე ალლაჰის ნებაზეა - თუ ინებებს დასჯის, თუ ინებებს აპატიებს. ამქვეყნად დადგენილი სასჯელები ზოგიერთი არის გამოსყიდვის საშუალება, ხოლო ზოგიერთი გაკიცხვის.¹⁰² და ალლაჰმა ყველაზე უკეთ იცის

2. ვინც შეხვდება ალლაჰს ცოდვების მონანიებს გარეშე, მისი საქმე ალლაჰის ნების ქვეშ არის. ეს ყველაფერი თავკიდეზე მყოფ მუსლიმს ეხება. რაც შეეხება წარმართებს, მათზე ალლაჰმა თქვა:

إِنَّ اللَّهَ لَا يَغْفِرُ أَنْ يُشْرَكَ بِهِ وَيَغْفِرُ مَا دُونَ ذَلِكَ لِمَنْ يَشَاءُ

უეჭველია, ალლაჰი არ მიუტევებს იმას, რომ მას თანაზიარი დაუდგინონ, და მიუტევებს ამის გარდა ყველაფერს, ვისაც ინებებს. (ნისა 4:48)

¹⁰¹ მუსლიმი 93

¹⁰² თუ დადგენილ სასჯელს მიიღებ ამქვეყნად და თან ნანობ ჩადენილს ეს არის ცოდვის გამოსყიდვა. ხოლო თუ ჩაიდენ ისეთს რაზეც არ არის დადგენილი სასჯელი, და თუ გაიკიცხები და ინანებ, ესეც გამოსყიდვაა. ალლაჰი ყურანში ამბობს: 'და ვაწვეთ მათ მცირე და არა დიდ სასჯელს, რათა ეგების დაბრუნდნენ.' (სურა სეჯდე 32:21) ამქვეყნის სასჯელი მცირეა. ზოგჯერ უზენაესი ალლაჰი თავის მოწყალებით ისე მოგიწყობს საქმეს, რომ შეიგონო შენი ჩადენილით და ინანო ცოდვები ამქვეყნადვე.

ცოდვები რაც არ უნდა უხვად იყოს, ისინი ყველა ექვემდებარება ალლაჰის ნებას და ვინც მათ ჩაიდენს არ ხდება ურწმუნო, სანამ ის ამ ცოდვებს დასაშვებად, ჰალალად არ მიიჩნევს.

ამის გამო, აჰლუ სუნნას აყიდა დაბალანსებულია ხარიჯიტებსა და მურჯიტებს შორის, რადგან ხავარიჯები ცოდვების გამო მუსლიმებს ურწმუნოდ აცხადებენ, ხოლო მურჯიტები ამბობენ, რომ ცოდვები საზიანო არ არის, სანამ ადამიანს აქვს რწმენაო. მურჯი'ას აქვს კიდევ ერთი ყაიდა ¹⁰³, რომელიც ზემოხსენებული შეხედულებიდან გამომდინარეობს, მათი ეს ყაიდა არის: 'რწმენა არ იზრდება და არ მცირდება' მათი აყიდა აშკარად შეცდომაა. ჭეშმარიტად, ცოდვები ასუსტებს და ზიანს აყენებს რწმენას. მათი განცხადება ეწინააღმდეგება იმას, რაც ნათლად არის ნათქვამი ყურანში:

وَيَزِدَادَ الَّذِينَ ءَامَنُوا إِيمَانًا

...და მიმატებოდათ რწმენა იმათ, რომელთაც ირწმუნეს,... (მუდდასირ 74:31)

და ალლაჰმა უკეთ იცის.

ქმედებები, (ე.ი როცა გვაქვს უნარი ვიმოდრაოთ) რომელსაც ვასრულებთ არის ალლაჰის საჩუქარი, რომელიც მან გვიბოძა მისი სიბრძნით, და ისინი შეიძლება გახდნენ ალლაჰის წყალობის ან სასჯელის მიზეზი. ვინც აკეთებს მართალ საქმეს, ის აკეთებს იმ სიბრძნის და წყალობის გამო, რომელიც ალლაჰმა მოისურვა. ალლაჰი არ არის პასუხისმგებელი იმაზე, თუ რას მოიმოქმედებს, ხოლო ქმნილებები დაიკითხებიან. ვინც იქნება შეწყალებული, ეს მოხდება ალლაჰის წყალობით, ხოლო ვინც დაისჯება ეს არის მისი სამართლიანობითა და სიბრძნით (თუ რატომ ისჯება). და ალლაჰმა ყველაზე უკეთ იცის.

როგორც ერთმა პოეტმა თქვა:

იმან, რაც მსახურებს მიეცა, მოითხოვა ვალდებულება

და მათი ღვაწლი არ დაიკარგება.

და თუ დაისჯებიან - ეს იქნება მისი ¹⁰⁴ სამართლიანობა.

და თუ შეწყალდებიან იქნებიან - ეს იქნება მისი წყალობა.

ვინც საღ აზრზეა, ევალება სამართლიანობის აღსრულება და ეკრძალება ცუდი საქმეების; შირქის, უსამართლობის და სიბილწის კეთება, ისევე როგორც სხვა დაუმორჩილებლობა და დამღუპველი ცოდვები. უზენაესმა ალლაჰმა თქვა:

وَاللَّهُ لَا يُحِبُّ الْمُفْسِدِينَ

...ალლაჰს არ უყვარს უკეთურნი. (მაიდე 5:64)

¹⁰³ (იგივე აყიდა) შეხედულება/დოგმატიკა

¹⁰⁴ ალლაჰის

აგრეთვე მისი სიტყვა:

وَلَا تُفْسِدُوا فِي الْأَرْضِ بَعْدَ إِصْلَاحِهَا

და ნუ გაამრავლებთ უკეთურებას ქვეყანაზე მისი გამართვის შემდგომ...

(ა'რაფ 7:56)

და ვერავინ შევა სამოთხეში მისი საქმეებით, ვიდრე ალლაჰი არ დაიფარავს თავისი წყალობით. სანდო ჰადისში გადმოცემულია, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა:

لَنْ يُدْخِلَ أَحَدًا عَمَلُهُ الْجَنَّةَ

‘ვერცერთი თქვენგანი ვერ შევა სამოთხეში თავისი საქმეებით.’

საჰაბეებმა ჰკითხეს: ‘ვერც შენ, ალლაჰის შუამავალო? მან უთხრა:

لَا، وَلَا أَنَا إِلَّا أَنْ يَتَغَمَّدَنِي اللَّهُ بِفَضْلٍ وَرَحْمَةٍ

ვერც მე, სანამ ალლაჰი არ მიწყალობებს თავის წყალობას.¹⁰⁵

ეს იმიტომ, რომ ადამიანთა საქმეები, რაც უნდა უხვად იყოს, არის ალლაჰის წყალობის და სიკეთის შედეგი, რომელიც მან უბოძა მათ. და ალლაჰმა უკეთ იცის. გ

მრუმის ჩაქოლვა, რომელიც იმყოფება ქორწინებაში და გაროზგვა ვინც არ არის ქორწინებაში¹⁰⁶, თუ მის წინააღმდეგ დადასტურდება მტკიცებულება. ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) ჩაქოლა მრუმები და აგრეთვე ხალიფაბაგ.

ახსნა

მე ვამბობ: მრუმის ჩაქოლვა კარგად ცნობილი საკითხია ალლაჰის კანონმდებლობაში და სუნნაში, ასევე მუსლიმთა საერთო კონსენსუსში¹⁰⁷, და ამაზე არავინ დაობს გარდა მათ ვნება-სურვილებზე და სიახლეებზე მიმყოლი ადამიანების გარდა. მუჰსანი არის ის, ვისაც ჰქონდა სქესობრივი კავშირი კანონიერი ქორწინების ფარგლებში. დაწესებული სასჯელი მრუმებისთვის არის - რომ მას ქვებს ესვრიან სიკვდილამდე. ეს დადგენილია ყურანის, სუნნას და იჯმას გზით, ისევე როგორც ოთხი ხალიფის მოქმედებით. ხავარიჯები და მუ'თაზილები, და ასევე მცდარ გზაზე მყოფები უარყოფენ ამას. მორწმუნეთა მმართველის მიერ ნათქვამია: ‘ჩაქოლვის აიათი მოევლინა ალლაჰის წიგნში, ჩვენ წავიკითეთ იგი, გავიგეთ, და ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი

¹⁰⁵ ბუხარი 5673

¹⁰⁶ თუ მეუღლე არ ჰყავს და იმრუმებს, ამ შემთხვევაში მხოლოდ წკეპლით ისჯება და გადასახლებენ ერთი წლით. იხ იბნ ქასირის განმარტება 24:2 აიათი

¹⁰⁷ იჯმა

მას) ჩაქოლა და ჩვენც ჩავქოლეთ მის შემდეგ. შემდეგ აიათი გაუქმდა ¹⁰⁸ თუმცა მისი განჩინება ძალაში დარჩა'. სანდო ჰადისებით დადასტურებულია ალლაჰის შუამავლისგან (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას), ისევე როგორც მუსლიმთა საერთო აზრით, რომ ეს არის რელიგიის ნაწილი.

იბნ მუნზირმა თავის წიგნში 'ალ-იჯმა' თქვა: 'არსებობს იჯმა იმაზე, რომ თავისუფალი ადამიანი, თუ დაქორწინდება თავისუფალ ადამიანზე სწორი საქორწინო კონტრაქტით, და ის მუჰსანია, მაშინ სიძვის შემთხვევაში ჩაქოლვა სავალდებულოა.

მე ვამბობ: ჰადისებით ვიცით, რომ ოთხი შემთხვევა ყოფილა, როცა ჩაქოლვა განახორციელეს, და დადასტურებულია, რომ ალლაჰის შუამავალმა ადასრულა დადგენილი სასჯელი ჩაქოლვა. ესენია:

1. მა'ზის საქმე
2. ალ-ღამიდიას საქმე
3. მონანული ქალის საქმე
4. ორი იუდეველის საქმე

და რა შეიძლება იყოს ჭეშმარიტების მიღმა თუ არა გზააზნევა? ამიტომ, არანაირი ყურადღება არ ექცევა მათ, ვინც ამას უარყოფს და არ სჯერა. იმამ აჰმადმა ახსენა ეს საკითხი, რათა დაუპირისპირდეს მათ, ვინც ამ საკითხებს ეწინააღმდეგება სიახლეებისა და ვნებების¹⁰⁹ ხალხის რიგებიდან, ხარიჯიტებისგან და მათ გარდა, ვინც ამტკიცებს თავის თავს ისლამზე მყოფად, თუმცა სინამდვილეში შეცდომაში არიან. არავითარი ყურადღება არ ექცევა მათ, ვინც ეწინააღმდეგება ალლაჰს და მის შუამავალს და მიჰყვება მორწმუნეებისგან განსხვავებულ გზას. ისინი ცდომილებაში არიან და ალლაჰმა ყველაზე უკეთ იცის.

და ვინც დაამცირებს ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) ერთ საჰაბებსაც, ან შეიძულავს, ან ახსენავს მათ ნაკლოვანებებს, მაშინ ის არის სიახლის მიმყოფი ურწმუნო, სანამ არ დალოცავს მათ (ე.ი. საჰაბებს) და გული არ იბრძნობს მათ მიმართ კეთილგანწყობას.

ახსნა

საჰაბე არის ის, ვინც შეხვდა შუამავალს, ირწმუნა მისი და მორწმუნედ წავიდა ამ ქვეყნიდან. მათი დამსახურების, მათი სტატუსის და მათი კეთილი ბუნების კარგად ხსენებაზე უმმეთია გაერთიანებული. არავინ ამცირებს მათ და არ ლანძღავს გარდა თვალთმაქცებისა, უცოდინრებისა და შეცდენილებისა.

¹⁰⁸ ეს არის ნასხ ვალ მანსუხის მეცნიერება, რომელიც ვრცელი თემაა

¹⁰⁹ აქ ვნება გაიგება შემდეგნაირად: თავის ახირებას როდესაც ჯიუტად ამტკიცებს მტკიცებულების გარეშე

იბნ უმარმა ასე თქვა: 'ნუ შეურაცხყოფთ მუჰამმადის საჰაბეებს, რადგან, ერთ-ერთი მათგანის მიერ ერთი საათით დგომა ალლაჰის შუამავალთან უკეთესია, ვიდრე, რომელიმე თქვენგანის ქმედება ორმოცი (40) წლის განმავლობაში'

ალლაჰი ამბობს:

رَضِيَ اللَّهُ عَنْهُمْ وَرَضُوا عَنْهُ

...ალლაჰი კმაყოფილია მათით და ისინი კმაყოფილნი არიან მისით...

(თავბა 9:100)

ეს თქვა ჩვენმა ღმერთმა მათზე, ამიტომ ჩვენც ვამბობთ იმას, რაც ჩვენმა ღმერთმა თქვა. ჩვენ ვამბობთ: 'ღმერთო ჩვენო! კმაყოფილნი ვართ მათით, და შენც იყავი მათგან კმაყოფილი' მე ვამბობ: საკმარისია გამოხატო მათ მიმართ პატივი, რადგან ალლაჰმა შეაქო ისინი და კმაყოფილია მათით. ალლაჰმა აგრეთვე თქვა:

يَا أَيُّهَا النَّبِيُّ حَسْبُكَ اللَّهُ وَمَنِ اتَّبَعَكَ مِنَ الْمُؤْمِنِينَ

ჰეი შუამავალო, საკმარისია შენთვის ალლაჰი და იმ მორწმუნეთათვის, ვინც შენ გამოგყვება. (ანფალ 8:64)

და მისი სიტყვა:

مُحَمَّدٌ رَسُولُ اللَّهِ ۚ وَالَّذِينَ مَعَهُ أَشِدَّاءُ عَلَى الْكُفَّارِ رُحَمَاءُ بَيْنَهُمْ

მუჰამმადი, შუამავალი ალლაჰისა. ხოლო მასთან ერთად ვინც არიან, მკაცრნი არიან ურწმუნოთა წინააღმდეგ და მოწყალენი ერთმანეთის მიმართ. (ფეთიჰ 48:29)

وَالَّذِينَ يُؤْذُونَ الْمُؤْمِنِينَ وَالْمُؤْمِنَاتِ بَغَيْرِ مَا اكْتَسَبُوا فَقَدِ احْتَمَلُوا بُهْتَانًا وَإِثْمًا مُّبِينًا

ისინი, რომლებიც ანაწყენენ მორწმუნე ქალებსა და მორწმუნე კაცებს, დაუმსახურებლად, თავისთავზე იღებენ ცილისწამებასა და აშკარა ცოდვას. (აკზაბ 33:58)

უდავოა, რომ საჰაბეები მორწმუნეთა შორის პირველები არიან. რაც შეეხება იმას, ვინც მათ ურწმუნოებად აცხადებს ან ამტკიცებს, რომ ისინი გახდნენ განდგომილნი (მურთადები) ალლაჰის შუამავლის შემდეგ, მაშინ ის ადამიანი არის ურწმუნო და სიახლის მიმყოფი, ვინაიდან, მან უარყო ის, რაც აშკარად არის ნათქვამი ყურანში მათ შესახებ. მათი თქმით, ყურანის და სუნნეთის მიმყოფლები არიან ურწმუნოები და ცუდი ხალხი. მათი განცხადება ეწიანაღმდეგება ალლაჰის სიტყვას:

...თქვენა ხართ ყველაზე საუკეთესო თემი, ვინც კი მოვლენილა ხალხთა შორის...

(ალი იმრან 3:110)

რაფიდიტები ¹¹⁰ ურწმუნოები არიან. შეიხულ ისლამ იბნი თაიმიამ თავის წიგნში 'ალ-აყიდა ალ-ვასითია'-ში. თავი: აჰლუ სუნნა ვალ ჯამა'ას პრინციპებიდან არის გულისა და ენის სიწმინდე ალლაჰის შუამავლის საჰაბეების მიმართ, როგორც ალლაჰი აღწერს მათ თავის წიგნში:

وَالَّذِينَ جَاءُوا مِنْ بَعْدِهِمْ يَقُولُونَ رَبَّنَا اغْفِرْ لَنَا وَلِإِخْوَانِنَا الَّذِينَ سَبَقُونَا بِالْإِيمَانِ وَلَا تَجْعَلْ فِي قُلُوبِنَا غِلًّا لِلَّذِينَ ءَامَنُوا رَبَّنَا إِنَّكَ رَءُوفٌ رَحِيمٌ

და რომელნიც მოვიდნენ მათ შემდგომ, ამბობენ: „ღმერთო ჩვენო! მოგვიტევე ჩვენც და ჩვენს ძმებსაც; მათ, რომლებიც წინ გვისწრებენ რწმენით, და ნუ დაადგენ ჩვენს გულებში შურს იმათ მიმართ, რომელთაც ირწმუნეს. ღმერთო ჩვენო, ჭემმარიტად, შენ ღმობიერი და მწყალობელი ხარ. (ჰაშრ 59:10)

აგრეთვე შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: არ შეურაცხყოთ ჩემი საჰაბეები, რადგან ვინც გასცემს უჰუდის მთის ტოლა ოქროს ალლაჰის გზაზე, ის არ იქნება მათ მიერ გაცემული მუდას (801 გრამი) ტოლი. ¹¹¹

ჩვენ უნდა მივიღოთ ის, რაც გადმოიცა წიგნში (ყურანში) და სუნნეთში, ისევე როგორც მუსლიმთა ერთსულოვან შეთანხმებაში მათ სიკეთესა და დამსახურებაზე. იბნი თაიმიამ ასევე თქვა: 'აჰლი სუნნა მუჰაჯირებს (გადასახლებული) ანსარებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს და სჯერათ, რომ ალლაჰმა თქვა ბადრის ხალხზე, რომლებიც იყვნენ 315 კაცი ¹¹²: 'აკეთეთ რაც გინდათ, მე უკვე გაპატიეთ თქვენ'. მათ ასევე სჯერათ, რომ არავინ, ვინც ხის ქვეშ ერთგულების ფიცი დადო, ცეცხლში არ შევა, როგორც შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა. ¹¹³ ალლაჰი კმაყოფილია მათით, და ისინიც კმაყოფილნი არიან მისით, და ისინი 1400-ზე მეტნი იყვნენ.

აჰლი სუნნა მოწმობს სამოთხეზე, რადგან ისინი, ვისზეც ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) დაამოწმა, იქნებიან სამოთხეში, საუბარია ათ საჰაბეზე, საბით ბინ ყაის ბინ შამასი და სხვა საჰაბეები. აჰლი სუნნას სწამს, რომ ხალიფა ალლაჰის შუამავლის შემდეგ იყო აბუ ბაქრი, შემდეგ უმარი, შემდეგ უსმანი, შემდეგ ალი, და ვინც ამ ხალიფათაგან ერთ-ერთს ლანძღავს, ვირზე მეტად გზააბნეულია. აჰლი სუნნას თვლის შუამავლის ცოლებს მორწმუნეთა დედებად, და თვლიან, რომ ისინი იქნებიან შუამავლის ცოლები საიქიოშიც, განსაკუთრებით ხადიჯა, რომელთაგან შუამავალს ყველაზე მეტი შვილი ჰყავდა და ის იყო პირველი, ვინც, ირწმუნა მისი და მხარი დაუჭირა რთულ ვითარებაში. ხადიჯას უჭირავს მაღალი პოზიცია. ასევე ბინთ ას-სიდდიყი ¹¹⁴, რომლის შესახებაც შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: აიშას უპირატესობა სხვა

¹¹⁰ შიიტების ჯგუფი, ვინც ალლაჰის შუამავლის საჰაბეებს აცხადებს ურწმუნოებად

¹¹¹ ბუხარი 3673

¹¹² ზოგი გადმოცემით 313 ან 317 კაცი იყო.

¹¹³ ჯაბირი გადმოსცემს: შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა: ვინც ამ ხის ქვეშ პირობა დადო, არცერთი არ შევა ცეცხლში. (თირმიზი 3860)

ქალებთან მიმართებაში არის ისე, როგორც სარიდის (ერთ-ერთი არაბული გემრიელი საჭმელი) უპირატესობა სხვა საჭმელებზე. ¹¹⁵ იმამ მალიქმა თქვა: 'ისინი, ვინც საჭაბებს ლანძღავენ, არიან ადამიანები, რომელთაც სინამდვილეში სურთ შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) დაკნინება. და რადგან ამას ვერ ბედავენ პირდაპირ, ცდილობენ მისი საჭაბების გაკრიტიკებით მიაღწიონ მიზანს. ¹¹⁶

იმამ აბუ ზურ'ამ თქვა: 'თუ ხედავთ, რომ კაცი ამცირებს შუამავლის რომელიმე საჭაბეს, იცოდეთ, რომ ის ზინდიყია. ¹¹⁷ ეს იმიტომ, რომ ალლაჰის შუამავალი, ჩვენი აზრით, არის ჭეშმარიტება და ყურანი არის ჭეშმარიტება, და ამ ყურანმა და სუნნამ ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ შუამავლის საჭაბეების გზით. და სიახლის მიმყოლებს კი, მხოლოდ ჩვენი მოწმეობის გაკრიტიკება სურთ, რათა გააყალბონ ყურანი და სუნნა. ამიტომ მათ მიმართ კრიტიკას აქვს გამართლება/საფუძველი რადგან ისინი სიახლის მიმყოლები არიან. ¹¹⁸

ასევე არსებობენ სიახლის მიმდევრები, რომლებიც აგრესიულად და თავხედურად ახსენებენ საჭაბებს, ავრცელებენ მათ შეცდომებს და ლანძღავენ მათ. თუმცა, შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) საჭაბები იყვნენ მუჯთაჰიდები¹¹⁹ ვინც შრომობდნენ ჭეშმარიტების გასამყარებლად და ალლაჰის სიტყვის ასამაღლებლად რომლებიც დაჯილდოვდებიან და ეპატიებათ მათი შეცდომები. გზაბნეულები ჩაერიენ იმ საკითხებში, რაც მათ არ ეხებოდათ, და ამის შედეგად თავადაც შეცდნენ და სხვებიც შეაცდინეს. სწავლულები კი ამართლებდნენ ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) საჭაბებს მათ შორის მომხდარში — განსაკუთრებით შეიხულ-ისლამ იბნ თაიშია. და ალლაჰმა უკეთ იცის.

¹¹⁴ აბუ ბაჰრის ქალიშვილი აიშა

¹¹⁵ ბუხარი 5418

¹¹⁶ იბნ თაიშია (ას-სარიმ ალ-მასლულ 1:581

¹¹⁷ ერეტიკოსი, სიახლის მიმყოლი ურწმუნო ადამიანი.

¹¹⁸ იბნ ასაჰირ ქითაბუ თარიხ 38/32

¹¹⁹ სწავლულები

და თვალთმაქცობა (ნიფაყი) არის ურწმუნობა. თვალთმაქცობა არის - როცა ადამიანს გულში არ სწამს ალლაჰის და ეთაყვანება მის გარდა სხვას, ხოლო გარეგნულად ავლენს ისლამს, როგორც თვალთმაქცები იძუოდნენ ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და სალაში მას) დროს. რაც შეეხება მის სიტყვას: 'ვისაც აქვს ეს სამი თვისება, ის არის თვალთმაქცი' ეს ნათქვამია იმისათვის, რომ ხელი შეუშალოს მათ გზას, და ჩვენ ვამბობთ ისე, როგორც ჩვენამდე მოვიდა და არ განვმარტავთ. და რაც შეეხება მის სიტყვას: 'არ დაბრუნდეთ ჩემს შემდეგ ურწმუნობაში ერთმანეთზე კისრების დაჭრით' და მისი სიტყვა: 'როდესაც ორი მუსლიმი აღმართავს იარაღს ერთმანეთის წინააღმდეგ, მაშინ მკვლელიც და მოკლულიც ჯოჯოხეთი არიან'. ანალოგიურად მისი სიტყვა: 'მუსლიმის შეურაცხყოფა ცუდი საქმეა, ხოლო მკვლელობა ძუფრი' და მისი სიტყვა: 'ვინც მის ძმას ეუბნება: 'ჰეი ურწმუნო, მაშინ ეს სიტყვა ერთ-ერთ მათგანს დაუბრუნდება'. და ჩვენ ვიმორჩილებით ამ გადმოცემებს და მის მსგავსებს, რომლებიც სანდოა, თუნდაც არ ვიცოდეთ მისი ახსნა.

ახსნა

მე ვამბობ: ტერმინი ნიფაყი მომდინარეობს სიტყვიდან ან-ნაფყ რაც ნიშნავს მიწაში დამალვას, როგორც სარდაფი, რომელიც დაფარულია. ამის გამო თვალთმაქცს მუნაფიყი ეწოდება, რადგან ის ფარავს თავის ურწმუნობას, ხოლო გარეგნულად ავლენს ისლამს. სინამდვილეში, მისი შინაგანი მდგომარეობა არის ურწმუნობა.

თვალთმაქცობა ურწმუნობაში მაშინ არის, როცა საქმე გვაქვს ნიფაყ ალაჰბარ-თან (დიდი თვალთმაქცობა) რაც რწმენის მიმართ ორპირობაა. ვისაც ეს თვისება გააჩნია - ურწმუნოა, რომელიც ჯოჯოხეთის ყველაზე დაბალ სიღრმეში იქნება და მას არ ეყოლება დამხმარე. და ასეთი სახის მუნაფიყის განცხადება, რომ არ არსებობს ღირსეული სათაყვანებელი გარდა ალლაჰისა ¹²⁰ სარგებელს არ მოიტანს, ვინაიდან მას ხსენებული სიტყვები გულით არ სწამდა. ალლაჰის სიტყვა:

إِذَا جَاءَكَ الْمُنْفِقُونَ قَالُوا نَشْهَدُ إِنَّكَ لَرَسُولُ اللَّهِ

მოვიდნენ შენთან თვალთმაქცები და თქვეს: ვამოწმებთ, რომ, ჭეშმარიტად, შენ ხარ ალლაჰის შუამავალიო. (მუნაფიყუნ 63:1)

და მისი სიტყვა:

وَإِذَا لَقُوا الَّذِينَ ءَامَنُوا قَالُوا ءَامَنَّا وَإِذَا خَلَوْا إِلَىٰ شَيَاطِينِهِمْ قَالُوا إِنَّا مَعَكُمْ إِنَّمَا نَحْنُ مُسْتَهْزَءُونَ

და როდესაც შეხვდებიან იმათ, ვინც ირწმუნა, ეუბნებიან - ჩვენც ვირწმუნეთ. ხოლო როცა განმარტოვდებიან თავიანთ ეშმაკებთან, ეტყვიან - ჩვენ თქვენთან ვართ, მათ კი დავცინით. (ბაყარა 2:14)

¹²⁰ ლა ილაჰა ილა ლლაჰ

თვალთმაქცები გარეგნულად ავლენენ ისლამს, ხოლო შინაგანად მალავენ ურწმუნობას და თვალთმაქცობას. რაც შეეხება შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) სიტყვას: 'ვისაც აქვს ეს სამი თვისება, ის არის თვალთმაქცი' ეს ეხება საქმეში თვალთმაქცობას და არა რწმენაში თვალთმაქცობას. მე ვამბობ: ურწმუნობა იყოფა ორ კატეგორიად:

1. ქუფრ ი'თიყადი (ურწმუნობა მრწამსში/აყიდა)
2. ქუფრ 'ამალი (ურწმუნობა საქმეში)

სალაფები ამას მოიხსენიებდნენ როგორც ქუფრ დუნა ქუფრს (რომელიც დიდ ურწმუნობაზე პატარაა). დიდი ურწმუნობა ადამიანს გაიყვანს რელიგიიდან, ხოლო მცირე ურწმუნობა არ გაიყვანს. ანალოგიურად, ნიჰაყი ორგვარია:

1. ნიფაყ აქბარი (დიდი თვალთმაქცობა/ორპირობა)
2. ნიფაყ ასღარი (მცირე თვალთმაქცობა)

თვალთმაქცობის ერთი ფორმა განდევნის ადამიანს რელიგიიდან, ხოლო მეორე ფორმა არ განდევნის. შირქიც ორგვარია: 'დიდი და მცირე' ასევეა ფისყიც (სიბილწე), ისევე როგორც უსამართლობა. ამ ყველაფერს აქვს მცირე ფორმაც და დიდი ფორმაც. თუმცა თავჭიდის შემთხვევაში საქმე სხვაგვარად არის; თავჭიდს არ აქვს „დიდი“ და „მცირე“ სახე, რადგან თავჭიდი არის ერთიანობა, რომელიც ან არსებობს, ან არა. განსხვავება კი არა თვით თავჭიდშია, არამედ მის მფლობელებში; რწმენის სიმტკიცით, მინდობითა და მორჩილებით; ზოგი ძლიერია თავჭიდში, ზოგი კი სუსტია. იგივე ითქმის რწმენაზეც; ის ან არის გულში, ან არა; განსხვავება კი მორწმუნეებშია, ვინ ძლიერია რწმენაში და ვინ სუსტია, ვის გულშია ღრმა რწმენა და ვის გულში სუსტია.

აბდულლაჰი გადმოსცემს: როდესაც მოევლინა აიათი: რომელთაც ირწმუნეს და მათ რწმენას უსამართლობის სამოსით არ ბურავენ.(სურა ენ'ამ 6:82) მუსლიმები შეწუხდნენ და თქვეს: ალლაჰის შუამავალო!, ვინ არ სჩადის უსამართლობას ჩვენს შორის? მან უპასუხა - ეს აიათი ამას არ ნიშნავს. ეს ნიშნავს ალლაჰზე თანაზიარს. არ გაგიგიათ რა უთხრა ლუყმანმა თავის ვაჟს, როდესაც რჩევას აძლევდა: „...ჰეი, შვილო ჩემო! არ დაუდგინო ალლაჰს თანაზიარი, უეჭველად, შირქი (ალლაჰზე თანაზიარი) უდიდესი უსამართლობაა!“ (ლუყმან 31:13)¹²¹

დამღუპველი ცოდვებისგან ასევე არის ბოროტება, შირქი, თვალთმაქცობა და უსამართლობა. ჩვენ ვთხოვთ ღმერთს დაგვიცვას ამ ცოდვებისგან. და ალლაჰმა უკეთ იცის.

იმამ აჰმადის მოსაზრების თანახმად: 'ვისაც აქვს ეს თვისებები, თვალთმაქცია' ან 'ვინც ფლობს ამ ოთხ მახასიათებელს, თვალთმაქცია'. და გააკეთა შემდეგი კომენტარი: 'თვალთმაქცობა არის გასაკიცხი ქმედება მუსლიმისთვის, რომლის გულიც ცოცხლობს'. ამიტომ, მან უნდა მოერიდოს მას და შორს იყოს მისგან. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის, ვინც ფლობს ამ თვისებას, ითვლება დიდ თვალთმაქცად, რის გამოც მოხვდება ჯოჯოხეთის უმდაბლეს საფეხურზე და რომ ის ისეთია, ვინც ფარავს თავის ურწმუნობას.

¹²¹ ბუხარი 3429

არა, ეს სიტყვები ამას არ გულისხმობს. ჩვენ კი ალლაჰთან ვეძებთ თავშესაფარს ამ ყველაფრისგან. თუმცა, ამ მახასიათებლებისა და ქმედებების სიმძიმისა და მისი შედეგების გამო თვალთმაქცებად მოიხსენიებიან, რათა ხალხმა მიიღოს გაფრთხილება და შორს დადგინდეს მისგან. ეს არის ამ ჰადისის სწორი მნიშვნელობა. შემდეგ მან თქვა: 'ჩვენ ვამბობთ ისე, როგორც ჩვენამდე მოვიდა და არ ვაძლევთ მათ სხვა მნიშვნელობას' ეს ჰადისები, რომლებიც მოყვანილია, ყველა მათგანის გადმომცემთა ჯაჭვი ავთენტურია. აკლი სუნნას იმამებმა გადმოსცეს ისინი ჩვენამდე. ასე რომ, სავალდებულოა მათი გადმოცემა ისე, როგორც არის. ალლაჰმა თქვა:

إِنَّ فِي ذَٰلِكَ لَذِكْرًا لِمَن كَانَ لَهُ قَلْبٌ أَوْ أَلْقَى السَّمْعَ وَهُوَ شَهِيدٌ

ჭემმარტად, ამაში შეხსენებაა იმისათვის, ვისაც აქვს გული, ყურს უგდებს და იგი მოწმეა. (ყაფ 50:37)

ეს ასევე ჩანს იმამ აჰმადის სიტყვებში: „ჩვენ არ ვცდილობთ მის განმარტებას,“ და ალლაჰმა ყველაზე უკეთ იცის. ეს არ არის ისეთი საკითხი, რომ ვინც ამ თვისებებს ფლობს, აუცილებლად ფლობს დიდ თვალთმაქცობას და მალავს თავის ურწმუნობას, ხოლო გარეგნულად ავლენს თავის ისლამს. და ალლაჰმა ყველაზე უკეთ იცის. გადმოცემულია, რომ შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) თქვა:

لَا تَرْجِعُوا بَعْدِي كُفْرًا يَضْرِبُ بَعْضُكُمْ رِقَابَ بَعْضٍ

ჩემს შემდეგ ნუ დაბრუნდებით ურწმუნობაში ერთმანეთის კისრების მოჭრით¹²²

და ასევე მისი სიტყვა:

سَبَابُ الْمُسْلِمِ فُسُوقٌ، وَقِتَالُهُ كُفْرٌ

მუსლიმანის შეურაცხყოფა ფუსუყია (ცუდი საქმე) და მკვლელობა კი ქუფრი.¹²³

გარდა ამისა, ამ თემაზე მრავალი სხვა გადმოცემაც არსებობს. ამ გადმოცემების მნიშვნელობა არ გულისხმობს იმას, რომ ვინც ასეთ ქმედებას ჩაიდენს, ის რელიგიიდან გავა; ეს ურწმუნობა დიდ ურწმუნობაზე მცირეა და მხოლოდ გაფრთხილების მიზნით არის ნახსენები, რათა მუსლიმმა თავი შორს დაიჭიროს ამისგან — როგორც სანდოდ არის გადმოცემული იბნ აბბასისგან. და ალლაჰმა ყველაზე უკეთ იცის. ამ ჰადისების ახსნას სხვა მნიშვნელობით არ ვცდილობთ, არამედ ისე ვტოვებთ, როგორც ჩვენამდე მოვიდა, რათა არ დაიკარგოს მათი ნამდვილი აზრი. არ უნდა გავიგოთ ეს ისე, რომ მათი მნიშვნელობა პირდაპირი იყოს. ასე რომ, ალლაჰმა შეიწყალოს იმამ აჰმადი და დააჯილდოვოს. ღმერთო ჩვენო, დაგვიფარე ყოველგვარი ბოროტებისგან და ამ საზიზღარი თვისებებისგან. ხავარიჯები, რომლებიც არიან მათი ახირებების მიმყოლი ხალხი, კამათობდნენ ამ საკითხებზე, ისინი იგებდნენ პირდაპირი მნიშვნელობებით და

¹²² ბუხარი 121

¹²³ ბუხარი 48

ამგვარად აცდნენ რეალობას. შედეგად, ისინი ალლაჰის შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) სიტყვებს სხვა სიტყვებს უპირისპირებდნენ. ამის გამო მუსლიმებს უგულვებელყოფდნენ, ასახელებდნენ ურწმუნოებად და მათი სისხლი და ღირსება ჰალალად ჩათვალეს, ხოლო წარმართების სიმდიდრე და სიცოცხლე ხელშეუხებლად დატოვეს. ჭეშმარიტია შუამავლის (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) განცხადება მათ მიმართ:

يَقْتُلُونَ أَهْلَ الْإِسْلَامِ وَيَدْعُونَ أَهْلَ الْأُوثَانِ

ისინი მოკლავენ ისლამის მიმყოლებს და დაინდობენ წარმართებს¹²⁴

ღმერთო ჩვენო, დაგვიფარე სიცრუისგან, რომელიც შენს წინააღმდეგაა მომართული, და დაგვიფარე ცოდნის გარეშე საუბრისგან.

და სამოთხე და ჯოჯოხეთი არის ქმნილება. ისინი უკვე შექმნილია, როგორც გადმოიყვანა ალლაჰის შუამავლისაგან: 'მე შევედი სამოთხეში და ვნახე ცინხე-სინაგრა' და ასევე მან თქვა: 'მე ვნახე ალ-ქავსარი'¹²⁵ და ასევე მან თქვა: 'შევიხედე სამოთხეში და ვნახე მის მკვირდთა უმეტესობა იყვნენ ღარიბები'. ვინც ამტკიცებს, რომ ისინი არ არიან შექმნილი, მაშინ მან უარყო ყურანი და ალლაჰის შუამავლის გადმოცემები და მე არ ვთვლი ასეთს, სამოთხისა და ჯოჯოხეთის არსებობის მორწმუნედ. ის, ვინც გარდაიცვლება ყიბლას ხალხიდან, როგორც მუვაჰიდი (თავკიდის მიმყოლი), უნდა ილოცო მისი ჯანაბა და ღმერთს უნდა სთხოვო მისთვის კატიება. და არ უნდა მიატოვო მისი ჯანაბა. ხოლო ცოდვა, რომელიც მან ჩადინა, დიდი იყო ის თუ კატარა, მისი საქმე ალლაჰთანაა. ეს არის დასასრული და ყველა ქება-დიდება ალლაჰს ეკუთვნის. ლოცვა და სალამი იყოს მუჰამადზე, მის ოჯახზე და მის ყველა საჰაბებზე.

ახსნა

მე ვამბობ: სამოთხე ღვთისმოსავთა, ჯოჯოხეთი კი ურწმუნოთა სამყოფელია. ალლაჰმა შექმნა ისინი, რათა დასაჩურდნენ მორჩილები, ხოლო ცოდვილები და ურწმუნოები თავისი ქმედებების გამო დაისაჯოს. ეს არის ალლაჰის სამართლიანობა მათ მიმართ როგორც მან თქვა თავის სიტყვაში:

وَلَا يَظْلِمُ رَبُّكَ أَحَدًا

და არავის მოექცევა შენი ღმერთი უსამართლოდ.

(ქაჰფ 18:49)

სამოთხე და ჯოჯოხეთი ორივე კარგად ცნობილია ისლამში. სამოთხე არის ნეტარების ადგილი, ჯოჯოხეთი კი სასჯელისა და ტანჯვის ადგილი. ორივე უკვე შექმნილია და არსებობს, და ისინი მზად არიან მიიღონ მისი ბინადრები. თითოეული ელოდება თავის

¹²⁴ მუსლიმი 1064 არაბულში წერია الْأَوْثَانِ (ალ-უნსაანი) რაც ნიშნავს კერპთაყვანისმცემელს, იგივე წარმართს

¹²⁵ მდინარე ან ტბა სამოთხეში

ხალხს და მათ ბინადრებს. ო ალლაჰ, გვაქციე სამოთხის ბინადრებად და ნუ გვაქციე ცეცხლის ბინადართა შორის. შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და სალამი მას) გვაცნობა, რომ ის შევიდა სამოთხეში და დაინახა მისი ხალხი.

ჩვენთვის სავალდებულოა გვჯეროდეს და არ უარყოთ იგი. იმამ აჰმადმა აღნიშნა ეს და თქვა, რომ ეს არის აკლუ სუნნას პრინციპებიდან, და უარყოფს მას მხოლოდ ჯიუტი და ახირებებზე მიმყოლი ადამიანები, როგორცაა მუ'თაზილა და სხვები მათ გარდა. ეჭვგარეშეა, რომ მათ სწორ გზას გადაუხვიეს. ის, ვინც ამტკიცებს რომ სამოთხე და ჯოჯოხეთი არ არსებობს, იგი უარყოფს ყურანს რადგან ალლაჰმა თქვა სამოთხეზე:

وَسَارِعُوا إِلَىٰ مَغْفِرَةٍ مِّن رَّبِّكُمْ وَجَنَّةٍ عَرْضُهَا السَّمَوَاتُ وَالْأَرْضُ أُعِدَّتْ لِلْمُتَّقِينَ

და ისწრაფეთ თქვენი ღმერთის პატიებისა და სამოთხისკენ, რომლის სივრცე ცანი და დედამიწაა, და რომელიც გამზადებულია ღვთისმოშიშთათვის,

(ალი იმრან 3:133)

ხოლო ჯოჯოხეთზე თქვა:

فَإِن لَّمْ تَفْعَلُوا وَلَنْ تَفْعَلُوا فَاتَّقُوا النَّارَ الَّتِي وَقُودُهَا النَّاسُ وَالْحِجَارَةُ أُعِدَّتْ لِلْكَافِرِينَ

და თუ ეს არ გაგიკეთებიათ და ვერც გააკეთებთ, მაშინ იმ ცეცხლის გემინოდეთ, რომლის საწვავიც ადამიანები და ქვებია, რომელიც ურწმუნოთათვისაა გამზადებული.

(ბაყარა 2:24)

აიათში სიტყვა გამზადებულია ნიშნავს, რომ ისინი უკვე არსებობენ და მზად არიან. ამიტომ სამოთხეც და ჯოჯოხეთიც არსებობს. უზენაესმა ალლაჰმა, დიდებულმა და აღმატებულმა თქვა ფარაონზე:

النَّارُ يُعْرَضُونَ عَلَيْهَا غُدُوًّا وَعَشِيًّا ۖ وَيَوْمَ تَقُومُ السَّاعَةُ أَدْخِلُوا آلَ فِرْعَوْنَ أَشَدَّ الْعَذَابِ

ცეცხლი, რომლის წინაშეც წარდგენილნი იქნებიან განთიადისას და შებინდებისას, იმ დღეს კი, როცა დადგება საათი, შეიყვანებენ ფარაონის სახლეულს უმკაცრეს სასჯელში.

(დაფურ 40:46)

რაც შეეხება საიქიოს, სამოთხე და ჯოჯოხეთი მარადიულად იარსებებს და არასოდეს გაქრება. ისინი იარსებებენ მარადიულად, რადგან ალლაჰი დატოვებს სამუდამოდ. და არ არის მათში არც მზე და არც მთვარე. ალლაჰმა სიტყვა:

مُتَّكِنِينَ فِيهَا عَلَى الْأَرَائِكِ ۖ لَا يَرَوْنَ فِيهَا شَمْسًا وَلَا زَمْهَرِيرًا

მიწოლილნი მასში სავარძლებზე, არ ნახავენ იქ მზის სიცხეს და არც ყინვას.

(ინსან 76:13)

და ალლაჰმა უკეთ იცის. ეს იყო ძირითადი საკითხები, რომლებიც ალლაჰის შეწევნით ავხსენით და მხოლოდ ალლაჰია წარმატების მომცემი.

